

ლიტერატურული გზეუტი

№94 15 - 28 მარტი 2013

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ლევან ლორია
II-III

პაატა ნაცვლიშვილი
IV-V

ბექა ქურხული
VI-VII



გივი აღმაშვილი
VIII-IX

ლალი ავალიანი
X

კატო ჯავახიშვილი
XIII

ლევან ლორია

ორშაბათი სტუმართა მიღების დღეა

ორშაბათი

დღეს დავთვერი. ჩემი პირველი სამუშაო დღე მძიმე გამოდგა. რესტორანში გავითხოვე და გამოვფხიზლდი საუნაში ინტერვიუს დროს. ყველაფერი კი იქედან დაიწყო, რომ მეკავშირე არ მოვიდა. ქალი, რომელიც მეკავშირე მეგონა, ჩვეულებრივი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი აღმოჩნდა. თითქოსდა ყველაფერი გავთვალე. მეტი კონსპირაციისათვის ცენტრმა აირჩია ცირკის მიმდებარე ტერიტორია, ხიდიდან მესამე ჭაღარი. იქ მართლა იდგა ქალი. კითხვაზე, თუ „როგორ ამინდი იქნება ხვალ“, პასუხი: „შენ ცოტას ხომ არ უბერავ“ — ზუსტად დაემთხვა მოსალოდნელს. ამის შემდეგ ინსტრუქციის მიხედვით ოდნავ უნდა გამელიძა, უფრო სწორად შემელიძა. მას კი მარცხენა მუშტი უნდა ეჩვენებინა მაღლა აღმართული შუათანა თითით. ესეც დაემთხვა. მერე მე ასდოლარაიანს ვაჩვენებდი და ახლა უკვე ის მილიმობა და ერთ-ერთ საეჭვო რეპუტაციის მქონე კაფე-რესტორან-საუნაში მივიდიოდი. თითქოს ყველა ეჭვი გაქრა, მაგრამ...

სწორედ კაფე-რესტორან-საუნაში მივხვდი, რომ იქ არ ვხანაობდი. ჩემს თანამგზავრს ვილაღე ნაცნობები გამოუჩნდნენ, რომლებმაც მაგიდების გაერთიანება შემოგვთავაზეს საბაბით: „ის კი არა, ევროპა გაერთიანდა“. ეს კი ინსტრუქციაში არ შედიოდა. შეხვედრა უნდა გამართულიყო „ტეტა ტეტ“, ანუ პირისპირ, ერთი-ერთზე. სუფრას ვერ დავტოვებდი. ამით თავს ვამყუდავებდი. თან საქართველოში სუფრის მიტოვება დიდ სირცხვილად მიიჩნევა. ღვინო მალე მომეკიდა. უგონოდ დავთვერი. ბუნდოვნად მახსოვს, გალესილი მთვრალი როგორ ვიძახდი — შპიონი ვარ-მეთქი. სიცლით კინაღამ მოკვდნენ. რა ინფორმაცია გინდა, გვითხარი, ცინცხლად გეტყვი, თან უსასყიდლოდ. ალბათ ეგონათ, ვხუმრობდი. ჩემმა ვითომდა მეკავშირემ, მეო, ომამდე ჟურნალისტი ვიყავი, ექსკლუზიური ინტერვიუ მინდა ავიღო ჯამშუთან და შენი მიკროფონი მჭირდება, საუნაში შევიდეთო. მიკროფონის ხსენებამ გამოაფხიზლა. ვიფიქრე, ქართულმა სპეცსამსახურებმა გამშიფრეს, გოგოც იმათი აგენტი მეგონა. საუნაში შესვლამდე მიკროფონი ჩუმად მოვიხსენი და სანაგვე ყუთში ჩავავადე.

გვიანდა მივხვდი, რა მიკროფონიც სჭირდებოდა. ინტერვიუს შემდეგ, სახლში დაბრუნებულმა, როცა გავაანალიზე ყველაფერი, ძალიან შემრცხვა ჩემი თავის. ამიტომ სარკეში რომ დავინახე, გავნითლდი. საინტერესო იყო, რომ ჩემი ორეული (სარკეში) არ განითვლებულა.

ჩემო მეუღლევ, მაპატიე ჩემი გუშინდელი საქციელი. შენ ხომ იცი, რომ ამას მხოლოდ ჩემი სამშობლოსთვის ვაკეთებ...

სამშაბათი

დღეს დავთვერი. გუშინდელი ჩაშლილი შეხვედრის გამო ცენტრმა საყვედური ვერ მითხრა, იმიტომ, რომ ვერ დამიკავშირდნენ. პრინციპში, მე დამნაშავე არც ვყოფილვარ. მკაცრად ვმოქმედებდი ინსტრუქციით, რომლის მთავარი პუნქტის მთავარი მუხლია, არ შევიდე კონფლიქტში ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ქალი, რომელიც ჩემი მეკავშირე უნდა იყოს, ჯერ კიდევ არ ჩანს. დღეს კონსპირაციულ ბინაზე უნდა შეხვედროდით და დავალება უნდა მიმეღო. ბინაში მისულს კარი ღია დამხვდა. თავიდან დიდხანს ვრეკავდი ზარს, რომელიც თურმე არ მუშაობდა. ზარის თავზე წარწერა შევამჩნიე: „ზარი არ მუშაობს“. დაკაკუნება ვცაადე და კარი გაიღო. პროფესიული ჩვევის გამო („ღია კარებს არ ამტვრევენ“) შევედი. „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს“ — მომესმა ხმა. „მოდ, საკეს ხო დალევ?“ — გააგრძელა ისევ ხმა. ხმა კაცს ეკუთვნოდა, რომელიც სულ არ გავდა იაპონელს. რამდენიმე უხერხული მოძრაობის შემდეგ ჭიქა, რომელსაც აქ რატომღაც ჩაის ჭიქას ეძახიან და ღვინოს სვამენ, სითხით, ალბათ საკეით შემეღვსო. ვფიქრობ, ნეტა რა დღეშია ახლა ჩემი ორეული სარკეში. ნეტა

ახლა თუ წითლდება. მე, რა თქმა უნდა, უარი არ ვუთხარი. აქ სასმელზე უარის თქმა არ შეიძლება. შეიძლება გავშიფრულიყავი. სასმელის გემო კარგად ვერ გავიგე. ალბათ ნერვიულობისაგან, ენის გრძობითი რეცეპტორები დამიჩლუნდნენ. მიუხედავად ამისა, მესამეს ჭიქის შემდეგ მივხვდი, რომ დავთვერი. მე და ჩემი მასპინძელი უკვე ძლივს ვიდევით ფეხზე და დავსხედით. ის იყო უნდა მეკითხა — ვა, ქალი-მეთქი? რომ მითხრა, ერთიც ვახტანგური დავლიოთო (იგივე „ბრუდენშაფთი“) და ისევ ავდექით. კიდევ დავლიოთ და ბინამ ტრიალი დაიწყო. მერე ბინა გაჩერდა და ახლა უკვე ჩვენ დავინყეთ ტრიალი. რომ არ წავეტყუულიყავი, ასი წლის უნახავი მეგობარივით ჩავეხუტე, ის დიდხანს მკოცნიდა... ცისფერი აღმოჩნდა... მე ვიძახოდი, ვა, ქალი-მეთქი, მაგრამ ვინ მოგისმინა... გამომივიდა ისიც ომამდე ჟურნალისტი, იმის ახსნა, რომ მამაკაცებზე ჩემი მიკროფონი მოშლილი იყო და ინტერვიუს ასაღებად არ გამოდგებოდა, ზედმეტად ჩავთვალე... გამოვიქციე...

ჩემო მეუღლევ, მაპატიე ჩემი დღევანდელი საქციელი. შენ ხომ იცი, რომ მე ამას მხოლოდ ჩემი სამშობლოსთვის ვაკეთებ...



ოთხშაბათი

დღეს დავთვერი — სიზმარში. ჩემო მეუღლევ, დღეს სიზმრად მოხვედ ჩემთან. თითქოს მე და შენ პირველკლასელები ვართ და ერთ მერხთან ვსხედვართ. კლასში მარტო ჩვენ ვისხედით. თავიდან მერხზე ლამაზი ყვავილი ამოვიდა. შენ ყვავილზე ხელით მიმითითე და მითხარი — „აი ია“. უცებ მერხზე თითქოს ვაზმა იხარა და მე გითხარი: „აი ვაზი“. მერე ვაზმა მოისხა მზე და ქარვე ყურძნის მტვერებზე ჩამოსხმული. შემდეგ წვიმა წამოვიდა. ნაცრისფერი, მტვრიანი წვიმა, რომელიც მალევე შეწყდა. წვიმამ მტვერებს ფერი შეუცვალა. მე ვწყვეტილი ყურძნის მარცვლებს, გინმენდი და გაჭმევდი (დღეს აუცილებლად მიდი კლინიკაში და ანალიზები გაიკეთე). მერე თითქოს კიდევ წამოვიდა წვიმა, ოღონდ ახლა უკვე სუფთა, გაზაფხულის შხაპუნა წვიმა. ჩვენ გავვიხარდა და ცეკვა დავიწყეთ. ჩვენ ვცეკვავდით თავბრუდამხვევ ქართულ ცეკვას და შენი თითოეული შემოხედვა მავსებდა გრძობით, რომელსაც ქვია „შენ“. საოცარი ის იყო, წვიმა თითქოს კი არ გვასველებდა, გვბანდა და გვწმენდა. მერე ისევ გადაიღო და მიდამო წმინდა, ოზონით სავსე ჰაერით აივსო. შემდეგ ყურძენი თითქოს დიდ ხის ჭურჭელში შევადგოვ, როგორც აქ უწოდებენ „სანაახელში“ და ცოტა ხანში უკვე ღვინოს ვსვამდით. შენ ბევრი არ დავილევი. მე კი ისე დავთვერი, ველარა გცნობდი, ომამდე რომ ჟურნალისტი იყო, ის ქალი მეგონე და მერე აღარ ვიტყვი...

ჩემო მეუღლევ, მაპატიე ჩემი სიზმარი. შენ ხომ იცი, რომ მე ეს მხოლოდ ჩემი სამშობლოს გულსთვის დამეხიზმრა...

სუთშაბათი

დღეს დავთვერი. მანამდე ბევრი ვინერვიულე. ცენტრთან კავშირზე ვერ გავივარ. თუმცა არ ვიტყობ. ქუჩაში მეც შევეჩვიე ნავის დაყრას, დავდივარ დაბლვერილი, შუბლშეჭმუნხილი, თითქოს ჩემი მილიონი მართებდეს ყოველ გამველეს. ავტობუსში სკამის ზურგს მივანერე: „მე შენ მიყვარხარ“ — ინგლისურად,

თვითონ სკამი კი დანით დავსერე — ქართულად. მეტროში ვჭამე მზესუმზირა და პირდაპირ იატაკზე ვყრიდი ჩენწოს, ვიყავი სტადიონზე და ვისროდი პლასტიკის ბოთლებს, ვაგინე ფეხბურთელებს, რომლებსაც სირბილი არ უნდოდათ. ვაგინე მსაჯს, მანამდე ეჭვი შევიტანე მის ორიენტაციაში, მოკლედ ზუსტად ისე ვიქცეოდი, როგორც ყველა, მაგრამ შენ ხო იცი, რა ძალდატანებად მივდებოდა ეს.

მოკავშირე კიდევ არ ჩანს. საქართველოში ყველა მობილური ისმინება, ამიტომ მხოლოდ მესიჯებს ვუგზავნი ცენტრს, ცხადია დამიფრულს. პირველი მე-ბუნდეს არ დაუბრუნდა, რაც იმას ნიშნავდა რომ მეკავშირე კიდევ არ ჩანს. პასუხი: „გაუფრთხილდი ბუნდეს, ბელურებს საკენკი დაუყარე“ — კარგად ვერ გავიგე, იმიტომ, რომ შიფოგრაფმა დამეკარგა (მეტროში ჩავიდე — მქონდა, ამოვიღე — აღარ). აივანზე მართლა დავყარე საკენკი, მაგრამ ის მტრედებმა შეჭამეს, ჩემი „აქშა, აქშას“ ძახილის მიუხედავად.

მერე ქუჩაში გამოვედი. „ძმაო, ორი ლარი არ გაქვს?“ - მკითხა ერთმა. მქონდა. მივეცი. „იქნებ ათი ლარიც გქონდეს?“

ერე. ტაქსის მძღოლმა, რაღაც არაქართული პროფილი გაქვსო. ჯერ დამცხა, მერე შემაცივა და უცებ შემაფხიზლა. მგონი, დღეს ცუდ ფეხზე ავდექი, არადა, ცაცია ვარ. ეს დღეს ცოტა დაღვევა მომინია და, საერთოდ, ჩემს პროფილს თავი დაანებე, გზას უყურე ანვასით-მეთქი და შენ რა, როგორ საუბრობ, ფირმა ქართველი ხარო? — მკითხა ისევ. ფირმა ქართველი რაღაა-მეთქი, დავდარაჯდი. ქართველი, რომელიც უცხოეთში დაიბადა-გაიზარდა-აო. ვერაფერი ვუთხარი. ნუთუ სპეცსამსახურების აგენტი? ახლა შეიძლება, მანქანა გააჩეროს და ხელბორკილებიც დამაადოს. კიდევ კარგი, შიფოგრაფმა დავკარგე, თორემ თორმეტფურცლიან რვეულს რა შეჭამდა. ახლა ვერაფერსაც ვერ დამიმითქვითვს, ამ ფიქრებში იმ კორპუსთანაც მივედი, სადაც ბინა მაქვს ნაქირავები და ისე გადმოვედი, პროფილი არ მიჩვენებია. პირდაპირ ბინაში მაინც არ შევსულვარ, ჯერ კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულ ჩინურ სუპერმარკეტში შევედი და მისი სარკეებიდან მძღოლს ვაკვირდებოდი, გამომყვებოდა თუ არა. გადავჩრი. ტაქსმა ჩვეულებრივ გააგრძელა გზა.

სუპერმარკეტში გამყიდველიც საეჭვოდ დამხვდა. ჩინურ-ქართულით დამიწყო გამოკითხვა: რა გნებავთ, რა მოგართვათ? რა თქვენი საქმეა-მეთქი. ჩინელებს ვაბარო ახლა ანგარიშები? მთელი ცხოვრება კი არა, ათი ცხოვრება რომ მქონდეს კიდევ, ვერ მოვრჩები. საერთოდ, რა მისი საქმე იყო, რა მნებავს და მით უმეტეს, იმას ხომ არ ვეტყვოდი, ქართულ სპეცსამსახურებს ვემალეები-მეთქი და სალექი რეზივი ვიყიდე.

ჩემო მეუღლევ, არ ვიცი, რამდენჯერ უნდა გთხზოვო, მაპატიე-მეთქი, მგონი აზრიც აღარა აქვს... მაგრამ მაინც გთხოვ... იქნებ ამ ერთხელაც, ჰა...

პარასკევი

დღეს ფიზიკური ვარ და ვხვდები, რომ მომენატრე. იცი, რა მინდა? მინდა, დავიძინო შენს გვერდით (თუმცა ისე მომენატრე, არა მგონია, ახლა შენს გვერდით რომ დამეძინოს). ლიმონიანი „არიელის“ სუნის მინდა ადიოდეს გაუხამებელ თეთრეულს (არ მიყვარს გახამებული, შეშასავითაა). ჯანმრთელი ჰაერით მინდა ვისუნთქო, შენს ახლოს რომ არის მხოლოდ და მერე შენმა სუნთქვამ გამაღვიძოს...

მეკავშირე ჯერ კიდევ არ ჩანს. დავინყე დამოუკიდებლად ოპერაციების განხორციელება. ქუჩაში გამოსულმა ჩემი სახლის წინ შევამჩნიე ხე. ეტყობა პალმაა, რადგან პალმას ჰგავს. მივედი და სწრაფად ავუღე ზომები. არავის შევუმჩნიევივარ.

შაბათი


ჩემი სახლის წინ ხე ველარ შევამჩნიე. ეტყობა, მოჭრეს. ნუთუ გამშიფრეს. გუშინ ხელთათმანებით არ ვმუშაობდი. ხის ზომები ჩემთან არის. ხვალ სასწრაფოდ უნდა გადავცე ცენტრს. მე კვლავ არავის დავუნახივარ.

რადიო, რომლითაც ცენტრთან კავშირი უნდა განმეხორციელებინა, მაგიდიდან გადმომივარდა და გატყდა. ეს იყო საშინელება. უმწეო ბავშვივით ვიგრძენი თავი. ტირილი მომიმინდა. კავშირის გარეშე ვარ... მეკავშირეც არ ჩანს...

დღეს შევამჩნიე კუდი. კარგად ვერ გავარჩიე. ალბათ მანანწალა ძაღლის იყო. იმ გზაზე იღო, სადაც ჩვეულებრივ დავდივარ...

სახლში მისულს საქორწილო ბარათი დამხვდა. „გეპატიჟებით ზეზვასა და მზიას ქორწილში“ — ეწერა ბარათში. ნეტა ვინ უნდა იყოს, მე ხომ აქ თითქმის არავის ვიცნობ. იქნებ ეს მახეა. ბარათზე მინაბეჭდმა: „ქორწილი ჩატარდება ნებისმიერ ამინდ-





კაცი, რომელმაც მფარველი ანგელოზი დაკარგა

დღეს სამსახურში ადრე მოვიღე საქმე, თან ტელეფონები არ მუშაობდა, კაბელი იყო დაზიანებული და ვინაიდან ვერაინ ვერ შეამოსწმენდა ჩემს ყოფნა-არყოფნას, ადრე წამოვივი. ქუჩაში ისე აჭერს თბილისური ივლისის პაპანაქება, ასფალტი დუღს ლამის. თავი გავარჯერებულ ლუმელთან მგონია და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ნელ-ნელა ვინვები... ზღვა მენატრება და ერთი სული მაქვს, როდის მიიღევა ივლისის უსაშველოდ გრძელი და დასიცხული დღეები, რომ მერე ავგისტოში ავიღო კუთვნილი შეგებულება, ბათუმში წავიდე და ზღვასთან მივიდე ერთ წლის წინ დაპირებულ პაემანზე. თან დილით ადრე, როცა არავინ არის ირგვლივ და, ვინ იცის მერამდენეჯერ, ავუხსნა სიყვარული...

ამ ფიქრებში გართული შევუყევი ნაძალადევი ჩემი სახლისკენ მიმავალ ალმარტს, რომელიც ახლა რაღაც ძალიან დაგრძელდა... ხუთი საათი ხდება ალბათ. მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, მაგრამ იმის მაგივრად ცოტა აგრილდეს, სიცხე, მგონი, მატულობს კიდევ. ისე ცხელა, მობილურის ამოღება და საათის გაგებაც კი დამიღვლია, ერთი უზარალო მოძრაობა იფლავს გვარს... მივადე თუ არა სახლში, ცივი შხაპი უნდა მივიღო. არა. ჯერ მაცივრიდან, საყინულეში რომ ერთი ბოთლი ლუდი მაქვს, იმას გამოვიღებ, ნახევარს დავლევ, მერე შხაპს მივიღებ... მერე მორე ნახევარს დავლევ და ტელევიზორში პულტით მოვწახვავ კადრებს, სადაც ზღვა იქნება და დავეჯდები და ვიოცნებებ...

უცებ ვხედავ, მოსახვევიდან კაცი გამოდის — ალბათ, 30-35 წლის იქნება... არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებრივ აცვია, ზოლებიანი მაისური, ჯინსის შარვალი და შავი ფეხსაცმელი, მაგრამ ტირის... დიახ, მოდის და ტირის... თავიდან ვიფიქრე, მომეჩვენა. ისე ცხელა, არც ეს არ არის გასაკვირი, მირაჟი და რამე... მაგრამ არა, აშკარად ვხედავ, რომ ტირის... ღვარ-ღვარად მოდის ცრემლები... სიმღერის არ იყო — იმ კაცს რა ვუთხრა, რომელიც ერთხელ არ ატირებულაო — რომ მღერიან, გასაგებია, მაგრამ ნამეტანი იყო. შუა ქუჩაში ასე გულამოსკვნილი მტირალი, ერთი ის ვიცი, სულიკოს რომ ეძებდნენ და ერთი ეს კაცი...

აუტანელი სიცხის მიუხედავად ჩემში ადამიანურმა გრძნობებმა გაიღვიძა, იქნებ უჭირს რამე და დავეხმარო-მეთქი. ამასობაში კაცმა იქვე მდებარე კორპუსის წინ პატარა ფანჩატურში სიცხეს თუ დალილობას შეაფარა თავი და ჩამოჯდა. თან ტირილს აგრძელებს. იქნება ჩვენი დროის ტარიელია და ნესტან-დარეჯანი მოსტაცეს ქაჯებმა?! მივუახლოვდი...

— მეგობარო, მოხდა რამე?!
 ატირებულმა გამომხედა. რა შენი საქმეაო, ცრემლიან თვალებში წავუკითხე, თქმით არაფერი უთქვამს...
 — იქნებ, დაგეხმაროთ რაიმეთი... — მეც ჩამოვჯექი.
 — კარგი რა, თქვენ რითი უნდა დამეხმაროთ? — თქვა და ხელი ჩაიქნია მონყევით. ანუ მოგცლიათო...
 — იქნებ და შევძლო! ვხედავ, რომ რაღაც დიდი უბედურება დაგატყდათ...
 — ხო, ეს კი მართალია, დიდი უბედურება დამატყდა...
 — რა მოხდა, ეს მაინც მითხარით... — ვთხოვე. უცებ ნდობა გაუჩნდა თვალებში, ამრეზით და უნდოდ აღარ მიყურებდა...
 — მე მფარველი ანგელოზი დავკარგე... — თქვა კაცმა და ისევ ღვარ-ღვარად წამოვიწვი და ცრემლები. ლამის მეც გადამედოს და ავტირდე... თან რაო? რა მითხრა? მფარველი ანგელოზიო!
 — როგორ თუ მფარველი ანგელოზი?
 — ხო... ზუსტად...
 დავიბენი. ძალიან გამიჭირდა მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა, მაგრამ ვერ დავიჯერე...

— ვიცი არ გჯერათ! — თითქოს ფიქრს მიმიხვდაო.
 — არა, როგორ არა, — ამეხნა ენა...
 — მე მფარველი ანგელოზი მყავდა! — დაიწყო კაცმა და მივხვდი, რომ ეს კაცი აღსარებას ამბობდა ახლა და მართლა მე ვეგულეობდი მშველელად...

— ხო, მფარველი ანგელოზი მყავდა. აი, ცოტა ხნის წინ გზაჯვარედინზე მანქანა უნდა დამჯახებოდა და იმან გააჩერა. აბა, მძღოლს საერთოდ არ შეეუწინივარ, მობილურზე ლაპარაკობდა. თვითონაც გაკვირვებული იყო, რატომ გავჩერდიო და, საერთოდ, ძლივს დაძრა შემდეგ მანქანა...

ერთი კვირის წინ ბიჭებთან რომ ვსაუბრობდი მშენებარე ობიექტის ჩრდილში, რაღაც ძალამ ნაბიჯი რომ გადამდგმევინა წინ და აგური რო დაიფშვნა ჩემს უკან, ის ძალაც ჩემი მფარველი ანგელოზი იყო...

ბიჭებმა, ცხვარი უნდა დაკლო... მე თუ გადავრჩი, ცხვარმა რა დააშავა... აი, რომ გავმდიდრდები, მერე-მეთქი...

ერთი კვირის წინ ფული დამჭირდა სასწრაფოდ. მივდივარ ტროტუარზე და ორი ოცლარიანი (ორმოცი მჭირდებოდა ზუსტად) დავინახე ჩემს ფეხებთან დაყრილი... მე თავიდან აღება შემრცხვა... არა, უფრო სწორად, მისაკუთრება. რა იცი, ვის დაუვარდა ან რა იცი, იმას როგორ სჭირდებოდა ის თანხა-მეთქი... მეგონა, მთელი ქვეყანა მე მიყურებდა, თუმცა რომ მივხებდ-მოვიხებე და ვერაინ შევამჩნიე ირგვლივ, მაშინ მივხვდი, ეს ფულიც ჩემმა მფარველმა ანგელოზმა გამომიგზავნა...

სოფელში შარშან შემოდგომაზე უზარმაზარ თხემლაზე ვიყავი ასული — ადესას ვკრედი. უცებ ტოტი მომიტყდა, მაგრამ ისე მსუბუქად ჩამოვიდა (ჩამოვარდნას ვერ დავარქმევ იმას) ძირს, თითქოს ხელბით ვეჭირე ვიდაცას... ის კი არა, გიდელიც თან მომქონდა და გზა და გზა ყურძენსაც ვკრედი. აბა, ცარიელი გიდელით ხო არ ჩამოვიდოდი იმხელა ხიდან. მაშინაც ჩემმა მფარველმა ანგელოზმა გადაამარჩინა...

ორი წლის წინ ზღვაზე ტალღამ ჩამითრია, ფსკერზე დამანვინა და ლამის გამგუდა. უცებ წყალი შემომეცალა და ჰაერი ჩავისუნთქე, მერე ძალა მოვიკრიბე და გამოვცურე. მაშინ გამიკვირდა, ალბათ ეს ყველაფერი მეჩვენება-მეთქი... ახლა ვხედავ — მაშინაც ჩემმა ანგელოზმა მიხსნა...

მერე რომ მივხვდი ვინც იყო, დამენახე-მეთქი... არაო, არ გჭირდება ჩემი დანახვაო... ათას რამეს იმიზეზებდა... მე კი პატარა ჭირვეული ბავშვივით ვირზე შევჯექი და ტლინკები ვყარე — დამენახე, თორემ არც შენი ოცლარიანები მინდა და არც ზღვაში წყლის შეკავება მეთქი... ნეტა არ დაეჯერებინა... დამენახა... ისე ლამაზი იყო, ისე ლამაზი იყო, თავიდან თვალები დავხუჭე, მეჩვენება-მეთქი...

ის კი მიღიმოდა... და უცებ სულ დამავინწყდა, რომ ის ჩემი მფარველი ანგელოზი იყო...

ჰოდა, არც ვიცი, საიდან მომაფიქრდა, ყურში რაღაც უნდა გითხრა-მეთქი...

გაუკვირდა... ისეთი რა უნდა მითხრა, თუ მაინც და მაინც და ხმადაბლა თქვიო...
 არა, ყურში მინდა გითხრა, ბალახმაც კი არ მინდა გაიგოს, რას ვამბობ-მეთქი...
 გაიცინა და... მენდო...
 მე კი... მე კი... არ ვიცი, როგორ ვთქვა, მაგრამ უნდა ვთქვა...
 ხო... ტუჩები ყურებთან მივუტანე...
 თითქოს ბალახებმაც ნიავს აყოლილი სიმღერა შეაჩერეს წამიერად, ნეტა რა უნდა უთხრასო...
 მე კი... მე კი... ვაკოცე...
 ასე, მიპარვით ვაკოცე...
 სახე შეეცვალა, ღიმილი გაუქრა და დასვედიანდა...
 უშმვენიერესი იყო მაინც, სევდაც უხდებოდა... და წავიდა... კარგად იყავო და გაფრინდა... ლაყვარდებს შეერია...

ეჰ... ადვილი სათქმელია, კარგად იყავი. როგორ ვიქნები კარგად, როცა ის გავაბრაზე...

როგორ ვიქნები კარგად, როცა მან დამტოვა...

მე მფარველი ანგელოზი მყავდა... — თქვა კაცმა და ამოიოხრა და თითქოს სული ამოაყოლა ამ ოხვრას, სული და გული...

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ამ ამბავს ყვებოდა, დროდადრო ცრემლებსაც გადმოყრიდა. ლამის მეც ცრემლი მომერიდა და ბარემ ორ ხმაში ხო არ ავტირდეთ-მეთქი, ისიც კი გავიფიქრე. როგორ ვანუგემო?

— თქვენ რა იცით, იქნებ და დაბრუნდეს? — ვკითხე.

— თქვენ ასე ფიქრობთ?! დაბრუნდება?! — დამიბრუნა კითხვა.

— რატომაც არა. თან ხო გითხრათ, კარგად იყავითო... ესე იგი, ძალიანაც არ გაბრაზებულა. მაშინ გეტყოდა, რომ ცუდად იყავითო...

— თქვენ რომ მისი სევდიანი თვალები გენახათ! და ამ სევდის მიზეზი მე ვიყავი!
 — არ ვიცი, როგორ განუგემოთ... მე მაინც მგონია, რომ ის დაბრუნდება!

— მართლა?! მართლა დაბრუნდება?!
 — მითხრა ხმამაღლა და ცრემლიან თვალებში სიხარულის ნაპერწკალი გაუქრობა...

— კი დაბრუნდება... აუცილებლად დაბრუნდება! — ვუთხარი მე დარწმუნებით. ამ წუთში მართლა მჯეროდა, რასაც ვამბობდი...
 — არა მგონია... — ისევ მოიწინა კაცმა, სიხარულის სხივიც ჩაუქრა თვალებში და ცრემლების ახალი ნაკადის გადმოსაშვებად მოემზადა...

— მაინც რატო?
 — როგორ თუ რატო? აი, წელან მალაზიაში ერთი ბოთლი ცივი ლუდი მინდოდა და ნისიაზეც კი უარის მითხრეს...

— დამელოდეთ!
 ცოტა ხნის შემდეგ სახლიდან ყინვასავით ცივი ლუდი ჩამოვუტანე... მადლობაო. მე რატომ მეუბნებით მადლობას, ეს თქვენმა მფარველმა ანგელოზმა გამოგიგზავნათ-მეთქი. უნდა გენახათ, როგორ შეეცვალა სახე... გაცისკროვნდა თითქოს... მართლა? — მკითხა. კი-მეთქი... ესე იგი, არ მივუტოვებთ-მეთქი? არა, არ მიუტოვებთ-მეთქი... კინაღამ ცეკვა დაიწყო... მერე ლუდი გახსნა და გემრიელად მოსვა...

დავემშვიდობე... სახლისკენ წავიდი... თან ვფიქრობ, რა ბედნიერია ეს კაცი, მფარველი ანგელოზი ყავს და უნახავს კიდევ. საერთოდ ვიცი, რომ ყველას ყავს მფარველი ანგელოზი. პირველად ცხოვრებაში ჩემს მფარველ ანგელოზზეც დავფიქრდი, ნეტა სად არის-მეთქი...
 ...სიცხე ისე აღარ აჭერდა თითქოს...

ში", მიმახვედრა, რომ ეს იყო მეკავშირე... ნუთუ, ის თხოვდება? დაუჯერებელია... მითითებულ მისამართზე მივედი... უზარმაზარი დარბაზი სახვე იყო ხალხით. მეფე-პატარძალთან მისალოცად მდგომი ხალხის რიგში დავდექი. მილოცვის შემდეგ პატარძალს რაც შემეძლო ხმადაბლა მივმართე: „ამინდის მიუხედავად, ხომ არ შევხვედრილიყავით ხვალ?“ ეს მეორე ფრაზა იმ შემთხვევისათვის იყო, თუ ჩვენი პირველი შეხვედრა ჩაიშლებოდა. პატარძალმა ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო, სასიძო გამოვიდა სიტყვით: „ბიჭო, შენ ცოტას ხომ არ უბერავ?“ დიდი კითხვის ნიშნით მომმართა და...

მერე უკვე კარგად აღარ მახსოვს, რა მოხდა. უფრო სწორად, სასიძო მახსოვს შამპანურის ბოთლით ხელში, ოღონდ მისხამდა თუ მირტყამდა, ეს აღარ...

მაპატიე, ჩემო მეუღლე, რომ მხოლოდ რესტორნის წინ ტროტუარზე ცივი წყლის ჭავლით გამოფხიზლებული მივხვდი: მეკავშირე აღარა მყავს...

კვირა (ერთი თვის შედეგი)

დილა. მოვიფიქრე და ამ დილით რადიო ათეთერიანი ნებოთი დავანებე, ავტობუსის გაჩერებაზე რომ ყოფიან. ჩავრთე. ცენტრთან კავშირი მაინც არ მოხერხდა. რომელიღაც ადგილობრივი არხი „ჩაკრულოს“ გადმოცემდა:

„სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლული ვარ სამჯერა, ერთხელ სიკვდილი რას მიზამს ერთხელ სიკვდილი არ მჯერა...“

გამახსენდა. ინსტრუქტაჟის დროს გვითხრეს, რომ ეს ქართული სიმღერა კოსმოსში გაუშვეს მეცნიერებმა და შემრცხვა, რომ ამ ქვეყანაში მეჯამაშუა. შევეჩვიე ამ ხალხს, ქუჩაში კი დადიან დაბლვერილები, მაგრამ თუ გაგიცინეს, გადაგყვებიან. აქ ამინდის საოცარია, როგორც ამბობენ, ზამთრის შემდეგ პირდაპირ ზაფხული იწყება, ზაფხულის შემდეგ ზამთარი. ხასიათიც ასეთი აქვთ — ან ძალიან უყვართ, ან ძალიან ძულთ. ღარიბები არიან, მაგრამ ისე დადიან, თითქოს „ფორბსის“ მილიარდელთა ათეულში ეჭიროთ მერვე ადგილი, სოცოცხლე უყვართ და ყოველ დილით ისე ეგებებიან მზეს, შენ რომ გელოდები დიდი ხნის უნახავს...

მერე ნაქირავები ბინის კიბეებზე რომ ჩავრბოდი, ჩემს წინ პატარა ბიჭს ქართული ნაგავი მიყავდა (თუ ძალს მიყავდა ბიჭი). კიბეებზე ხმაურის ატეხვის თუ იმის გამო, რომ ჯამაში ვიყავი, ისეთი საყვედურის თვალებით ამომხედა (ძალმა), გადავწყვიტე...

ჩემო მეუღლე, ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა ჩავბარდე. მოქალაქეობას მოვიტხოვ...

სალამო. ჩავბარდი. პატრულთან მივედი და ვუთხარი, რომ ჯამაში ვიყავი. მანქანაში ჩამსვეს. მეგონა დაკითხვაზე ნამიყვანდნენ, თეორხალათიანი ექიმების დანახვის შემდეგ მივხვდი, რომ საავადმყოფოში ამოყვავი თავი, როგორც აქ ეძახიან, „ასათიანზე“. მე ვიძახოდი, ავად არ ვარ, არც გიჟი ვარ, ეს შეცდომაა, მე ჯამაში ვარ-მეთქი, და ამათ — აქ ნახევარზე მეტი ჯამაში ვარ, ზოგი კრემლის, ზოგი კიდე ვამინგტონის აგენტები არიან, არ გავაკვირვოო...

ორშაბათი

ასათიანზე ვარ. აქ ორშაბათი სულაც არ არის მძიმე. ძალიან თბილად მიმიღეს, ყველა მიღიმის. აი, ისე, როგორც ჩვენთან ქუჩაში...

ჩემო მეუღლე, რომ ჩამოფრინდები, მოგნებით ადვილად მომაგნებ: ასათიანი იკითხე, ჯერ რამდენიმე ლექსს გეტყვიან (ასათიანის), მერე კიდევ პირდაპირ ჩემთან მოგიყვანენ...

ორშაბათი სტუმართა მიღების დღეა...



ნიგნებისთვის: „საკენი“ და „თანხმოვ(ა)ნებანი“

სემაფორი –
სამი ფერი.

1974

ფოლკლანდის (მაღვინის) კუნძულების გამო

ინგლის-არგენტინის შეიარაღებული კონფლიქტის
გადაჭრის პოეტურ-ტოპონიმიკური გზა

ნიგნისათვის „რეფ-ლექსები“

მე გაგიყოფთ ამ კუნძულებს,
არცერთს გული არ გეტკინოთ:
ფოლკლენდები – დიდ ბრიტანეთს,
მაღვინები – არგენტინას!

1982

ნიგნებისთვის: „ქალები და ქალ(ა)ები“ და „მაჯამანი“

ნინის

დიუმა გადაიკითხე, რაკი მეზღვაურ ქმარს ელი,
გრაფ მონტე კრისტოს – გრაფობა, კუნძულ იფს უქე იფობა...
სულ სხვანაირად ილიძებს ნაქეიფარზე მარსელი,
სულ სხვანაირი ყოფილა მარსელში უქეიფობა.

1988

ნიგნისათვის: „ქალები და ქალ(ა)ები“ და „მოციმციმე არითმია“

პასადენას ფასადები, პასადენას, სად...
სადგურ-სადგურ-სადგურ-სადგურ-სადგურ-სადგურ-სად...
სად მიდიხარ, მარკიზ დე სად, სად მიდიხარ, სად?
სადაურსა სად ნაიყვან, სად ნაიყვან... სად.

1988

RUSSIANS, GO HOME!

ნიგნებისთვის: „გველები და არაგველები“, „პოლიტპოეზია“ და „მაჯამანი“

ვინ დაარქვა, ხავიერ, ამ კრახს პერესტროიკა?!
მიდის რუსი! რუსული მიდის, პერეს, ტროიკა!

1989

სიზმარი: მატნის გზაზე

ნიგნებისთვის: „მაჯამანი“ და „რეფ-ლექსები“

დილის სუსხი ტანში მატანს, მატანს, მატანს, მატანს, მატანს...
სად მივალ და მატანს მივალ, მატანს, მატანს, მატანს, მატანს...
ქაქუცა დგას მატნის გზაზე, თითქოს ძალას მატანს, მატანს,
მატნელებთან მოკითხვას და შეფიცულთა დროშას მატანს.

1991

რკოეპი და რკონი

ნიგნებისთვის: „პოლიტპოეზია“ და „თანხმოვ(ა)ნებანი“

თუ ადრე მხოლოდ ნოსტე ვიცოდით, ახლა გავიგეთ რკონი,
კუდმა დაინყო ძალის ქიციანი, ჟანგს მოეკიდა რკინა...
თურმე უბრალო რქენა ყოფილა, რქიანთ ეგონათ რკენა,
ნუცა მთარმევთ ღორთა მარგალიტს, ღორებს მიეცით
რკონი.

1991

18.02.04.17.

ნიგნებისთვის: „თანხმოვ(ა)ნებანი“ და „გველები და არაგველები“

ეს რა ხდება! და-ცა-ლენეს ბუდეა თუ საბუდარი...
სულხან-საბა გაყოფილი სულხანად და საბად არი!
საბუდარულ ჭაბუკს უხმობს უჭაბუკო საბუდარი...
ბედნიერი ვერ ვიქნები – სამშობლო მყავს უბედური!

1992

ნიგნებისთვის: „თანხმოვ(ა)ნებანი“ და „გველები და არაგველები“

ო, არ გახდება სამირზაყანო
ეს მშობლიური სამურზაყანო!

1992

ნიგნისათვის „გველები და არაგველები“

ოდეს ბაზალეთს რომ ედო ფერი,
შეიღებება იმფერად რიცა...
გამობრძანდება ზამთარი გარეთ,
როგორც რუსეთის იმპერატრიცა.

1992

პაატა ნაცვლიშვილი

**სუმბურები
და
კალამბურები**



ნიგნებისთვის: „პოლიტპოეზია“ და „საკენი“

ღმერთმა არა ჰქნას, დამოკლეს
მახვილი ოდნავ დამოკლდეს!

1993

ლუკსი ნათქვამი ლექსი

ნიგნებისთვის: „რეფ-ლექსები“ და „ქალები და ქალ(ა)ები“

ხელები მაღლა,
მილოსელო ქალბატონო!
ხელები მაღლა!

1994

ეპიგრამები

ნიგნებისთვის: „ქალები და ქალ(ა)ები“, „თანხმოვ(ა)ნებანი“ და
„გველები და არაგველები“

არაფერი გენატრებათ – მშობლიური ოდენ კერა,
მშობლიურის ნაცვლად შეგრჩათ ლევილი და ოდენკური.

1994

გენერალი დე გოლი VS მარხალი პეტინი

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“ და „გველები და არაგველები“

ვაი, მარშალ პეტენის ბრალი! ვაი, ვიმ...
მობრძანდება დე გოლი, ის გვიშველის, გვიშ...
მოგვეშვიტ და გაგვიშვიტ და მიგვიშვიტ და გვიშ...
ვაი, ვიმის მთავრობის ბრალი! ვაი, ვიმ!

1994

დრო და სივრცე

ნიგნისთვის „გველები და არაგველები“

ტროას ცხენისთვის ყოველთვის დროა!
დროის ცხენისთვის არ არის ტროა!

1994

მოციმციმე არითმია

ნიგნისათვის „მოციმციმე არითმია“

მოციმციმე არითმია, მოციმციმე, ციმ,
აიმ ვილაც კაცსა სჭირდა, აიმ ვილაც, იმ...
მოციმციმეს თეთრი თმით და თეთრი წვერით, ციმ...
მოუვლია თურმე ციხე, გულაგი და ციმ...
და ციმბირის წყლულთან ერთად, მოციმციმე, ციმ,
არითმიაც დამართვნია, მოციმციმე, ციმ...
ახლაც ციმციმე დააქვს გული, არ გაუსკდეს, ციმ,
ციმბალები წინწილებენ, ციმბალები, ციმ...

აციმციმდა ცინცინატი, აცინცინდა, ცინ...
ცინდარელა მიკი მაუსს და-ცა-სცინებს, ცინ...
ჯერ ცინი და მერე მაო, ძიან ცინი, ცინ...
მეგობრებო, წინ, წინ გასწით! წინ, წინ გასწით! წინ!
წინკარი და წინსაფარი, წინწყარო და წინ...
ის, ვინც უკან ჩანჩალებდა, მოქცეულა წინ!

ხან ჯონ დონის ზარი რეკავს, ხან – ჯორდანის... ძინ...
რობინზონი პარასკევას ძინ-ძინს უზამს! ძინ!

1995

ნიგნებისთვის „მოციმციმე არითმია“ და „ქალები და ქალ(ა)ები“

მაშ, მოდიხარ, მაშა, ჩემთან... მაშ, მოდიხარ, მაშ!..
თამაშ-თამაშ, თამაშ-თამაშ, თამაშ-თამაშ, თამაშ...
თამაში გიჩანს თეთრი ვარდი, თამაში გიჩანს, თამაშ...
მოდი, მაშა, დამაშენდი... მოდი, მაშა, მაშ!..

1996

ნიგნისათვის „თანხმოვ(ა)ნებანი“

კუიბიშევს რომ ვეცახდით, ის ქალაქი სამარაა,
სამარაში გავლით იყო თურმე ერთი სამურაი.
იმან ნახა... ის არ იტყვის! სამურაი სამარეა...
ციდან ჩამოესმა რეკვა – ხეში რაა, სიმი რაა!
აიმ ერთმა გაანათლოს, რეალურად სამი როა...

1996

ნიგნებისთვის: „პოლიტპოეზია“ და „თანხმოვ(ა)ნებანი“

მთელ მსოფლიოს მოეფინა ჯაპონიით კარაკე,
ყველა ლხენით ავსებულა, ჩრდილოეთის კორეა კი...
აუკრძალავთ აზდაიკი, აუკრძალავთ კერუაკი
სელინჯერსაც ზუსტად ცხვირწინ მიუხურეს კარი აკი.
ამ ყველაფერს არად აგდებს თურმე წალკის კირიაკი.

1997

ნიგნებისთვის „(არა)ჩვეულებრივი გამოფენა“ და „რეფ-ლექსები“

მთვარეა თითქოს მედალიონი,
ვართ დეფილზე მე და ლიანა.

ის პარიზს აქებს სალამოიანს,
მეძვირფასება მე დილიანი!

პოდიუმზე დგას მოდელი ანა —
ო, რა დროს მოკვდა მოდილიანი!

ხოლო ამ ლექსის ფრანციცულ თარგმანს
დააფინანსებს „კრედი ლიონე“.

1998

ნიგნისათვის „საკენი“ და „თანხმოვ(ა)ნებანი“

არევისა
არა, ვასო!
არ ევასა
არავისი.

1999

ნიგნისათვის „მაჯამანი“

თუ ამ ტრუბამ ნავთი სუ ფსა,
გადიქცევა ბაქოდ სუფსა...
და სუფსელი შეჭამს საცივს,
ალარ შეჭამს იგი სუფსა!

1999

ნიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“ და „გველები და არაგველები“

აბიჯანს და ბირობიჯანს, ბირობიჯანს, ბირ...
აჰა, ბაჯი, ბირ მანათი, ბირ მანათი, ბირ...
ლუდს დავლევ და სერბესას და ბირას დავლევ, ბირ...
კარდაკარ და პირდაპირ და ბირდაბირ და ბირ...

ბირ-ჰაკეინს დალუპულა ბაზორკა და ბირ...
ბირენდრა და ბირ-ბიკრამ და შაჰ-დევი და ბირ...
ბირმას ნავალ (ვინ მასნავლა!), ბირმას ნავალ, ბირ...
რადგან წინა ცხოვრებაში ბირმელი ვარ, ბირ...

2000

1952-20??

**ძველი ლექსი ახალი გარემოებების გათვალისწინებით
შევისებული და შესწორებული სათაურით**

ნიგნისათვის „რიშეიქები“

ჩემი სიცოცხლის ერთი თარიღი
გულგრილად უცდის მეორე თარიღს.

1972-2000

სამოლკიპარო

ნიგნისათვის „ფეხბურთიერობანი“

ბოდიშს მოვუხდი კეპკეს,
ბუფონს მოვუხდი კეპკას!

2001

ნიგნებისათვის: „ბაბილონის გონდოლა“ და „ქალები და ქალ(ა)ები“

როცა ორი ბოინგი გაუთხარეს Tweensში,
სისხლი მაშინ ჩეექცა ამერიკას ტვინში.

2001

ნიგნებიდან „მოციმციმე არითმია“ და „ქალები და ქალ(ა)ქები“

ნიუიორკს დეეტაკა ბინ-ლადენი, ბინ...
ნიუტონის კანონები, ვაშლები და ბინ...
ათი ბინი, ასი ბინი, მილიონი ბინ...
კომერციულ ფართში გავცვლი კუთხის ნათელ ბინ...
2001

ნიგნისათვის „საკენკი“

...და ცხრა თვის შემდეგ შეეძინა პატარას დედა!
2002

ნიგნებისთვის „მოციმციმე არითმია“ და „გველები და არაგველები“

ფეშანგ ფაშვიბერტყაძეს ვესალმები... ფაშ...
მუთაქაზე დამჯდარა ფაშასავით... ფაშ...
თითქოს იგი მუთაქა ფაშატი... ფაშ...
ბერტყე ფაშვი, ფეშანგო, ბერტყე ფაშვი... ფაშ...
2003

დედაკაცებს ფაშაშას ვესალმები... ფაშ...
ფაშისტებს და ტაშისტებს ვესალმები... ფაშ...
დოს არ გავცვლი ფაშვი და არც მის გავცვლი ფაშ...
ბერტყე ფაშვი, ფეშანგო, ფაშვი ბერტყე... ფაშ...
2003

ნიგნებისთვის „მოციმციმე არითმია“ და „ქალები და ქალ(ა)ქები“

ომი მოდის ბაღდადიდან... ბაღდა... ბაღდა... ბაღდა...
ომი მოდის ბაღდადიდან... დიდან... დიდან... დიდან...
ჰუსეინი პურს არა სჭამს, თურმე ძაან გახდა...
ომი მოდის, ომი მოდის. მეცალეთ გზიდან!
2003

ნიგნებისთვის „რიმეიქები“ და „ქალები და ქალ(ა)ქები“

ბუზი მოდის ბაღდადიდან, თორ-აბჯარში და მასკაში...
კი მოიგო, მაგრამ იმ დღეს მცირე შეხვდა დიმას კუში,
ვალეტს შუბი გადაუტყდა, არ მოერგო დამას ქოში,
კაროლს ტუზი თავს დაეცა... ბუზი მიდის დამასკოში!
2003

აუოაი (გაორა ფონეტიკური ეგზერსისი)
ნიგნებისთვის „მოციმციმე არითმია“ და „აუდიოვიზუალური პოეზია“

ძიიიინ-ძიიიინ-ძიიიინ...
ძაააან-ძაააან-ძაააან...
ძოოონ-ძოოონ-ძოოონ...
ძუუნ-ძუუნ-ძუუნ...
ძენ-ძენ-ძენ.

სელინჯერი, ძენ-ბუდიზმი, ძენ-ბუდიზმი, ძენ...
ძენ. ძეენ.. ძეეენ...
კუნძულებზე დავძუნძულებ, დავძუნძულებ, ძუნ...
ძუნ. ძუუნ.. ძუუუნ...
ძონძებს ვეძებ, უხმარ ძონძებს, ძონძებს ვეძებ, ძონ...
ძონ. ძოონ.. ძოოონ...
ძაან მინდა, ძაან მინდა, ძაან მინდა, ძან...
ძან. ძაან.. ძააან...
მიძნაძორში ვისთვის რეკავს ნეტა ზარი – ძინ...
ძინ. ძიინ.. ძიიინ...

ძენ-ძუნ-ძონ-ძან-ძიიინ...
ძენ-ძუნ-ძონ-ძააან-ძიიინ...
ძენ-ძუნ-ძოოონ-ძააან-ძიიინ...
ძენ-ძუუნუნ-ძოოონ-ძააან-ძიიინ...
ძეეენ-ძუუუნ-ძოოონ-ძააან-ძიიინ...
2003

სოფო თვარაქის
ნიგნისთვის: „ქალები და ქალ(ა)ქები“

ღრუბლებში მელის ამადაბლამი,
რა შესაქმება აბა, დაბლა მე!
2003

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“ და „მოციმციმე არითმია“

ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა... კრიშ...
დანლოპის და გუდიარის პაკრიშკები... კრიშ...
რონალდო და კრიშტიანუ რონალდო და კრიშ...
თავშესაფარს ვეძებ რასმე, კრიშას ვეძებ კრიშ...
2004

პრაიზიანტმა პრაიზიანტს კადრი გაუნოღაო
ნიგნისათვის „პოლიტპოეზია“

ფუშე იყოს, ლიონიძე, გინდა ნაზიმ ჰიქმეთი,
არის მკვიდრი სასახლის თუ ციხისა თუ მონასტრის,
რაკი გინდა დალაგება საგარეო საქმეთა,
აჰა! – შენთვის გამიზრდია საფრანგეთში მინისტრი!
2005

ნიგნებისთვის: „პოლიტპოეზია“ და „გველები და არაგველები“

ზოგი რომ – იანიჩრობით,
ზოგი ხომ – ვანიჩრობით,
ზოგი კი – სულაც ლაჩრობით,
ან (უარესი!) – ვაჭრობით!
2006

ნიგნისათვის „პოლიტპოეზია“

გაბრა(ი)ზეზულა ბრაიზა,
თვითონ არ იცის, რაიზა!
2006

ნიგნებისთვის: „რიმეიქები“ და „პოლიტპოეზია“

რაც არ უნდა გირტყან ურო, შენი უნდა გაიტანო:
დონიციეტის – ჯუზეპე და ვერდს უძახო გაეტანო!
2006

ნიგნისათვის „აქ-ანდაზები“

სოდმა კუდი მონმედ მოიყვანაო!
2006

ნიგნისათვის „გველები და არაგველები“

არისთუარა ჯალათი მკვლეელი?
მკვლეელი არისთუარა ჯალათი?
ჯალათი მკვლეელი არისთუარა?
არისთუარა მკვლეელი ჯალათი?
ჯალათი არისთუარა მკვლეელი?
მკვლეელი ჯალათი არისთუარა?

ა-რ-ი-ს-თ-უ-ა-რ-ა
ჯ-ა-ლ-ა-თ-ი
მ-კ-ვ-ლ-ე-ლ-ი-?
2006



ნიგნისათვის „პოლიტპოეზია“

ჩამომიმარცვლავ აფრიკის ამბებს და
მასხენდება მეც ნაირობი,
მეცნო ჟირაფი სერენგეტიში, პალმების
ჩრდილი მეცნო ირიბი,
მე მასხენდება კიდევ ნეპალი და სხვა
ქვეყნები მისნაირები...
როდის ყოფილა გეოგრაფია, თუ ძმა ხარ,
ზუსტი მეცნიერება?
2006

ნიგნისათვის „რეფ-ლექსები“

კვლავ გვკლავ?
2008

ბუჰარესტის სამიტის გამომ
ნიგნებისთვის „პოლიტპოეზია“ და „აქ-ანდაზები“

ჯერ გადახტი და ჰოოპ (სხეფერი) მერე დაიძახეო!
2008

კლესანოვური დებრადაცია
ნიგნებისთვის: „ქალები და ქალ(ა)ქები“, „პოლიტპოეზია“ და „საკენკი“

დავით აღმაშენებელი.
დავ. აღმაშენებელი.
დ. აღმაშენებელი.
დაღმაშენებელი...
2008

ინგლისურისა და რუსულის მსგავსება-განსხვავებანი

ნიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“ და „პოლიტპოეზია“

ცხრა მთას იქით ვაგზავნით
კარგად განვრთინლ troop-ს
უკან დაგვიბრუნებენ,
ღმერთმა ნუ ქნას, ბბბი -ს!
2009

ნიგნისათვის „სპორტლექსები“

რამ გამახსენა ნეტა კოკაი,
როცა შავი ზღვა ასე შორია,
წყალზე გატყდება ბოლოს კოკაი –
ამალამ აგებს ასამორიუ.
2009

მიხეილიონელ მის(ხ)ი
ნიგნებისთვის: „რიმეიქები“, „ფეხბურთიერთობანი“ და „მაჯამანი“

შენ მეხი ხარ უსანოდ და
შენ მესი ხარ უხაროდა,
შენი ერთი გამოჩენა
მთელ სტადიონს უხაროდა

ვნერ მელექსე ვინმე მესხი:
მესხი, მესხი, მესხი, მესხი!
2010

ნიგნებისთვის: „პოლიტპოეზია“ და „საკენკი“

ქართული მედია –
მართული მედია.
2010

სტრატფორდის სასტუმროში ნათქვამი ლექსი ძველი ლექსი ახალი გარემოებების გათვალისწინებით შევსებული და შესწორებული სათაურით

ნიგნისათვის „რიმეიქები“

გამარჯობა, მეტრდოტელო!
მე გახლავართ... ჰამლეტი!
1974-2012

ნიგნისათვის „პოლიტპოეზია“

მოიდა აპატურაი,
ხელები აფათურაი.
2012

ომი სალამანდრატანს
ნიგნისათვის: „თანხმოვ(ა)ნებანი“ და „პოლიტპოეზია“

ვერ იჭირა სილამ წყალი, ვერ იჭირა სილამან დრო,
ჩვენ აქ ძალა გვემატება, ძლიერდება სული მანდ რო,
უკვე დროა, დავიქუხოთ, უკვე დროა, სოლომონ, დრო!
ხეზე თავქვე ჩამოვკიდოთ ეს ამდენი სალამანდრა!
2012

არჩვენა-არაღნები
ნიგნისათვის „პოლიტპოეზია“

ვის – ოცნება აუხდა!
ვის – ოცნება წაუხდა!
2012

ნიგნებისთვის: „პოლიტპოეზია“ და „მაჯამანი“

დაფი არა,
ნალარა კი!
დოლი არა,
ბუკი კიო...
ვენეციით მოვლენილი
საქმეს გვიჩვენებს ბუკიკიო!
2013

ნიგნისათვის: „გველები და არაგველები“

ხედავ, რა ხდება, ზაბულონ:
მუზები გაბოზებულან!

გაბოზებულან მუზები!
როგორ არ დაიზაფრები! –
გადაუჭრიათ ლუზები,
გა-ცა-უშლიათ აფრები!..

უარესს გეტყვი, ზაბულონ:
ბოზები გამუზებულან!!!
2013

დასაწყისი №92-93

— ალბარას საშველი, მორჩა. დაკარგულია აფხაზეთი, წაიღო რუსეთმა ის და ზღაპარია რამის გაკეთება ახლა, ტყუილად ვგოცავთ ერთმანეთს. დამთავრებული ამბავია ეგ, — თქვა გია ეზუხბაიამ.

— დამთავრებული თქვი შენ და ინგურს გადაღმა რომ აფხაზეთია, იმას გაიგებ კაცი, ან რა გაგება უნდა, მის დღეში აფხაზეთი იყო იქ, მარა ინგურს გაღმა რომ რუსეთია ახლა და რუსეთში აღმოვჩნდით. ჩვენი გამწვარი სახლებიანა, სასაფლაოებით, ილორით, ოქუმით, ბედიით და ბიჭვინთით და კიდო არც გვიმვებენ შიგნით, რატომ იომე, შენ სახლ-კარს რატომ იცავდი, ეგ როგორი დასამთავრებელი, შესარჩენი და დასათმობია, ის თქვი შენ, — მორდუმ გვერდზე გადააფურთხა.

— დაჩმორეს ხალხი, წალუნიეს თავები და შეაგუეს ყველაფერს, — თქვა ისევ მურთაზ ეზუხბაიამ.

— გავეყვიდეს თხებივით. დამთავრდა, ტყუილად ვფაფხურობთ და ვიხოცავთ თავებს. მართალს ამბობს გია, — თქვა ფონიავამ.

— მომეცი ერთი სიგარეტი, — გია ეზუხბაიამ სიგარეტს მოუკიდა, — გეტყვი აგერ — თუ ღმერთმა გადმოგვხვდა, მოხდა სასწაული და დამთავრდა ამბავი, აფხაზს შეუვრიდებენ. აფხაზს, შევურიდებენ კი არა, იქით თუ შეგვირიდებენ, ფეხით გავიქცევი სულ. ამით არ შევურიდებები და არ ვაპატიებ ამ ნაბიჯს ვერებს, აგერ ჩვენებს, ედიკას, მის ძაღლებს და მათ მიმყოლებს კიდო. ჩრასოდეს არ ვაპატიებ ამას. მაგათზეა ჩვენი სისხლიც და აფხაზისაც. აფხაზმა რა ქნას, აფხაზები რომ ვიყოთ, საით ვიომებდით ნეტავი, იქით ხომ? რას იზავ აბა? აფხაზი კაცია, ძმაო. ძმობაც იციან და მტრობაც. ის მაინც იცი, რომ მტერია. ახლა ესენი ისე გაყიდნიან და გაგვგრიან, როგორც არაფერი.

— კი. აფხაზს უფრო დაენდობი, ვიდრე ამათ.

— აფხაზი თუ დაგიძმავდა, ა, ხელის გულა პურს გაგიყოფს, მშიერი რომ კვებოდას თვითონ. არ გილაღატებს არასოდეს. ესენი პირდაპირ თვალეში რომ გიყურებენ და გიციან, მაშინ არიან საშიშები. როგორც დასჭირდებთ, ისე იზავენ და გაგიმეტებენ.

— ხოდა მაგას გეუბნები, თუ მეღირსა სახლში დაბრუნება, აფხაზს დაველაპარაკები და შევურიდებები მე და ამათ არ გავაატარებ ჩემს გზაზე მის დღემში.

— არ არსებობს მაგ, რაღას შეგვირიდებინან ანი, ზღვა სისხლია დაღვრილი. ამონყდენენ ეგენიც. როგორ გინდა ახლა შერიგება?

— ძნელია კი, — თქვა მურთაზ ეზუხბაიამ, — სახლ-კარი ორჯერ გადამიწვს. მამა, ბიძა და ორი ბიძაშვილი მომიკლეს მე. რომც მიწოდეს, რას იზავ, როგორ იზავ კაცი? სამშვიდობო მოლაპარაკებები და ის კიდო. მშვიდობიანი გზით დაგაბრუნებთო. თავები დაიხოცეს აფხაზებმა, ბოლო კაცამდე იომეს, რომ იქიდან გამოვეყარეთ და ახლა ასე დაგვაბრუნებენ, მშვიდობიანად და ტყუილად, ყვევილებით და მუსიკით დაგვხვდებიან კი, აგერ მე, მორდუს და ეზუხბაიას. მუსიკით კი დაგვხვდენ იქნება, მარა იმ მუსიკას ვერ გავიგებთ ჩვენ და იმ ყვავილებსაც გულზე დაგვალაგებენ, ნამდვილია ეს.

— არ გვერა, ესე იგი, მურთაზ ბატონო, გაეროს სამშვიდობოების ძალისხმევის და დასავლეთის საერთაშორისო ცივილიზებული სამყაროს ეგიდით წარმოებული შედეგის სამშვიდობო მოლაპარაკებები დადებით შედეგს რომ გამოიღებს ხომ კი?

— უი, ერთი მაგათი დედა კიდო. გადააშენე იქით, მაგფერი უჯიშო არაფერი გენახოს. იმ დღეს ზავოდობაზე, არაყს ხდიდნენ ბიჭები, ჩამოიარა ერთმა მაგათმა, პაკისტანელი იყო თუ რაცხა ეგეთი თათარი, ერთი ჭიქა ოტკა დაალევინეს და ისე დათვრა, კარი-კარ დადიოდა და ჩემს ადგილას მიმიყვანეთო, იხვენებოდა. ვერ იგებდნენ ჩვენები, ნახეს მერე ინგლისურის მცოდნე და მიიტანეს მის შტაბში როგორც იქნა.

— ეგ ის გაერო არ არის, ვინც გვეომებოდა, ისევე ის რომ დაგვინიშნეს სამშვიდობობაზე დააფარეს რუსებს ლურჯზოლიანი „კასკები“ და ახლა აგეროს სახელით სტირობენ დედას ჩვენ ხალხს. ლურჯზოლიანი „ბეტყერი“ გადავივლის რუსი თუ ისე, დიდი შეღავათია კი. სამშვიდობობი, აბა.

— ტყუილი, ტყუილი, ტყუილი და პაპიროზი პირში.

— რუსმა დაგვობმა, დაგვაქცია აქაც და ცხინვალშიც, რაის სამშვიდობო, მაგან დაგვრია ჩვენ და აფხაზები ერთმანეთში.

— ა, მაგის მოსმენა არ მიყვარს კიდო ძალიან, — მორდუმ უცებ სიბრაზისგან ნამოჭარხლდა და თვალეში მთლად დაუელმდა, — რას ჰქვია, დაგრიეს. შენ სად იყავი და ჭკვა სად გქონდა თავში, ა? ვანიები და სულელები ცოლებს გვიტოვებენ აგერო, რომ დავცინოდი, ვანიები აფხაზებმა დაარქვეს რუსებს, ჩვენ არ დაგვირქვევია. იმ სულელმა ვანიებმა, ისე როგორ ქნეს მერე, რომ ერთმანეთი გვახოცინეს. გვახოცინეს კი არა, ლამის ბოლომდე ამოგვანყვევინეს, სულ ერთმანეთის ბიძაშვილ-მამიდაშვილები და დეიდაშვილები, როგორ მოხდა და როგორ მოახერხეს ეგ? და სულელი ვანია რომ მაგას გიზამს ჭკვით, შენ ვინა ხარ მერე, ა? ტყაისთან აფხაზებს რომ შეეხვებით, ქარდავა და ლაშხია რომ გადმოვიყვანეთ ტყვეობიდან, ზაურ გვინჯია მოყვა აფხაზებს იქითა მხრიდან, გუდაუთელი კაცია — პოლკოვნიკი. ეგ ხელმძღვანელობდა იმათ, ვიცნობდი ადრე და მივესალმეთ, მოვიკითხეთ ერთმანეთი, ზრდილობის ამბავია მაინც და იქ ჩამოვარდა კიდევ მსგავსი ლაპარაკი — რუსებიო. არ ვარგა მასეო, ზაურ გვინჯიამ — არ ვარგა მაგ ლაპარაკიო — მი დოღვა ბრიგადის ი ვოტ შტო პალუჩილიო. ახლა იმის თავი და ვაუკაცობა მაინც ვიჭონიოთ, ჩვენი სისულელები სხვას არ ვაბრალოთო. რძალი მყავს მე

ბექა ქურხული

მკვლელი



ვეგერ ქართველი, როგორ, რუსმა მითხრა და დამაჯერა, რომ ჩემი ქართველი მოყვრები, ჩემი მტრები არიან? მართალი იყო გუდაუთელი ზაურ გვინჯია, ოქროს სიტყვა იყო ის.

შეკრებილებს ბიჭი მიუახლოვდა და შორიახლოს გაჩერდა. ყველა გაჩუმდა. ბიჭმა ფონიავა გაიხმო, სულ ერთი წუთით ილაპარაკეს. ფონიავა ნაძალადევი დიმილით დაბრუნდა.

— უნდა დაგტოვოთ მე და თქვენც თუ დაიშლებით, კარგს იზავთ.

— რატომ? რა მოხდა, კიდევ ახალი უბედურება ხომ არ არის რამე?

— ზუგდიდის პოლიციის უფროსის მოადგილის ბიჭია ეს, მამამისი ჩემი ძმის კლასელია. დათო შერვაშიძე აიყვანეს ნუხელი ლამე, შენი და ცატავას აყვანასაც აპირებენ, გაერიდოთ იქნება პატარა ხანსო.

— რატომ, რა ხდება და რა უნდათ ამ უპატრონოებს, ესენი რაღას დაგვედვენ გაგვაგებინე, ფონიავა, ერთი?

— რა და ნორაკიძე რომ არის, ჩათლახი, დიდი ბენზინკალონკა რომ აქვს ეგერ, მისი ფული მართება კვარაცხელიების მოხუცს. ერთი შვილი ჰყავდა, გვარდაიში იყო, აქით მხარეს, მოუპლეს ისიც და დარჩა საცოდავი მთლა უპატრონოდ. ხოდა, რაღაც ფარა უსესხია ამ გასიებულები ნორაკიძისგან და ვეღარ დაუბრუნებია მერე, რაღას დაუბრუნებდა, საწყალი, მოხუცებული ქალია, მომეღელი აღარ ჰყავს და გამკითხავი. ამ თხილის სეზონზე ოტობაიაში „ტარკა“ დაუჭირავებია უკანასკნელი გროშ-კაპიკით, მოუბოჭავს თავის ხელით ოთხი-ხუთი ტომარა თხილი და გადმოუტანია ჩუმად ენგურით ზუგდიდში. რამდენ სიკვდილს გაათავებდა გზაზე, არ თქვა. საზამთროდ უნდოდა ალბათ საწყალს. გაუვლია ამ დროს ნორაკიძის წინ „ტარკით“, უბედური თუ ხარ, ყველაფერში უბედური რომ ხარ ადამიანი, დაუნახავს ამ პიდარასტ ნორაკიძეს და

ვალში წაურთმევია ის თხილი მისი ტომრებიანად, გაბრუნებულა ბებო უკან, წამოსულა ფეხით ტირილ-ტირილით და არ ვიცი, თვითონ მივიდა დათო შერვაშიძისას თუ მასაც შემთხვევით შეხვდა. რა გატირებს ბებიო — დათოს უკითხავს. ასეო — მოხუცებულს უთქვამს, ასეა ჩემი საქმე, ასე მომეპყრა ნორაკიძე, კი ვიყავი შერცხვნილი, მარა მართლა არ მქონდა არაფერი სახსარი და საშველებო და ატირებულა მწარედ! კაი, აბა, მაშინო — დათომ. გამოგვიარა სისხამ დილით მე და პატარა ცატავას, ჩავყვარა ასე მძინარეები, არც უთქვამს, სად მივიდიოდი, გამწარებული იყო ძალიან, სულ არ იღებდა ხმას. მიაღდა ნორაკიძეს ბენზინკალონკაზე, შეუვარდა შიგ, დასვა აპარატთან, დაადგა თავზე ავტომატით, მე და ცატავას გამვლელ-გამომვლელ მანქანას ვაჩერებინებდა და ძალით გვასხმევინებდა იმ მანქანაში ბენზინს უფასოდ. ჯერ ემინოდათ იმ მგზავრებს, თოფიანი კაცი რომ აჩერებდა, მარა მერე ბაკს რომ ვუყვებოდი ამ გაჭირვებაში და ფარასაც არ ვართმევდი, უხაროდათ ნამეტანი. კანისტრებიც გადმოვადგე ზოგად, ვუსხამდით იმაშიც. მალე გათავებულიყო გვინდოდა ჩვენც. რა ვიცი, რამდენი ბენზინი შემოიტანა იმ შობელძალმა ნორაკიძემ, დილის ცხრა საათიდან დავიწყეთ ჩასხმა

უფრო და რას აპირებ ახლა შენ? — ჰკითხა ბარსუკამ ფონიავას.

— რას ვაპირებ, აბა, რა ვიცი მე. ცატავას მიაწვდიდა ვინმემ ხმა, მიატოვროს კობა მესხიას ყარაულობა და შეაფაროს ცოტა ხნით სადმე თავი. რა ვიცი, რა უნდა ვქნა, ვიცი? გალში უნდა გადავიდე ისევე, გადავასწრო ამათ უნდა. იქიდან რუსს უნდა გადმოვასწრო, აქიდან ამათ ძაღლებს, არ მაყენებენ არსად. შუა ენგურში უნდა ჩავვდე, არ ვარ მე ადამიანი, ბაყაყი ვარ მე, ბაყაყი, — ფონიავამ მანქანის კარი გამოაღო, — გიჟია ეგ თქვენი დათო შერვაშიძე, არაა სრულ ჭკვაზე მაგ. ფონიავა მანქანაში ჩაჯდა, ადგილზე მოაბზგრიალა, იქვე მოსახვევით მდგარი პოლიციელის წინ დიდ ყვითელ გუბეში მტკიცედ და პრინციპულად ჩაახეთქა მანქანა, პოსტზე მდგარი პოლიციელი თავიდან ფეხებამდე ამონუნა ყვითელი, მღვრიე ნუნუნებით და დასავლეთისკენ დაგაზა.

„აუჰ, დათოს იმედი მქონდა მაინც, არ მიმატოვებს ამ გასაჭირში, გამიმართავს ხელს და მივაოხრებ იმ ტუფლებს სახლში-თქვა. რა უნდა ვქნა ახლა მე?“ — გაიფიქრა გია ეზუხბაიამ.

— გავიშალოთ უნდა. ჩვენი გაჩერებაც აღარ ივარგებს დიდხანს აქ, — თქვა მორდუმ.

— მართალია, — თქვა მურთაზ ეზუხბაიამ.

უხმოდ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. გაიშალნენ.

— ჰე, გამოადგი ფეხი წიე, რას გამეშეებულხარ? — უთხრა მორდუმ ფიქრებში წასულ გია ეზუხბაიას, ხელი მოკიდა და თან გაიყოლა.

მანქანაში ჩასხდნენ. მორდუმ გასალე-ბი გადაატრიალა:

— მოვიფიქრე ერთი.

— რა მოიფიქრე მაინც? — ჰკითხა გია ეზუხბაიამ.

— ნახავ აგერ!

მორდუმ ზუგდიდის ბაზართან გააჩერა მანქანა.

— გამომყევი, — უთხრა გია ეზუხბაიას მორდუმ და მანქანიდან გადავიდა.

ზუგდიდის ბაზრის პირველ კარს ჰგავდა, კოჭებამდე განეპილ ტალახში დააბიჯებდა ხალხი. განუწყვეტელი კვილი, გნისი და ჩხუბი ისმოდა. ტალახში ეყარა პური, კანფეტები, მანდარინის ნაფცქენები, ცარიელი ბოთლები და კონსერვის ქილები. ტალახში იყო ჩარჩენილი ვილაცის გადაჭრილი შავი რეზინის ჩექმა. მორდუმ ყოჩაღად მიიკვლევიდა გზას ერთმანეთში არეულ ხალხსა და დაუჩინებლად გვერდზე გადაყრავებულ რკინის ჯიხურებს შორის. მალაღი ეზუხბაია ხელით იმორებდა ამ ჯიხურებს გადმოფარებულ, თეთრი კაპრონის თოკებით გაბმულ, ლურჯ, ტურტლიან ტენცტებს.

— ე, ბიჭო, არ იტყვი, სად მიმბობრი-ალე, ამ კისრამდე ტალახში?

— აგერ ახლოში, ჩემი კაი ნაცნობი კაცი ჰყიდის ქალის ტუფლებს.

— ხომ არ გაგიჟდი შენ, მერე რა მივცე იმ კაცს ტუფლები, ბენზინი ვერ ჩავასხით აგერ, ერთი კოლოფი სიგარეტი მოვუნე ბარსუკას.

— არა უშავს, ისე მოგვცემს.

— ისე რას ჰქვია, ნიხლს ხომ არ ამოვარტყმევინებ, ისე როგორ მივიდე ამ ხნის კაცი.

— ე, ბიჭო, მივცემთ მერე, გავსწორდებით რამენარად, სუ ასე გადლტვლები ხომ არ ვიქნებოთ. როდისაა დაკრძალვა?

— ზეგ.

— ჰოდა, მით უმეტეს, სულ არ გვეკონა დრო. თუ არადა, დაკრძალვის მერე მიუბრუნოთ, არ მოერგო ქალს, მოუჭირა ფეხზე-თქვა.

— შენ ხომ გაგიჟდი, რაის უნდა მიუბრუნო?

— ვიხუმრე წიე, კაი ნამოდი შენ, ნამოდი, ნუ გემინია.

— ე, ბიჭო, დამანებე თუ ძმა ხარ თავი, მივბრუნდეთ უკან, არ მინდა არაფერი, შემარცხვენ რაღაცას.

— შენ სულ ნუ შემოხვალ თუ გინდა, გაჩერდი გარეთ.

— არ მინდა, გვეხვენები, მივბრუნდეთ უკან, როგორც უნდათ, ისე დამარხონ ის, თუ უნდა ჩუსტებით, თუ უნდა აზიაცკებით, გამანებე თავი.

— მაცალე, ტკბილი სიტყვით ყველაფერს გააკეთებინებ კაცს, შენ მეგრელი არ იყო გია ეზუხბაია, მეტი არა ჩვენი მტერი, რა გაჩნდი მასეთი საწყალი და უბედური. „ფშავეთი“ ხარ შენ მართლა „ფშავეთი“. ა, მოვედით. გაჩერდი აქ პატარა ხანს, თვალს წყალი დაალევიე, —

თქვა მორდუმ და დიდ დამტყრეულ დახლთან მიმდგარ, ლურჯ, საღებავაყარილ ტალახიან ჯიხურში ყიჟინით შეძვრა.

— ააა, კაცურ კაცს, დიდ კაცს, კაი კაცს, სალაში და გამარჯვება, ჩემო ბატონო, როგორა ხარ თუ იცი, როგორ მინდის საქმეები, ხომ არ განუხეხს ვინმე, პრობლემებს ხომ არ გიქმნის ჩემს ძმას და მეგობარს, სიცოცხლე ხომ არ მობეზრებია ვინმეს აქ, სიტყვა მინდა შენი, ჩემო ბატონო, და ხონჩით მოგართმევე მის თავს. ვერ განახე ამდენი ხანი, ნანწყენი იქნები ალბათ.

ჯიხურიდან ხმადაბლა და თავშეკავებულად მიესალმნენ მორდუს და გია ეზუხუბაიას გულმა ცუდი უგრძობი. ჯიხურში ცოტა ხანს ხმადაბალი ლაპარაკი ისმოდა, მალე ვიღაცამ ხმას აუშალა.

— მე სულ არ მაინტერესებს, ჩემო ბატონო, თქვენ აქ პარტიზანები ხართ თუ პიონერები ბოლოსდაბოლოს, ვერ მოგცემთ ტუფლებს ნისიაზე და მორჩა. ვერც ერთ კვირამი, ვერც ერთ დღემი. კი ბატონო, ღმერთმა აცხოვნოს, მარა მე რა ვქნა, დავაშავებ რაზე თუ?

ჯიხურიდან მორდუნი მოგუდული ხიხინა ხმა გაისმა, მაგრამ გია ეზუხუბაიამ სიტყვები ვერ გაარჩია. ჯიხურშიც არ უნდოდა შესვლა, რომ არ დაენახათ, მასზე იყო ლაპარაკი. „აუ, ეს რა დღემი ჩამაგდო ამ ოხერმა?“ — გაიფიქრა გამწარებულია.

— ცუდად კი არა, ნუ მემუქრები აქ. შენ ის თუ იცი, ამ ტავარის თურქეთიდან შემოტანა რა მიჯდება მე?

გია ეზუხუბაიამ მორდუს სიბრაზისგან აჭარხლებული სახე და შეშლილი ელაში თვალები დაინახა და მიხვდა, რომ საქმე ძალიან ცუდად იყო.

— შენი ტავარი მანგარიშებინე ახლა კილო.

— ხოდა, რო არ ანგარიშობ და არ გენალვლება, მაგაშია სწორედ საქმე და კარგად იყავი ახლა სულ, ბიჭოს!

— ნადი, შენი ბარბატი პატივი დედაც, გიანგარიშებ და დაგითვის, შენ რომ გინდა, ისე, დაიმხსოვრე კარგად, მოვა მაგი დროც.

— დედას ნუ მაგინებ აქ და ფეხები არ მომჭამოთ შენ და შენმა ბანდიტმა ძმაკაცებმა, ტოჟე მნე პარტიზანი, მოგიწევთ თქვენ აქ წესიერ და სერიოზულ ხალხთან ლაპარაკი და სიტყვებზე პასუხის გაცემა კილო. ვიცი თქვენი ნაომარი მე!

გია ეზუხუბაიამ საანამ აზრზე მოვიდა, რას შერებოდა, მანამდე შევარდა ჯიხურში, ხელის ერთი მოქნევით გამოისროლა გარეთ კარებში ჩამდგარი მორდუ და ფეხსაცმელების გამყიდველს ისეთი დაუშვა ზევიდან გაშლილი ხელი სახეში, რომ ლანანმა თვითონვე დაეყრუა. გამყიდველი ფეხსაცმლის ყუთებში გაიმშალა და ცხვირპირიდან სისხლი დასკდა.

— სი მიშ ნაომარზე ლაპარაკობ, სი ნაბურსელა ბოზიქუა სი, დორილუნქ სი ახვარი სი, დო თი ტუფლებს გიგოთხორანქ. მი ხალხთან მომხვადე ლაპარაკი, თაქ სკან დიდას ფხოდუნქ, დო თექ თინეფიშ მიდგა, სი მუგაუნე თი სერიოზულ ხალხიშ სი ჩათლახი სი!

გიამ იგრძობ, უქინდან როგორ ეჯავჯგურებოდნენ და ნელ-ნელა სიბრაზისგან დახშულ ყურებში მორდუს ხმაც ჩაესმა:

— გია, არ გინდა, გია, მშურად გაჩერდი, იზვიანი ბრატი, ჩემი ბრალია, ჩემი ხათირი, არ გინდა, გია, გავიდეთ აქედან, გაანებე თავი.

გამობრუნდნენ. მორდუ ჩქარობდა. — ნამო დროზე, თვარა გაბოზდება მაგ გოთვერანი, მიგვსვამენ ჩვენც დათოს გვერდით და არ გვეცალა ახლა მაგისთვის.

— ერთი თუ არ გაბოზდება კილო! — ეზუხუბაიასთვის ახლა უკვე მართლა ყველაფერი სულ ერთი იყო.

ხმის ამოუღებლად ჩასხდნენ მანქანაში და დაიძრნენ.

— რას იზამ ახლა შენ? — ჩუმად იკითხა მორდუმი.

— მიმიყვანე ახალკახათში სახლამდე და დამტოვე იქ. რა უნდა ვქნა? ხომ ხედავ, რა უბედური დღეა, კილო რამე ხათაბალას არ გადავყავარო, — გია ეზუხუბაიას უმწიკვბისა და ბოდმისგან ყელში ბურთი მოაწვა და შეეშინდა, არ ატირებულებო.

— ა, გვეკლდა მტერი და მოძულე მე და შენ, გავიჩინეთ კიდე ერთი, — თქვა მერე დაგუდული ხმით.

— მაგას ვაჩვენებ კაი მტერს, თუ ცეცხლი არ მივცე და იმ თავის ბუტკაში თუ არ შევბრუნო ტაბაკა ვარიასავით.

— ვაჩერდი თუ კაცი ხარ, მაგ ცეცხლია მთელი დღისა რომ მოვიძულეთ. ახალკახათში კულტურის ძველ სახლთან გაჩერა მორდუმ მანქანა.

— კარგად იყავი, აბა, — თქვა გიამ და

მანქანიდან გადავიდა.

— გია, იზვიანი! — თქვა მორდუმ.

გია შემობრუნდა, მანქანაში თავი შეეყო და მორდუ გადააცოცნა.

— არა თქვა მეტი მაგ.

მორდუმ ჩუმად გადაიქინა თავი, მანქანა დაძრა და წავიდა.

გია ეზოში შევიდა. მეორე სართულზე ღია ფანჯრიდან ცოლის და ბავშვების ხმა გაიგო, მოზრუნდა, შენობას შემოუარა უკანა მხრიდან, რკინის უანგაიანი, აბლაბუდეებით დაფარული კარი ღრჭიალით შეაღო, „არუჟიკაში“ შევიდა, საძინებელ ტომრებზე დაეშვა და გაყურდა.

„რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე ეს ოხერი?“ — იფდა, გრძობს ფეხები წიფლის გატეხილ ჩარჩოზე შემოეწყო და უცნაურ შველებს გრძობდა, ყველაფერი რომ ძალიან ცუდად არის, დასაკარგი რომ აღარაფერია, აი, ისეთი შვეებას. ქურთუკის ჯიბეში „ასტროს“ უკანასკნელი დაკუჭული ღერი აღმოაჩინა და გაუხარდა. მოუკიდა სიგარეტს. „ერთი ყველაფრის დედაც“, — გაიფიქრა და გამწარებულია გააბოლა, მაგრამ როდესაც უკანასკნელი ნაფაზი დაარტყა, „ასტრა“ ცემენტის იატაკს დააჭყლიტა და ენაზე შემორჩენილი თუთუნის გადააფურთხა, სადღაც წასული დარდი და სასწრაკვეთა ისევე უკან მოუბრუნდა.

„რა ვქნა, რა ვილონო, ბლიად, რას მივასკდე?“

„ავალ, ახლა დავნებები და დავიძინებ. ამოულია ხმა და გავისვრი გარეთ მისი ჩუსტებიანად.“ ნამოინა, მაგრამ ისევე დაგიღო დარჩა. ცოტა ხანს იჯდა ასე. მერე გატეხილ ჩარჩოს შეხედა და უცებ დაარტყა თავში — „ე, ბიჭო, სახლში პირველ სართულზე ხომ გადამირჩა ორი ფანჯარა და კარი მისი ჩარჩოებით. როგორმე რომ გადმომატანინა ისინი აქ, ჩავაბარებდი ჩემი მამიდაშვილის ქმარს, ჩაბარებებს ნამდვილია ეგ, რამდენჯერ მითხრა, მაინც დადიხარ და გადმოიყოლე, ტყვილა დალუბდა იქ უპატრონობით, კაი ფასში გაგაყიდეთ აქეთი. ა, რა კარგი გამახსენდა. საუ მაგიყიდებოდა. თან მერიდობოდა, აფხაზეთში შესულ, ტყვია დამიზნებულ ხალხს, ჩემი კარ-ფანჯარა და ჩარჩო როგორ ვათრევიხო-თქვა? ე, ბიჭო, ე, ბიჭო, მადლობა შენ, ღმერთო, კილო იტყვიან, ღმერთი არ არისო. ე, ბიჭო! ა? მისმინე ახლა, — უთხრა საკუთარ თავს, ვიჩქარო უნდა, სანამ დაეპარობ იმას იქ. ხურჩამდე გამოვიტან როგორმე. მერე მანქანას ვეთხოვები ბიჭებს და ხურჩადან ხვალვე გამდგომტან, იქიდან იოლია. ერთი კარი იქნება მძიმე, თვარა ჩარჩოებს და ფანჯრებს რა უჭირს, ფანჯრები ჩალენილია რა ხანია. ნაბლის მასალაა მთლად, უნდა აუვიდეფს ფეხსაცმელს. ნავედი! შეუმჩნევლად უნდა გავიდე აქედან, ნაბაკევეშიც კარგ დროს შევალ, დაბინდებულზე. ჰა, რამდენი იქნება რომ შემხედეს, ვიფრთხილებ მეც.“ გიამ დაზეთილი ტილოებში კარგად შენახული „AÉ“-74 ამოილო, საკეტი შეუმომხა და ლელუაში გახედა. მერე საძინებელი ტომრები გადმოყარა და ხის ყუთი გახსნა. ყუთიდან სამი მჭიდი ამოიღო, „მეტი არ დამჭირდება, სასროლად ხომ არ მივდივარ.“ „O-1“-საც დახედა. „არა, არც „ლიმონკა“ მინდა, უნდა ვათრიო ის ოხრები, არ გამომედოს სადმე „კალიცო“ იმ ჯავჯგურში და არ ავფრინდე ზევით ჩემი ჩარჩოებიანად.“ ეზუხუბაიამ რკინის ფირფიტებამოცლილი ცარიელი ჯავშანწყილეთი ჩაიცავა, შიგ სამი მჭიდი ჩაიღო, ქურთუკი ბოლომდე შეიკრა, კარი გამოიხურა, ფრთხილად გაიხედა-გამოიხედა, მთავარ გზას ზურგი აუქცია და გაღისკენ წავიდა.

ხურჩასთან მისულმა რუსი „სამშვიდობოების“ პოსტს შემოუარა, საცალფეხო ხიდზე გადავიდა და მარწყვის მდელის გაყოლებული ბილკით ხურჩა-ნაბაკევის მოსაზღვრე მანდარინის ბაღებით შევიდა ნაბაკევიში. ცოტა ხანში ცველზე დაბზუსა გადამწვარ სახლს გასცდა, დიდ ორმოს აუქცია, რომელიც რუსული „ბეტერის“ ფუფასით აფთქების შემდეგ დარჩა, აჩბუბის დანგრეულ სახლს შემოუარა და ეზუხუბაიების უბანში შევიდა, სადაც საღამოს ბინდბუნდში ხუთი გადამწვარი სახლი ჩანდა. პირველი უფროსი ძმის იყო, მეორე მისი, დანარჩენი ბიძების. ოთხი სახლი ძირისპირობამდე იყო დამწვარი. გიას სახლის პირველი სართული და ხის აბანო, რომელსაც წყერი ჰქონდა ნახევრად ჩანგრეული, კოკისპირულ წვიმას გადაურჩინა. გიამ თავისი ეზოს ჭიშკარი შეაღო, აბანოში შევიდა, ავტომატი და ჯავშანწყილეთი აბანოში კარს უკან დაალაგა, იქვე დაღლილ შუშებში მიგდებული რკინის „გელა ლომი“ აიღო და დაპატარავებულ სახლთან მივიდა. სახლის კედლებს ხელით მოეფერა — „შენ გენაცვალე, შენ!“ — მერე ახალკახ-

ათიდან წამოღებული დიდი მათარიდან არყის გვარიანი ყლუპი მოსვა, კართან ჩაიჩოქა და საქმეს შეუდგა.

— მუს ხირულენჯ სი ბინძური ქორთუ სი? — ჭიშკრიდან ეზოში სამი აფხაზი გვარდიელი შემოდიოდა, დაურ კვეკვესკირი, ირაკლი გვარამია და საიდ თარბა.

„აუ, მაინც გამაყოლებს იმ მკვდარს მართლა საფლავში, ჩემი ცოლის დედა რომ ვატირე, თუ მიცნეს, ვინც ვარ მე, ნამებამი ამომხდინა სულს“, — გაიფიქრა გია ეზუხუბაიამ და ეგრევე დარჩა ჩაჩოქილი რკინით ხელში. ნელი ვეღარ აითრია. „არ უნდა გამდმოვსულიყავი, რომ ვნახე რა თარსი დღეც იყო დღეს. მორჩა, მოვიდა ჩემი აღსასრულის საათი.“ გია ეზუხუბაიამ ზეცაში აიხედა, მზე მოძებნა, მაგრამ ცაზე სიბნელის მეტი არაფერი იყო.

— მუს ხირულენჯ მა გოკითხუნა სი? — გაიმეორა მაღალმა საიდ თარბამ, რომელიც არხეინად მოაბიჯებდა, წინ მოუძლოდ დანარჩენებს.

გიამ მხოლოდ დაურ კვეკვესკირი იცნო, ერთხელ ჰყავდა ნანახი. „იქნებ ვერ მიცნო? არა, ვარიანტი არ არის, ტყვილი იმეღია.“ გია ჩუმად უყურებდა აფხაზებს. რკინის ლომი რატომღაც დაბლა დადო, მერე ისევ აიღო.

— ჰა, გუჯინ მუჭო ქინუოლ ხონარქი? — იკითხა მზიარულად საიდ თარბამ და მის უკან მიმყოფ დაურ კვეკვესკირს მოუბრუნდა.

დაურ კვეკვესკირი ღიმილით მოდიოდა და ოდნავ ირწეოდა, — გამკურინუო ნიე? შიში ანი ძირისი. მირექ დო მუს ხირულენქ, მიპასუხე თვარა უკანასკნელი გოკითხუქე გიჩქუდას,³ — საიდ თარბამ ავტომატე მოიმარჯვა.

— მუს ვხირულენქ ნიე, ესვანჯია ვორექ, თე სახლიშ პატრონ ფარა ქომსისხუ ვადომორთინუ უკულო. თამიე, ჯგირი ვაუკუეთე ოკო მითინს. შევანხუე ნაბეტანი თი უნამოსო, მინუ მეუ დო ჩქიმ სახლკარ, კარ-აკომქეფ ახალი ჭუბურიშ რენია, მეტი მუთუნ საშვალუბა ვანილუნია. მეტი მუთუნს ვეგვაროსკიდი თი უპატრონოშე, მახოლო მანგარო გამიჭიროდა ჯიმა, ვარა თაქ რა ჭირი გამომიყვანდა. ხურჩამ გამგებელ მუმაუნ ათეიშახ, თქვა ხოლო იჩინეთ, მარა იშენ ვავადეუდ აშო, მითინ არ იქნება არავინ, ნუ გომუჭუნია დო მეღე ქულდოკიღე თიქ!⁴ — რაც შეიძლება სანყალი ხმით თქვა გია ეზუხუბაიამ და გაიფიქრა: „ვერ მიცნეს მგონი ამ ოხრებმა, თვარა აქამდე დამიდედბდნენ ფეხებით.“

— „აქ რა ჭირი გამდმოგიყვანდა“ რა, კაცუჩამიები ვართ ჩვენ, თუ რისი თქმა გინდა მაგით? — მოულოდნელად ქართულად უთხრა დაურ კვეკვესკირმა და თვალბრძოლი ავმა ნაპერსკლამა აუბუღვა.

— არა, ბატონო, მაგ არც მიფიქრა მე, — ქართულად დაინყო გია ეზუხუბაიამაც და უცებ რუსულზე გადავიდა — ვისო ტაკი პლახუ ვრემია ჩქიმ პატივი, ბესპრედელ ი ნირახბირისა ვაკრუგ.

— დაგია შმანია ვო, — უთხრა საიდ თარბამ ირაკლი გვარამიას.

— ა, ძმავო, მოდი, — გია ეზუხუბაიამ ფრთხილად ადგა ფეხზე, — ნეტ უ მენია ნირივო — „ბანოსკენ არ გამეხედოს ნეტა, აბანოსკენ არ უნდა ვავიხედოს, თვარა დალუპული ვარ“, — გაიფიქრა.

— ხოლო მიშ ბრალიე, მტო ბესპრედელ, ნირახბირისა ი ბესპარიადოკ, კტო ვტობტ ბესპრედელ ნაჩი? ვი ვერუზინი. ვოტ ი რასპლანჩიავეტეს, — თქვა საიდ თარბამ.

— კაკიე გრუზინი, ანი მინგრელი — ჰა, ქართველი ხარ თუ მეგრელი ბიჭო, ა? — ჰკითხა ისევე დაურ კვეკვესკირმა ცუდი ღიმილით.

„სამივე ნასვამებია ესენი, მაგრამ ეს დაურა კვეკვესკირი ნამეტანი გლახად მიყურებს, ხომ არ მიცნო ამ ოხერმა თუ ექვობს რაღაცას.“

— ვარე, მუ მიღუ ქორთუში ხო ქოინი ესვანჯია ვორექ, სუფთა მარგალი ჩქიმ ბატონი,⁵ — გია ეზუხუბაიამ ერთი მოსანყლებული ტონი დაიჭირა და სულ ისე ლაპარაკობდა. ესვანჯიობაც იმიტომ გაიმეორა, რომ გადაამოწმბა, თუ მიცნო დაურ კვეკვესკიმბა, ეგრევე მომახლის, რაის ესვანჯია — ეზუხუბაია ხარო.

— მერე, რას აპყევით იმ ჩათლახ ქართველებს, თქვე უბედურებო, ა? — რა გინდოდათ?

„თუ რამეა, ამას მაინც გაუხეთქავ თავს და მერე რაც იქნება იყოს ის, რა გამიხურა ამ ჩემისამ?“ — გია ეზუხუბაიამ რკინის ლომს თითები მოუჭირა და მასზე ერთი თავით დაბალ კვეკვესკირს თვლილ გადაჰკრა.

— მუ მიჩქ ჩქიმ ბატონი.

— მუ ვანიჩქ? — და უცებ ისევ ქართულად დაინყო, — რა არ იცი? ახლა არც

აქეთა ხართ, არც იქით, აფხაზეთიდან გაგყარეთ ღელატის გამო და საქართველოშიც უპატრონოდ ხართ, ქართველები ლტოლვილებს და მეგრელებს დაგიძახებენ სულ... — ჩვენ რა შუაში ვართ, ბატონო, უბრალო გლეხი ხალხი ვართ, ჩვენ ვინ გვეკითხება?

— ჰოდა, რომ არ გვეკითხებათ, იმიტომ ხართ მონები. რაც მოგიტანათ ქართველების მონობამ ავერ ხართ, ა! ისიც არ იცით, ვისი მონობა სჯობია. ე, თქვენი ქართველები, — დაურ კვეკვესკირმა ავტომატის ხელი აიქნია ენგურისკენ.

„და შენ თვითონ ვინ ხარ და სადაური ხარ, ბიჭო, შენ, ა?“ — გია ეზუხუბაია მაგრა გამწარდა. თავს ძლივს იკავებდა.

— მართალიექ ჩქიმ ბატონი! — „არ უნდა გავიყილო, თვარა კრიშკა მაქ. სხვა დროს მოგუველი ამათ. დღეს არაა ჩემი დღე.“

— და ტი პალეგჩე, დაურ, პატიშე, ჩეგო ტი ნა ჩელავეკა ნაკინუსლა, ბეზარუსუნავა აბიჟაც ლეგკო, — საიდ თარბამ პირდაპირ შეხედა გია ეზუხუბაიას თვლებში. სიმალეში ზუსტად ტოლები იყვენ. საიდ თარბა ისე სუფთად, მშვიდად და უბრალოდ უყურებდა, ეზუხუბაია შეცბუნდა — „რანაირად მიყურებს ეს ოხერი.“

— მართალიექ, დაურ, მანგარ გლახა სიმთვრალეთ დავეჩემუ, — თქვა აქამდე ჩუმად მდგომმა ირაკლი გვარამიამაც. დაურ კვეკვესკირმა ერთი კი დააბრიალა თვალები, მაგრამ აღარაფერი უთქვამს.

— ოტკა ვიადუნ ბიძანქიმი? — მიუბრუნდა ირაკლი გვარამია გია ეზუხუბაიას, — დავგელია თითო ჭიქა, სუსხია და მოგვიხედებოდა ყველას.

— „კი, ჩემს არაყს ჩავახეთქებთ ახლა, მეტი საქმე არ მაქვს.“ — არა, სადა მაქვს არაყი, თორემ მართალი ბრძანებაა, დალევდა კაცი ამ გაჭირვებაში.

— ნი ბოისა გრუზინ, ზრია ნი ტრონემ, — უთხრა საიდ თარბამ.

— აბა, კარი გახსენი ერთი, — უთხრა ქართულად დაურ კვეკვესკირმა გია ეზუხუბაიას, — გამოინი აქით, — კარი შეაღო და საიდ თარბას და ირაკლი გვარამიას რალაც გადაულაპარაკა აფხაზურად.

— პრავილნა! — თქვა საიდ თარბამ და სახლში გარედან შეიხედა, მერე ეზო მოათვალაიერა და პირდაპირ აბანოსკენ წავიდა.

„მორჩა, დამთავრდა, ილორის წმინდა გეორგიც ვერ მიშველის ახლა“ — გაიფიქრა გია ეზუხუბაიამ და თვალები დახუჭა.

— ა, გამახსენდა, ჰა მოემე ია ზნაიუ გდე მოჟნა ნაიტი ნენმოჟკა ვოდკი, — წამოიძახა გია ეზუხუბაიამ და საიდ თარბას გაყვა უკან.

— ნეტ ნი ზდეს, ნი ვ ბანე, — გია ეზუხუბაიამ საიდ თარბას წინ გადაასწრო, კარი შეუღო, თვითონ აეფარა ავტომატს და ჯავშანწყილეტს, საიდ თარბამ სხვათაშორის შეათვალაიერა ღია კარიდან აბანო და ორივე უკან მობრუნდა თავიდან აბლაბუდეების შორებით.

— ვ კუხნე მოჟქე ბიც ასტავილი, ვ დომე.

(1) შენ ვის ნაომარზე ლაპარაკობ, შე ბოზიშვილი ნაბიჭვარო, მოკლავ შე ახვარო და მაგ ტუფლებში დავმარხავ. ვინ ხალხთან მომინევს ლაპარაკი, აქ შენი დედა... და იქ შენ რომ ლაპარაკში გამოგყვებოან იმ სერიოზული ხალხის, შე ჩათლახო შენ (მეგრ.).

(2) რას იპარავ, შე ბინძური ქართველო, შენ? (მეგრ.)

(3) ჰა, ნახე როგორ ჩაუვარდა ხმა? შეგეშინდა, ბიჭო? შიში ანი ნახე. ვინ ხარ და რას იპარავ-მეთქი, მიპასუხე, თორემ უკანასკნელად გეკითხებო, იცოდე (მეგრ.).

(4) რას ვიპარავ, ბიჭო, ესვანჯია ვარ მე, ამ სახლის ოხერი პატრონი ფულს მესესხა და აღარ დამიბრუნა მერე. მასეა, კარგი არ უნდა გაუკეთო არავის. რომ შევანხუე ძალიან, აქეთ მომიშვირა ხელი უნამუსო, ნადი და დახსენი ჩემი სახლიდან კარ-ფანჯრები, სულ ახალია და ნაბოს სხვა არაფრის საშუალება არ მაქვს მეო. ვერაფრის გამოერჩი მეტეს, ისეთი უსამველოა ის უპატრონო და მეც ძალიან გამიჭირდა, ძმავო, თორემ აქ რა ჭირი გადმოგიყვანდა. ხურჩის გამგებელი მომყვა აქამდე. იცნობთ თქვენც, მარა იმანაც ვერ გაბედა აქით, არავინ არ იქნება, ნუ გემიწიოთ და თვითონ ვალბა დარჩა მაინც (მეგრ.).

(5) არა, რა მაქვს ქართველის, ხომ გითხარით ესვანჯია ვარ, სუფთა მეგრელი, ჩემო ბატონო (მეგრ.).

დაინგრა ყორე,
მრავალი ქვა ჩამოქვეითდა?!
გადაურა დაინყების ბნელმა ბალახმა,
ჩვენმა ღმერთმა და,
რა თქმა უნდა, უწყის ალახმაც,
რატომ ვერ იქცა
ეს ქალაქი უოტერგეიტად.

ყოველივე ხომ მოუთმენლად
თავის დროს ელის
და ამდენ ხალხში,
არაერთი არის ბითური,
დაუკითხავად ნასტუმრები
ნამსვლელ-მომსვლელი -
მრავალჯერ მოხსულ
მინასავით გამოფიტული.

შენ მაგრად იდექ
და უყურე აჭრილ სიფათებს,
თავი რომ მოაქვთ ცრუ მტკიცებით
და ცრუ „ვაბანკით“,
ეს ქვეყანაა,
ოდესღაც რომ შენ დაიბადე,
თავისუფლების ნაცვლად,
სადაც გერგო ხაფანგი.

დილის ღოცვა

ეს ნათელი შენით არი,
ახლა დარდი მედარდება შენი;
შენ ისეთი კეთილი ხარ,
ყველაფერი გემეტება,
ჩემში ცოცხლობ,
შენი ერთი შემოხედვა მშველის.

გული ისე გამინედლე,
თითქოს იგი საყდარია,
ლოცვით ანაშენი,
შენ ისეთი მონყალე ხარ,
შენ იმდენად ყველასი ხარ,
მაინც გულში ყოფნა მიყვარს შენი.

ეს ნათელი უთქმელია
და უშენოდ ვინ ამოთქვას ენით?!
ველარაფერს ველარ ვამბობ,
ლამის სული დამელვარა,
გულში ყოფნა მენატრება შენი.



მოსწყინდა ჭკუის დარიგება...
ის თავს ჩაქინდრავს
და უჩინარ ცრემლს ჩასდევს,
გულში რომ ჩაიღვარა,
სადაც ქარივით აწყვეტილი რიტმი ჩაითრევს
დროში, რომელშიც
ჯერ ვერავინ ვერ გაიხარა.

ჩვეულებრივად,
ახლაც ამჩნევს მხოლოდ ზედაპირს,
ზოგჯერ სიღრმეც კი
ბუნდოვანი ზედაპირია,
ჯერ მოზარდია,
არც თუ ისე გაუბედავი
და თავნებობა სახიფათო მეტაფორია.

მომავალი კი ნათელი თუ უდაბურია,
არავინ იცის,
მეშინია იქით გახედვის,
მისი დუმილი აუხსნელი მეტაფორაა
და ვერც შეამჩნევს
ეს ცხოვრება ისე გახედნის.

დრო აღარ გვრჩება...
აღარ... თანაზიარებისთვის.
ეს იგივეა, რომ ყვავილი
ვერ პოულობდეს გასაშლელ ადგილს
და გაშლამდე იწყებდეს ჭკნობას.

მე რაღა დამრჩა,
გარდა შენი სიყვარულისა?!
მარტის უდაბნოს
გაზაფხულის ცეპი მორწყავენ,
შენ ხომ ყოველთვის და ყველგან მელი,
სულ უმიზეზო და გულმონყალე.

ამოსვლა სქოლიოდან

...და თუ კი ვინმეს ხმას მივანვდენ,
ვიტყვი, ღირდა ამოხედვა დაინყებიდან
და შენთან მოსვლა, იმ სიტყვებით,
შენს გასაგონად,
ოდესღაც რომ გულში გავივლე...

ამოვედი სქოლიოდან
და მზის სხივში
მტვრადქცეული ჩემთვის ვფუფუსებ.

შინ ყოფნა ისე მომნატრებია,
რომ გულისცემა გახშირდა უცებ
და მიკვირს, სხვები ვერც კი ხვდებიან,
სიჩუმეს ჩემი გული რომ უცემს...

შემოდი მარტო

ჩემს სიმარტოვეს შევეზარდე,
ახლა ისე ვარ...
იყო, არ იყო, ის, რაც იყო
თუ არ ყოფილა?!
ყოველი ჩემი სიმარტოვე
შენით ივსება,
მადლობა უფალს,
რაც მიბოძა, რომ მამყოფინა.

აი, ბალახი,
ჩემს მზერაში რომ ამოვიდა
და მარტის გზას რომ
უნებლიეთ ჩემში აგრძელებს,
ის აღმოცენდა
უდიადეს სიმარტოვიდან,
სწორედ იმდენჯერ,
რამდენჯერაც იგი აცელეს.

შემოდი მარტო,
ვემზადები შენთან საფრენად,
შენ თამამ-თამამ, მისხალ-მისხალ
ჩემში იწყები,
ჩვენი მკლავები
გაიშლება მალე აფრებად
და ერთმანეთის
მონატრებას მივეფიცებით.

ელიტ შტანის

მე მხოლოდ შენკენ, შენი გზისკენ,
შენკენ და ჯვარზე...
ყოველდღიურად, ყოველ ჯერზე,
მუდამ, ხელახლა...

ვსუნთქავ ამ ბალებს
და ლელვის ხის ნაცრისფერ მერქანს
თვალეებთან მოაქვს დროის ნაცარი,
რასაც ოდესღაც სიცოცხლე ერქვა
და მზის სუნთქვაში მნიფდა თავისთვის..

მე მხოლოდ შენკენ, შენი გზისკენ,
შენკენ და ჯვარზე...
ყოველდღიურად, ყოველ ჯერზე,
მუდამ, ხელახლა —
მხოლოდ საკუთარ თავის გავლით
და ამ დღეებთან მარტო ყოფნით,
დღემდე რომ მჩუქნი —

ჭვრეტით და ფიქრით და იმ სხივით
სულში რომ ძვრება...
გათიბულია ჩემი წარსული,
და ჩემს ზაფხულებს შეკრავენ ძნებად.

მე მხოლოდ შენკენ, შენი გზისკენ,
შენკენ და ჯვარზე...
კიბის ყოველი საფეხურის ხელახლა ავლით,
წრეების სუნთქვით,
განქარებულ სურვილთა ნავლით
ვივსები კვლავაც...

ტკივილის შუქით გამსჭვალულ სიტყვებს
ჭვრეტენ თვალები შენისლულები,
ყოველდღიურად,
ყოველ ჯერზე,
მუდამ და ახლაც —
ნალურსმევეებით მიყურებენ ხელისგულები.

მე მხოლოდ შენკენ, შენი გზისკენ,
შენკენ და ჯვარზე...

ყოველდღიურად, ყოველ ჯერზე,
როგორც პირველად...

შეჭირხლულ მინას სულის შებერვით
გაულოდბ ყინულს, თვალს გააყოლებ
ფარულ სამყაროს, სადაც ბებერი
ძვლები დატოვეს და ააყორეს,
აქვე, გზის პირას, სადაც ანწლივით
გაზრდილი წლები ჩრდილებს ისხამენ,
მათ საფლავები დაინანილეს
და მიენიათ მზერა მსუსხავი —
მეხსიერების ამოკანკანერელი,
მუდამ ზურგსუკან რომ დგას შიშით
და შენს კვენსაზე არის აცრილი
მეუდაბნოე ხსოვნის შიმშილი.

ის კი არ ამბობს, მასში აბოდეებს
ჟამი, რომელიც უდაბურია,
მალე თავისთავს გადააბოტებს —
შემლილი მეფის ბუტაფორია!

რამდენი ღამე უნდა ვათენო,
ერთი დღე მაინც რომ გამოდნეს,
ოღონდ ისეთი, ჩვენ რომ გვიყვარდა.

მთების დეკოლტე ალპურ ზონასთან,
ქვემოთ კი ვინრო ხევის დეკორი...
სიჩუმე ჩვენი იქცა მონასტრად
შემკული ზეცის ლურჯ კოლენკორით.

არ მიზოზინებენ, დღეები გარბიან,
აღარც ღამეები ღამეს არ მითევენ,
ამ გადარბენების სიჩქარემ ამწენა,
ველარ დავენიე, ვზი და მეფიქრება:
უფალო, მაქციე იმ სიტყვის ნამცეცად,
რომელიც ყოველთვის დუმის იქნება.

მაოთხე შეჩარება

სხვაგან არა.
ის შენში კვენსის
და მადლიერი უნდა იყო,
რადგან წუხილი აქამდე მოგყვა
და ბნელ ღამეს ისევ გინათებს.

შენი ფანჯარა —
ჩარჩოში ჯვარი,
ბავშვობას კი არ გადაჰყურებს,
ის ჩარჩოს კარგავს
და ქლამინდევით ჩანს ღრუბელი ჩამავალ მზეზე...

აქ მალე მოლი ამოვივლის
და კრამიტი გადმოიხედავს...

წონასწორობა ცალთვალაა თარაზოსავით
და ხანდახან ცალ თვალსაც ხუჭავს,
შემოეყრება როცა შვილი მწუხარე დედას...

ეს ყველაფერი
ამ დღესავით ღამეში ხდება
და აჩრდილებიც აქ ჩნდებიან
ტკივილის შუქზე..

თედოს

ბალი, შავ-თეთრი პეიზაჟი,
სადაც თვალთ გავალწვე ზოგჯერ
და ვაშლის ხესთან ჩერდება მზერა.

იქ განისვენებ, ჩემო ძმობილო,
მაგრამ დღესაც თანამგზავრი ხარ
ამ სიცოცხლეში და ხანდახან
ხელსაც მინვდი, რომ არ დავცე
და ვგრძნობ შენს მხარსაც სიარულისას
და მივდივართ ასე მხარდამხარ,
იქითკენ, იქით...

შენ პოეტი და ხევისბერი იყავ ბუნებით
და ჩემს თვალწინ დალიე სული.

იქ, დიდუბეში, მეცხრე სართულზე,
სამოთახიან ბინაში კვენსა
ახლაც გაისმის ღამის ჰაერში
ყრუდ და წყვეტილად.

მერამდენედ წამოვედე
ხსოვნაში ეკლებს,
თითქოსდა იმის შესახსენებლად,
რომ ცოცხალი ვარ.

ბალი, შავ-თეთრი პეიზაჟი,
სადაც ეზოსთან კარსმომდგარი
ტყის დუმილიც წუთიერია
თეთრი არაგვის შუილის ფონზე.

ალხაზიშვილი

აქიმათა ვიზიტი

სახის კანის სიმშრალემ შემანუხა და დერმატოლოგს მივკითხე. ახალგაზრდა ექიმმა, მას მერე, რაც აუფხენი, რამანუხელებდა, დაკვირვებით დამათვალეირა. მეც შევათვალეირე მორიდებულად, მშვენიერი ქალი იყო; გამიღიმა, მაგიდას მიუჯდა, გამომინერა რალაც საცხი, სახის კანის მკვებავი, კანს რომ ასაზრდოებს და განაახლებს. მადლობა გადაუხადე და, ვიდრე დავემშვიდობებოდი, მანამდე მირჩია, რეზურე გაამრავლებულ ნაოჭებზე, რომელთა თანდათან შემცირება-გაქრობას დამპირდა უმტიკივნილო ნემსების მეშვეობით, ცხადია, გარკვეული ანაზღაურების საფასურად.

ორაზროვნად გამეღიმა და მშვენიერ ახალგაზრდა ექიმს, არ ვიცო, რა ბზიკმა მიკბინა, მივუგე, თუმცა, კი არ მივუბე, მოურიდებლად მივუგდე:

— ნაოჭებს მინა გამისწორებს, თქვენ ნუ იდარდებთ.

გაოცებულმა შემომხედა და გულწრფელად მირჩია:

— ასე აღარ იხუმროთ. არ შეიძლება... — და სწრაფად დატოვა ოთახი.

არ ვიცო, მომეჩვენა თუ მართლა ნაციცეკვა ოთახიდან გასვლისას ისე, რომ ლამაზი და ჯანმრთელი თეძოები ხაზგასმულად მთარნ-მთარნია. როგორც ჩანს, ეს იყო პასუხი ჩემს სასტიკ ხუმრობაზე, უსიტყვო, სხეულის მოძრაობით ნათქვამი პასუხი. დავიბენი და მოზოდიშება ვერ მოვასწარი, თუმცა არც ვაპირებდი, რადგან თვითორონის ხასიათზე ვიყავი და დავცინოდი ყოველივე წარმავალს, უპირველესად საკუთარ სხეულს, მაგრამ ის, რაც თეძობა მითხრეს, ხმამალა არ ვიტყვი, მხოლოდ გულში გავივლე.

გულგრილობა

ნაპისმინარი გაბატონებული კულტურა ბუნებრივად აჩენს კონტრკულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობას, შესაბამის ატმოსფეროს და ნიადაგს. როცა კონტრკულტურა თავს დაიმკვიდრებს და იქცევა ერთგვარ კლასიკად, დროთაგანმავლობაში, მასაც გაუჩნდება ალტერნატიული კონტრკულტურა. ლიბერალური ღირებულებებით ჯერ ადრექრისტიანული, ხოლო მოგვიანებით პროტესტანტული კულტურის ჩანაცვლება არ იყო უმტიკივნილო პროცესი და ასეთ გარდასახვას ან იქნებ უფრო სწორია, ვთქვა — თავის ახლით შობას ყოველთვის თანსდევს „მომხმარებლის“ ბუნებრივი პროტესტი, ტკივილის შეგრძნება გამომობლიურებული სტერეოტიპების მთელი კომპლექსის წგრვის გამო. ეს ის პროცესია, როცა წგრება წინმსწრება და აჩენს გაურკვეველი სიახლის ბუნდოვან მოლოდინს და არავინ იცის, საით წაიყვანს ირაციონალური ძიება მადიებელს. ბევრი რამ ნათლად გვაჩვენა ლიტერატურის ისტორიამ, მუდმივი განახლების პროცესი უწყვეტია და ვინც აღარ იცვლება და ერთ ადგილს შეეხამა, იმავე ადგილს ტკეპნის, მას მივიწყების ხავსი ისე გადაუვლის, რომ სტერეოტიპური აზროვნების ტყვეობაში მყოფი თვითონაც ვერ შეამჩნევს...

ისიც გვასწავლა ლიტერატურის ისტორიამ, რომ ნებისმიერი ნოვაცია ვერ დამკვიდრდება, რაც უნდა პროპაგანდისტული სამსახური გაუწიოს არსებულმა პრომოუშენმა.

სუბკულტურული აღმოჩენები სუბკულტურაშივე რჩება, თუმცა არსებობს მათი ვინროწრიდან გაღწევის დამკვიდრების არაერთი მაგალითი.

ასე იქმნება საერთო ლიტერატურული გარემო, გამოუდგები რომ იცვლება და ოკეანესავით ნაპირზე რიყებს ცოცხალ თევზებს და მკვდარ სხეულებს, აგრეთვე წერილებიან ბოთლებსაც, რომლებსაც, როგორც გამოცდილება გვკარნახობს, შესაძლოა არაერთი მკითხველი გამოუჩინდეს.

ჩუმი პროტესტის ხმაურიანი ვითვისება

ცხრა აპრილის უმძიმეს შედეგებს თბილისში, მთელ საქართველოში, ბუნებრივი პროტესტი მოჰყვა. მწერალთა კავშირში, მასსოვს, გაისმა მონოღება, პროტესტის ნიშნად პარტიული თემა ჩაეხარებინათ კომპარტიის წევრებს. უმრავლესობამ მყისვე აიტაცა ეს აზრი და დაიწყო პარტიული თემების ჩაბარება ძველმა და ახალმა კომპარტიის წევრებმა. ზოგი ისე აბარებდა პარტიულს, რომ ვინაობას არ ამხელდა, ეს უფრო პირადი მოკრძალების გამო ხდებოდა, აქაოდა, აბა, რა გმირობაა ამის გაკეთებაო. აწვდიდნენ პარტიულს უკანა რიგებიდან და გადასცემდნენ მენინავეებს. ერთ-ერთი „მწერალი“ ზედმეტად აქტიურობდა სხვათა გადმონვდილი პარტიული თემების ჩაბარებაში. ვიჯექი და ამ ტიპის საქციელს ძალაუბრურად თვალს ვადევნებდი. ჩემი თაობის მწერლები ერთად ვისხედით. მე რადგან პარტიის წევრი არ ვიყავი, როგორ უნდა ჩამებარებინა ის, რაც არ მქონდა? გუშინდელი დღესავით მასსოვს, როგორ ამოიღო სოსო პაიჭაძემ პარტიული ბილეთი და გადასცა იმ აქტიურ „მწერალს“, რომელსაც ყველა მისჩერებოდა, რადგან ყურადღების ცენტრში მოკალათებული, სხვათა დასანახად ირჯებოდა. სოსო პაიჭაძეს პარტიული თემა მოართვა ამ აქტიურმა ფსიქო-ტიპმა და მთელი ხმით შესძახა: ა, ჩემი პარტიული თემა პროტეს-

ტი ნიშნად! ყველას დაანახა პარტიული თემა, როგორც თავისი, სინამდვილეში სოსოს რომ ეკუთვნოდა და მაგიდაზე მთელი ძალით ისე დააგდო, რომ მაგიდამდე მოქნიული ხელიც მიაყოლა და ბრაზუნს ყიჟინა მოჰყვა. ასე ჩააბარა სოსო პაიჭაძის პარტიული თემა „მწერალმა“, რომელსაც პირობითად ცნობილი ფრანგი პოეტის სახელი ანრი მიშო დავარქვი მასთან მხოლოდ ფონეტიკური ნათესაობის გამო. იყვნენ სხვა პარტიული მწერლები, რომ არ ჩაუბარებიათ პარტიული თემა, საერთოდ ნაუყრუს ამ აქციას და საიმედოდ შეინახეს უჯრებში პარტიული საბუთები, იმის შიშით, ვინ იცის, რა დრო დადგება და როდის დაბრუნდებიან. დაბრუნებით ვერ დაბრუნდნენ, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს უზენაეს საბჭოში სხვა ფრაქციებთან ერთად კომპარტიული ფრაქცია შეიქმნა, სადაც სწორედ ის მწერლები აღმოჩნდნენ, პროტესტის ნიშნად რომ არ ჩააბარეს მათთვის ესოდენ საყვარელი პარტიული თემა.



კონფესიის მილიარდობით მორწმუნე ადამიანი და ამდენად დესაკრალიზაციის სრული გაბატონება, საბედნიეროდ, ჯერ ვერ განხორციელდა. ამიტომ დესაკრალიზაციის მასშტაბზე საუბარი რთულია, თუ გავითვალისწინებთ ახლანდელ მსოფლიოში არსებულ სინამდვილეს. რაც შეეხება მეორე შეკითხვას ლიტერატურული თემათების ტრადიციული ანუ ქრონოლოგიური მეთოდით დაყოფას და შეკითხვას, მე როგორ დავყოფდი ქრონოლოგიის გვერდის ავლით, იმავეს ვავიძობ: უმთავრესი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს მწერლის სტილისტიკას, ესთეტიკას, მსოფლმხედველობას და ამ ნიშნებით კლასიფიცირდებოდეს, ვიდრე ერთმნიშვნელოვან ქრონოლოგიურ დასახელებას — სამოცდაათიანელი ან ოთხმოციანელი, რაც თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს და მხოლოდ პირობითი, ან უფრო მექანიკური აღმნიშვნელია, ამა თუ იმ მწერლის ასპარეზზე გამოსვლის დროს რომ მიუთითებს და სხვას არაფერს. ამ განცხადებას ვაქვეყნებ იმ მკითხველთა საყურადღებოდ, ვისთანაც დაკონტაქტება სხვაგვარად ვერ შევძელი. და ბოლოს: შეგებულად ავარიდე თავი მიმდინარე ლიტერატურულ პროცესზე საუბარს, რადგან ჩვენში ლიტერატურული პროცესი იმ მასშტაბისა და დონისაა, როგორც იყო ყოველთვის და მას ცალკეული ავტორები განსაზღვრავდნენ და ასაზრდოებდნენ; ვფიქრობ, ასე გრძელდება დღესაც, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ სუბკულტურულმა ტენდენციამ მოიკიდა ფეხი და იმ სივრცეში ხმაურობს, სადაც არსებობს — ანუ საკუთარ თავში.

გულგრილობა

კიდეც ერთხელ დავრწმუნდი, რომ გულგრილობა ისეთი რამეა, წარმატებით და უშფოთველად რომ იყენებენ ერთმანეთის და სხვათა გასანადგურებლად. მიუხედავად ამისა, მე ვერ გავხდები გულგრილობის გულგრილობით დამთრგუნველი. ძნელია, რადგან წართმეული მაქვს ნაყრუების უნარი. თუმცა, არსებობს გამოთქვების, აკვირებულ, შიზოიდ და ღვარძლიან ტიპს კამათში არასოდეს აყვავები. ამაში დამარწმუნა სახარებებიდან ამოკითხულმა ამ აბზაცმა: „ტიმოთე თავი 6.4. ის ამპარტავანია და არაფერი იცის, არამედ შეკითხვებისა და პაექრობის სნეულება სჭირს, რომლებსაც განაც წარმოიშობა შური, დავა, გმობა და ბოროტი ეჭვი, 5. ამო კამათი გარყვნილი გონებისა და ჭეშმარიტებას მოკლებულ კაცთა შორის, რომელთაც ღვთისმოსაობა მოსაგები რამ ჰგონიათ. მოერიდეთ ასეთ ადამიანებს.“

პრეინტაციზა დამსწრეთა საყურადღებოდ

(ბამომცემლობა „სიესტა“. „ეპისტოლეთა ნიგნი“ — 11. 14. 2012წ.) მადლობას ვუხდის ყველას, ვინც დაესწრო ჩემი ახალი პოეტური კრებულის „ეპისტოლეთა ნიგნი“-ს პრეინტაციას. დავინახე, როგორი ინტერესით საუბრობდნენ მკითხველები, კოლეგები იმ პრობლემებზე, რომელიც საყოველთაოა და ჩვენს რეალობაშიც ფესვი გაიდგა. დასმული შეკითხვებიდან დამამახსოვრდა სამი, სხვა თემამ რომ გადაფარა, და პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი. ერთი შეკითხვა დესაკრალიზაციას უკავშირდება, ხოლო მეორე ლიტერატურული თემათების დაყოფის პრინციპს გულისხმობს. დესაკრალიზაცია ტყუპისცალია დეჰუმანიზაციის, ლოგოსის დეკონსტრუქციის და ჩვენ ვხედავთ მასშტაბური დესაკრალიზაციით გაჩენილ რეალობას, რომელიც ანადგურებს ინდივიდს და ასაზრდოებს ამბოხებულ მასებს, რომელმაც გასულ საუკუნეში გაიმარჯვა და კულტურას ცივილიზაციის ჩრდილში ყოფნა ან სულაც გაქრობის პერსპექტივა მიუსაჯა. ნუ დაგვავინწყდება, რომ დესაკრალიზაციას არ ექვემდებარება სხვადასხვა



კონფესიის მილიარდობით მორწმუნე ადამიანი და ამდენად დესაკრალიზაციის სრული გაბატონება, საბედნიეროდ, ჯერ ვერ განხორციელდა. ამიტომ დესაკრალიზაციის მასშტაბზე საუბარი რთულია, თუ გავითვალისწინებთ ახლანდელ მსოფლიოში არსებულ სინამდვილეს. რაც შეეხება მეორე შეკითხვას ლიტერატურული თემათების ტრადიციული ანუ ქრონოლოგიური მეთოდით დაყოფას და შეკითხვას, მე როგორ დავყოფდი ქრონოლოგიის გვერდის ავლით, იმავეს ვავიძობ: უმთავრესი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს მწერლის სტილისტიკას, ესთეტიკას, მსოფლმხედველობას და ამ ნიშნებით კლასიფიცირდებოდეს, ვიდრე ერთმნიშვნელოვან ქრონოლოგიურ დასახელებას — სამოცდაათიანელი ან ოთხმოციანელი, რაც თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს და მხოლოდ პირობითი, ან უფრო მექანიკური აღმნიშვნელია, ამა თუ იმ მწერლის ასპარეზზე გამოსვლის დროს რომ მიუთითებს და სხვას არაფერს. ამ განცხადებას ვაქვეყნებ იმ მკითხველთა საყურადღებოდ, ვისთანაც დაკონტაქტება სხვაგვარად ვერ შევძელი. და ბოლოს: შეგებულად ავარიდე თავი მიმდინარე ლიტერატურულ პროცესზე საუბარს, რადგან ჩვენში ლიტერატურული პროცესი იმ მასშტაბისა და დონისაა, როგორც იყო ყოველთვის და მას ცალკეული ავტორები განსაზღვრავდნენ და ასაზრდოებდნენ; ვფიქრობ, ასე გრძელდება დღესაც, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ სუბკულტურულმა ტენდენციამ მოიკიდა ფეხი და იმ სივრცეში ხმაურობს, სადაც არსებობს — ანუ საკუთარ თავში.

აპი ფიქრი

აი, ეს ქვა თავკიდური ვერ გახდება და მხოლოდ თავში ჩასარტყმელად თუ გამოდგება, აბა, სხვა რისთვის?! რაში უნდა გამოვიყენო, ვინმეს თუ ვესვრი კარაღით სკენ მიმავალ გზაზე, ან ვიღას ვესვრი, არჩევნები უკვე დამთავრდა. მოდი, აქვე გავაფხავო, აბა, ვინ იცის, მომავალი არჩევნებისთვის იქნებ დამჭირდეს...

აბა, ამ ქვას რა თავში ვიხლი?! ამ ფიქრში იყო, როცა სიპ ქვას ფეხი წამოკრა და შარავზე გადაქანდა მოცელილივით. გაბრაზებული წამოდგა და შარვლის ტოტს რომ იბერტყავდა, თან ბურტყუნებდა: ეგდოს ეს ქვა, არაფერში გამოდგება, ზედ ხავსიც ვერ ააცოცდება, რადგან სიპია. ისევ ვინმეს თუ ნააქცევს და ის ვინმე თუ ჩემი ძმა კოლა აღმოჩნდა, ხალისით მივალ, წამოწვევები შარავზე და ამ სიპ ქვას მადლობის ნიშნად ცივ ლოყაზე ვეამბორები. ფიქრში წასული იმავე ქვას წამოედო, გაიშხლართა და შეიგინა: შენი დედა... მაგრამ ლანძღვა არ დაასრულა. ძმას თუ დედას შეაგინებდა, განა თავის დედას არ აგინებდა? ერთხანს იარა, იფიქრა, შესაგინებელ ვინმეს ეძებდა, ოღონდ ისეთს, ძმას რომ უყვარდა. ეძებდა და იპოვა კიდევ: კოლა, შენი პარტიის დედაც... და მიბა ქართლ-კახურად ცხრასართულიანი. ნეტავ, რომელ პარტიას ლანძღავდა ეს ბედმაგი, ესა, ჰა?

უაყოფილი თუ მიუღწევადი პროფსიონალიზმი?

მოყვარულთა დრო დადგა და პროფსიონალიზმის ლიტერატურაში უმრავლესობისთვის სრულებით არ არის სავალდებულო, რადგან შეუძლებელიცაა. დაკარგული მკითხველის ძიებაშია პოეტი, რომელმაც ათწლეულების განმავლობაში გარკვეულწილად თვითონ თქვა უარი მკითხველის სურვილების შესრულებაზე. აქედან იწყება დიდი თემა, მაგრამ არ მაქვს დრო, ეს საკითხი განვაგრძო. ერთს კი ვიტყვი: როგორც ჩანს, პოეზიით თვითმომსახურება უფრო მისაღები გამოდგა პოეტებისთვის, ვიდრე პოეზიის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, თუ გნებავთ მოქალაქეობრივი ტონალობა. არაფერს ვამბობ რწმენის არა პლაკატურ, არამედ არსობრივ ხარისხზე, სიღრმისეულ შრეებზე.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ნიკოლოზ ჩაჩავას კარგად ვიცნობდი. უაღრესად კეთილშობილი და მოკრძალებული ადამიანი გახლდათ. ვერც კი წარმოვიდგენდი, თავის დროზე სიგანეზე გაუთოებულ შარვალს თუ იცვამდა და ბოლოს ჰალსტუხად იკეთებდა, ლაყ კვერცხებს თუ უშენდა სიმბოლისტ კოლეგებს და ხეზე თუ ადიოდა საიმისოდ, რომ იქიდან გადმოემადრევენინა. ეს ყველაფერი მისივე მეგობრების ნაამბობიდან ვიცი, კერძოდ კი ჩემი მოგვარე, ასევე ცნობილი ფუტურისტი შალვა ალხაზიშვილი რატომღაც უხალისოდ იხსენებდა. მისი ცხოვრება გაჯერებული იყო გამბული ეპატაჟებით, პროტესტით და ანარქისტული გამოხედვებით, მრავალთა ყურადღებას რომ იპყრობდა, მაგრამ მისი ფუტურისტული ტექსტები დღემდე უყურადღებოდ დარჩა გასაგები მიზეზის გამო, მის ეპატაჟებს კი ახლაც იხსენებენ ლიტერატურულ წრეებში, როგორც გასული საუკუნის 20-იანი წლების ხმაურიან ილუსტრაციებს. როცა დაეუახლოვდი ამ შესანიშნავ ადამიანს, მეტად თავმდაბალი და უპრეტენზიო მერვენა სხვებისგან ნაამბობი ეპატაჟური ლეგენდების და ყოფილი ფუტურისტის გახმაურებული წარსულის ფონზე. მაშინ უკვე აღარ წერდა სადიდო ლექსებს, ძირითადად საბავშვო პოეზიას მისძალებოდა და საბავშვო ლიტერატურის ლიტ. სექციაში საქმიანობდა მწერ. კავშირში. ვინ წარმოიდგენდა, ეპატაჟებით განთქმული ანარქისტი პოეტი, მომავალში კურდღელსა და სტაფილოზე თუ შეთხზავდა საბავშვო ლექსებს?! ფუტურისტულ წარსულს მივლით, უკომენტაროდ იხსენებდა. მისი ლიტცხოვრებიდან ტექსტები კი არა, ის ლეგენდები და ნამდვილი ამბები გადარჩა, რასაც მასზე ჰყვებოდნენ მისი მეგობრები ან თვითმხილველები და ტყუილმართალს ერთიანად მას მიანერდნენ. ასეც ხდება, როცა ეპატაჟური ტრიუკი შემორჩება ხოლმე მესხიერებას, ხოლო ტექსტი ჩაიკარგება დიდი ხნით უგზო-უკვლოდ, თუ რა თქმა უნდა, კატულუსივით არ ამოვიწინთ ათასი წლის დუმილის შემდეგ. კატულუსი მამველი რგოლივით გამახსენდა ჩემი კოლეგების გასამხნეველად და დასაიმედებლად. მარჯვე ეპატაჟით შესაძლოა საზოგადოება გააოგნო და თავი დაამახსოვრო, მაგრამ შესაბამისი ტექსტი თუ არ გაგაჩნია, სხვა არაფერი გამოვა ამ თამაშიდან გარდა უტექსტო ხუმრობისა.

ლალი ავალიანი

სიყვარული მთაში ანუ

დანოელი ჯულიეტა რომეოს გარეშე

ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის „ალათოს“ გამო

ადვილი ამოსაცნობია, რატომ დავ-
ესესხე გურამ რჩეულიშვილს. „სიკვდილი
მთაში“, მისი ერთ-ერთი მყისიერად გახ-
მაურებული მოთხრობა (ე.წ. მთის ციკლის
სხვა თხზულებათა დარად) მიგვანიშნებს
მყიფე სხვაობას სიკვდილ-სიცოცხლესა და
სიკვდილ-სიყვარულს შორის. გარდა ამისა,
სწორედ გურამ რჩეულიშვილმა მისცა ბი-
ძგი ჩვეულებრივ, რიგით თბილისელ ახალ-
გაზრდა თაობებს დაძრულიყვენ მის ნა-
კვალეზე და შეეცნოთ მათთვის სრული-
ად უცნობი ფენომენი — მთა, სამარადუა-
მოდ ალბეჭდათ სულსა და გულში მისი
უნიკალურობა და გაუნელეებელი ხიბლი,
სამარადისოდ „დასნეულეულიყვენ“
მთით.

მთის შვილთა „ცხვებურობაც“ (რაც
ვაჟა-ფშაველასა და უმდიდრესი ფოლკ-
ლორის წყალობით უკვე გაცნობიერებუ-
ლი გვექონდა) სხვაგვარად წარმოჩნდა
თუშ-ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობის
კვლობაზე. ბედმა გამიღიმა და, უნივერ-
სიტეტის დამთავრების შემდეგ, „ვაჟა-
ფშაველას კაბინეტის“ მუდმივმოქმედი
სემინარის წევრი და მისი ექსპედიციების
უცვლელი მონაწილე გახვდი.

დიდი მეცნიერისა და პედაგოგის, კაბ-
ინეტის დამაარსებლისა და ხელმძღვანე-
ლის (1962-1974 წწ.) პროფესორ გრიგოლ
კიკნაძის არსებობა პირწმინდად აქარ-
წყლებდა თეზისს, რომ შეუცვლელი ადამი-
ანები არ არსებობენ. იგი თხემით ტერფამ-
დე დისიდენტი გახლდათ, როგორც „ლიტ-
ერატურული“ ისე ზედმინწინითი გაგებით.
მისი პირადი ცხოვრება, საზოგადოებრივი,
შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღ-
ვაწეობა მეტყველი მაგალითია იმისა, თუ
როგორ უნდა შეინარჩუნოს პიროვნებამ
შინაგანი თავისუფლება, თავისუფალი
აზროვნება და მოქალაქეობრივი აქტივო-
ბა უმკაცრესი ტოტალიტარიზმის
პირობებშიც კი — 1945 წელს მისი ბრწყინ-
ვალედ დაცული სადოქტორო დისერტა-
ცია „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, ცეკას
ჩარევით, უნივერსიტეტის სამეცნიერო
საბჭოს „დამუშავებით“, ანუ მკაცრი დატუ-
ქსებით, აგრეთვე, რექტორის — უკომპრო-
მისო პიროვნების, დიდი მეცნიერის
ალექსანდრე ჯანელიძის გადადგომით და
გრიგოლ კიკნაძისათვის მინიჭებული დოქ-
ტორის ხარისხის გაუქმებით „დაგვირგვინ-
და“.

საბედნიეროდ, ბატონ გრიგოლს,
ბუნებისაგან უხვად მიმდლებული ზნეო-
ბრივი მაქსიმალიზმის გარდა, უხვად ჰქონ-
და სტოიციზმიც. „ვაჟა-ფშაველას შემო-
ქმედება“ მხოლოდ თორმეტი წლის შემდეგ
გამოიცა, ხოლო ავტორმა წამოიწყო
თითქოსდა უტოპიური საქმე — უნივერ-
სიტეტის ნიაღში „ვაჟა-ფშაველას კაბინე-
ტის“ ჩამოყალიბებით რომ დასრულდა.
სწორედ აქ მიეცა ფართო გასაქანი ბატონ-
ნი გრიგოლის ადმინისტრაციულ ნიჭს და
სამეცნიერო-კვლევით გუნდურ მოღ-
ვაწეობას ვაჟა-ფშაველას ხსოვნის უკვე-
დავსაყოფად. სრულიად უსახსრომ, შესძ-
ინა კაბინეტს ფასდაუდებელი სამუზეუმო
ექსპონატები (ე. ამაშუკელის, ე. ახვლედი-
ანის, ლ. გუდიაშვილის, კ. სანაძის, ი. ორიაუ-
რის, გ. ორიაურის, ი. სუმბათაშვილის, ლ.
ცუცქერიძის, თ. ჯაფარიძის და სხვათა
ნახატები და ქანდაკებები). ამ საგანძურის
უსასყიდლოდ „მოხვეჭა“ მხოლოდ
გრიგოლ კიკნაძის უდიდესი ავტორიტეტი-
სა და უზადო რეპუტაციის, აგრეთვე, მისი
პიროვნული ხიბლის გამო გახდა შესაძლე-
ბელი. მოგვიანებით ბატონმა გრიგომ დიდი
ხნის ოცნება აღისრულა — ნაბიჯ-ნაბიჯ
მოიარა ვაჟა-ფშაველას „დევის ნაფხურე-
ბი“; ეს იყო ექსპედიციათა სერია — „ვაჟა-
ფშაველას ნაკვალევზე“, რომელმაც ხელმ-
ესახები ლიტერატურათმცოდნეობითი
შედეგისა და ფოტოალბომის გარდა,
მონაწილეთა სულეში მშვენიერებისა და
სიდიადის ნარუხოცელი ტვიფარი დატო-
ვა. ამ ექსპედიციათა სული და გული ჩვენი
დაუვიწყარი მეცნიერი, ფოლკლორისტი,
მწერალი ლექსო ჭინჭარაულიც იყო...

გამოხდა ხანი და ყველასათვის სასიქ-



ადულო სამეულმა — ვახუშტი კოტეტიშ-
ვილმა, თენგიზ მირზაშვილმა და ლექსო
ჭინჭარაულმა — მეოცე საუკუნის 70-იან
წლების ბოლოს თუშ-ფშავ-ხევსურეთის
თანამედროვე ხალხური პოეზია სრული-
ად საქართველოს კუთვნილებად აქციეს:
მთაში „მოძიებული“ ავტორები ფილარმ-
ონიის დიდ დარბაზში მოაბრძანეს და ათა-
სობით ტელემეფურელისთვისაც გახადეს
მისაწვდომი მათი ხალხის ლექსები. ისიც
ღირსსაცნობი იყო, რომ საღამო 1979 წლის
14 აპრილს გაიმართა და ლამის მეორე
ეროვნულ მანიფესტაციად იქცა (1978
წლის 14 აპრილს ხომ დედაენის სახელმ-
ნიფო ენად გამოცხადების მოთხოვნას
კინაღამ შეენირა ქართველი ახალგაზრდო-
ბა). ეს თარიღიც კოტეტიშვილის პარა-
დოქსთა სიას უნდა მივათვალოთ.

იმ დღემ კვლავ ერთარსებად აქცია
ქართული პოეზიის მადლით ცხებულის სე-
ნა და ალტაცებისა და მოულოდნელობის
აგან გოგონებულ დარბაზს. დროთა კე-
შირი კვლავ გამოილანდა: საღამოს მეს-
ვეურთ წინა თაობის დიდებულ მოქალაქე-
სა და მეცნიერთან გრიგოლ კიკნაძესთან
გულთაძი მეგობრობა და უანგარო თან-
ამშრომლობა აკავშირებდათ (იგი გარდა-
იცვალა 1974 წელს).

პოეზიის საღამომ რამდენიმე პოეტური
სასწაული გვაჩუქა, მათ შორის უპირველეს-
თაგანი სრულიად ახალგაზრდა გოგონა
ეთერ თათარაიძე გახლდათ. პირველი მთა-
ბეჭდილება არ განელებულა: ქალბატონი
ეთერის პოეზია და მხატვრულ-დოკუმენ-
ტური პროზა დღესაც ამშვენებს „გლობალ-
ური გაუგებრობაში“ მოქცეულ ჩვენს
ზოგჯერ ერთობ ჭრელა-ჭრულა თანამედ-
როვე ტექსტებს.

სწორედ ეთერ თათარაიძისა და ამირან
არაბულის წარმატებული ტანდემი
მოგვევლინა ან უკვე გარდასულ მოღვაწე-
თა საქმის ღირსეულ გამაგრებლად; მათ
აიტაცეს ნეტარსენებული ვახუშტი
კოტეტიშვილის, ლექსო ჭინჭარაულისა და
თენგიზ მირზაშვილის ესტაფეტა.

ასე მგონია, რომ თუ „ტყე ვერ შეეუნახ-
ეთ შვილებსა“, იქნებ მთა მინც შეეუნარ-
ჩუნოთ და ქართველთა რელიქტური
ყოფისა და ადათ-წესების ხელყოფასაც
ნუ შევეცდებით „ვიზიტორთა“ გადაჭარბებუ-
ლი მოზღვავეების ხელშეწყობით.

სიტყვა ისედაც გამიგრძელდა; სანამ
„ალათოს“ დავუბრუნდები, მინდა სახ-
ელდახელოდ შევახსენო მკითხველს ავ-
ტორთა ორადორი უნიკალური წიგნი: „შენ-
დობით მომხსენიეთ“ (2007; პირდაპირი თუ
გადატანითი მნიშვნელობით — უძვირფასე-
სი წიგნი), და ეთერ თათარაიძის მიერ იშ-
ვიათი ბუნებრიობით, სისადავითა და
მგრძობიარობით გამოცემული გულქან
რაზიკაშვილის მონათხრობი. მხოლოდ
საქმეში კარგად ჩახედულ პირთ მოეხ-
სენებათ, რამდენი დაბრკოლებისა და
წინააღმდეგობის გადალახვა, რა მრავალ-
წლიანი თავდაუზოგავი შრომაა საჭირო
მსგავსი წიგნების გამოცემისათვის. არც
„ალათო“ გახლდათ გამონაკლისი: მისი

პიროვნებით ავტორები 1980-იანი
წლებიდან დაინტერესებულან (პირველად
გამოქვეყნდა 2002 წელს ჟურნალ „ომეგა-
ში“, ცალკე წიგნად — 2009 წელს
„საქართველოს ფოლკლორის სახელმ-
ნიფო ცენტრის“ ეგიდით).

ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბუ-
ლის მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევი
ინგლისური თარგმანითაც არის წარმოდ-
გენილი; თან ერთვის 80-90-იან წლებში
ალათოს თანამედროვეთაგან ჩანერილი
მოგონებები, მისადმი მიძღვნილი ლექსე-
ბი და ნატირლები, გიორგი ლობჯანიძის
ბოლოსიტყვაობა, თუშური კილოკავის
მცირე ლექსიკონი. წიგნი უხვად არის ილ-
უსტრირებული ამირან არაბულის ჩინებ-
ული ფოტოებით, წარმოდგენილია ოჯახ-
ებში მოძიებული გასული საუკუნის 20-30-
იანი წლების თუშეთის ეთნოტიპაჟის ამსახ-
ველი ფოტომასალა.

ავტორთა სასიკეთოდ მეტყველებს ის
ფაქტი, რომ რედაქტორად ვახუშტი კო-
ტეტიშვილი მოხსენიება: მშვენიერი გარე-
კანისა და ტექსტთა გამყოფი მცირე ვინი-
ეტების მხატვარი კი თენგიზ მირზაშვილი-
ა. ამის საგანგებო საზგასმა საჭიროდ
მივიჩნიე იმ სრულიად მიუღებელი, მავნე
ტენდენციურობის გამო, ბოლო წლებში
რომ დაამკვიდრეს: ან გარდასულ თუ
ცოცხალ წინამორბედთა, ზოგადად —
„მასწავლებელთა“ იგნორირება ჩვეუ-
ლებრივი მოვლენა გახდა, ასაკობრივი
„ცენზის“ გაფეტქმებას კი ბევრი ჩინებუ-
ლი ხელოვანი თუ მეცნიერი შეეწინაა. ისევე
როგორც საბჭოთა პერიოდში, განტყვებ-
ის ვაცად კვლავ ქართული ინტელიგენცია
იქცა.

ასეთ დროს, დავიწყების ნავლწაყრილი
თუში გოგონას სევდიანი ამბავის სამზოვზე
გამოტანასაც უთუოდ დიდი წინააღმდე-
გობა შეხვდებოდა; არადა, „ამბავი“ ობო-
ლი მარგალიტით ბრწყინავს!

ალათო ორმაგ ჭრილში წარმოგვიდგე-
ბა: როგორც რეალური პიროვნება და
როგორც ფოლკლორულ გამოცემათა
პერსონაჟი.

„ამა საფლავსა შინა მდებარე ვარ მე
ალათო ლაზარეს ასული. გარდავიცვალე
1926 წელსა, მკათათვის 8 დღეს, შობიდან
18 წლისა. ნამკითხველნი, გთხოვთ, შენ-
დობა მადირსოთ“. შენდობა კი ნამდვილად
ესაჭიროებოდა დანოელ ყმანვილქალს, —
ალათო შახაძეს, რადგან სიცოცხლე თვით-
მკვლევობით დაასრულა.

ალათოს ისტორია ასეთია: ალათოსა და
კვავლოელი თადო თილიძის სიყვარულს
თითქოს არაფერი ემუქრებოდა; 1924 წლის
შემოდგომაზე ახალგაზრდები დაუნიშნავთ
კიდევც, ქორწილი კი, წესისამებრ, წლ-
ისთავზე, მეორე შემოდგომისათვის დაუ-
თქვამთ. ქორწილამდე ერთი კვირით ადრე,
სამზადისზე შეთანხმების ნაცვლად, თა-
დოს ბიძა-ბიძოლანი, სასიძოს ძმის ცილ-
ისწამებით გავეშუქულნი სტუმრებიან ალა-
თოს მშობლებს ნიშნობის ჩასაშლელად:
„პართიოთ თქვა, ეგ ქალი რძალად შინ შემოყ-
ვანილი არ მინდა, ემაგ ქალთან მე ვარ
ნამყოფი, ხალხში სანაქებოა, არადა უსახ-
ელოა, რატომ უნდა დავლუპო ძმა, ხვანაში
რომ ვეხმარებოდი, ღამეც იქვე ვრჩებოდი
და ვიძინებდი... უნესოა და შინ არ შემო-
გაშვებინებოთ“...

სამართლიანად შენიშნავს გიორგი
ლობჯანიძე, რომ ალათო არა მხოლოდ მზა-
კვრული ცილისწამების, არამედ გამორ-
ჩეული, „ნაწილიანი“ ინდივიდისა და სა-
ზოგადოების (ჯოჯი, კოლეტივი...) ოდინ-
დელი დაპირისპირების მსხვერპლია.

შესაძლოა, პართოსა და მისი შურიანი
ცილის მონაჭორი რომ არა, დანოელი პა-
ტარძლის სიცოცხლეც ისე გათქვეფილიყო
დროთა ჩვეულებრივ მდინარებაში, რომ
მისი „ცხვებურობა“ და „ნაწილიანობა“ ვე-
რავის შეენიშნა.

ალალ-მართალი ქალისა არავის
სჯერა: ამოდ შესტირის დედას — „დედო,
რად არ მიჯერებ, ეს ხომ ჭორია. აქ რომ
მოვიდა პართო, თავს ვეველებოდი,
როგორც საქმროს ძმას; ეგეთი რამე
როგორ მოიგონა, ეგ ცოდვა როგორ
თქვაო...“

... „გამღვიარი“ დედა დღემუდამ წყევ-
ლიდა, სცემდა და ძირკვავდა ალათოს.
... ალათო თავისთვის მოთქვამდა და
იფიცებოდა, დედა თავისთვის ბოხოქრობ-
და და იკრულებოდა...

... ალათოს სიმწრით ყოფაში და დედის
ცისმარე ჯავრ-ჩხუბში გავიდა ის ზამ-

თარი“.
ალათოს თავგადასავალი გამყარებუ-
ლია, როგორც უკვე ითქვა, თანამედროვე-
თა მოგონებებით; — მაქსიმალური ტაქტი-
თა და სისადავით გადმოსცემენ ავტორე-
ბი რესპოდენტთა მონათხრობს: ფრთხი-
ლობენ, რომ „მსაჯულის“ როლში არ აღ-
მოჩნდნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია
სიკვდილის პირას მყოფი თადო თილიძის
ნაუბარი. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ-
მა თავის დროზე არ გაჰკიცხა სასიძო („ვა-
ჟაკაციე ჭორიან ცოლსავ კერაზე რად დის-
ვამდავ... არ დისვამდავ...“), ჩემი აზრით,
ავტორები ზედმეტად „ინდობენ“ მას.

თადო, ალათოს ფონზე, გულქვა, უნ-
დილ, სხვათაგან ადვილად მართულ ადამი-
ანად წარმოგვიდგება: მცირედი ეჭვი მინც
როგორ არ გაუჩნდა, ასე ხელალებით
როგორ განირა შეყვარებული (ერთადერ-
თი არ გუმენტი ჰქონდა, ძმა ტყუილს
როგორ მეტყუოდაო...), მით უმეტეს, რომ
ნიშნობის ჩაშლის შემდეგ ფარულად შეხ-
ვდნენ ერთმანეთს: „გან არ მითხრ, თავ უნდ
მოვიკლავ. საცხვათოთ ვერ გისაგონებავ,
ცად მართალ ვარიე, მაგრ...“

— მე რა უნდა გითხრავ, შენ სამველ არ
მაქვავ, შენ ვეღარ ნავიყვანავ“ — ასეთი
პასუხის გამოც კი, ალათოს არ განელებია
თადოსადმი სიყვარული (მართლაც საარ-
აკო და არამინიერი), პირიქით, ერთხელ
ატირებულს დედისათვის გაუმხელია —
„დედოვ, ცხვათაგან არ მემეტებავ თადოვ,
თვარავ დლითან საღამომდ მზის არ
აზეფდევევ“; თვითმკვლელობის დილას კი
თადოსათვის მოქსოვილი წინდები
უჩვენებია მისთვის და უთქვამს: „დედო,
ჩემი ცოდვა გეკიდოს თუ ამ წინდებს, მე
რო ლარ ვიქნები, თადოს არ მისცემო“...

საფიქრებელია, რომ პართოს მონა-
ჭორის გარდა, თადო ალათოს გან-
საკუთრებულობას, მის „არაჩვეუ-
ლებრივობასაც“ უფრთხობდა; იქნებ მისი
„წრეგადასული“, უანგარო და უპირობო
სიყვარულიც აკრთობდა...

ალათოს ამბავი, შეუწელებელი
ექსპრესიით მოთხრობილი, რომელსაც მეტ
დამაჯერებლობას, ემოციური შემოქმედე-
ბის ძალას და უცხო სურნელს სძენს თუ-
შური კილოს ხიბლი, გვაფიქრებინებს, რომ
ავტორები თავიანთი ნიჭიერების კვალო-
ბაზე ღირსებისამებრ წარმოგვიჩვენენ ან
უკვე გმირად, პერსონაჟად ქცეულ 18 წლის
გოგონას.

ალათოს გამორჩეულობის მკვეთრ
ელფერს უთუოდ შეიცნობს ოცდამეერთე
საუკუნის „ინტერნეტთაობაც“ — ხომ
თითქოს უფსკრულია თუშ გოგონასა და
თანამედროვე „თინეიჯერებს“ შორის, მა-
გრამ არსი ერთია: სიყვარულის ძალ-
მოსილება, — მარადიული ფასეულობა,
რომელსაც გადაშენება არ უწერია.

იშვიათი დინამიზმით, დანერღ-
მანებით, თანაღმობითა და თითქოს შავ-
თეთრი კინოს ხერხებით გადმოსცემენ ავ-
ტორები ალათოს ბოლო დღეს (ავი გიორ-
გი ლობჯანიძეც „კინემატოგრაფიულ რო-
მანად“ აღიქვამს ნარკვევს), რომელმაც
იმთავითვე გააცხადა პართოს ვერაგობა
(სისხლისღვრისა და შურისძიების აცილებ-
ის მიზნით მილიციამ ორივე ძმა სახლში
გამოჰკეტა, პართოც იოლად ალაპარაკა)
და ალათოს უდანაშაულობა.

აქ უკვე ლეგენდა მძლავრობს, დოკუ-
მენტალიზმს ან უკვე ხალხური გამოცე-
მები, ნატირლები, ლექსები ენაცვლება...

„ის იყო და არც იყო ჩვეულებრივი
ქალი, თვითონაც გრძობდა, გუმანობდა
ამას და ხვედნოდნენ მისი ახლომდებელი,
ყველაზე უწინ კი, რასაკვირველია, მშობე-
ლი დედა... ხოლო მისი უჩვეულობისა თუ
სხვათაგან გამორჩეულობის თვალსაჩინო
ნიშანი მისი სხეულის სხივმფინარობაში
ვლინდებოდა. დაბადების დღეს დაყ-
ოლილი ეს უიშვიათესი თვისება თუ უნარი
მის საფრთხო, საბუნდოვრო, გარკვეულ-
წილად ბუნდოვან მომავალს მოასწავებ-
და... ალათოს გარეგნული ხიბლი და მშ-
ვენება მინრიელთაც მინყიე კამათში ინვე-
და და შურით მზირალ ტოლ-სწორებსაც,
მოჩვენებითად კეთილ ნაცნობებსაც და
ერთთავად ადამისძეთა სამაყნეოდ მზად-
მყოფ ხიბალ-კუდიანებსაც...“

ალათო, შეიძლება დაბეჯითებით ითქ-
ვას, ნაწილიანი იყო, მზის მონილე, ღვთის
მადლის მოზიარე და გამუდმებული სიფხ-
იზლე მართებდა იმისათვის, რათა მისი

მწერალი

თამრი ფხაკაძე

სიყმაწვილიდანვე წერდა ზღაპრებსა და ლექსებს. ახლაც ახსოვს ზღაპარი შხამიან სოკოზე. ეს იყო თამრი ფხაკაძის პირველი, ლიტერატურული მცდელობა. 1996 წელს გამოქვეყნებულმა ზღაპარმა „პატარა ბაყაყის — კიკის ამბები“ „დიოგენეს“ კონკურსში „საბავშვო პროზა—96“ გაიმარჯვა. მის შემოქმედებას სამი ახალი საბავშვო ლექსებისა და ზღაპრების წიგნი შეემატა. მრავალი პროზაული ნაწარმოების, პიესის, ზღაპრის ავტორს მიაჩნია, რომ ნაწილობრივ საწყის წერტილს, საბავშვო ლიტერატურას დაუბრუნდა. თუმცა, ახლა რომანზეც მუშაობს და ასევე წერს საბავშვო წიგნს — „365+1 ძილისპირული“. რაც შეეხება ახალ ზღაპრებს, ვფიქრობ, პატარა მკითხველი შეიყვარებს საინტერესო ისტორიებსა და ხალისიან პერსონაჟებს, სიამოვნებით იმოგზაურებს „მხიარულ ციფრებთან“, „საახალწლო ზღაპრებთან“ და „ლაზარესთან“ ერთად „ანბანის ქვეყანაში“.

— თქვენი პირველი მოთხრობები 2001 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ გამოეცით არაერთი რომანი, პროზაული კრებული, პიესა თუ საბავშვო წიგნი. მოთხრობების კრებულმა „სანამ დაგვიძახებენ“ ლიტერატურული პრემია „საბა“ მიიღო. ბოლო დროს აქტიურად გადაინაცვლეთ საბავშვო ლიტერატურაში...

— უფრო სწორად, დავუბრუნდი საბავშვო ლიტერატურას, რადგან 2001 წლამდე კარგა ხნით ადრე, 1996 წელს სწორედ საბავშვო ნაწარმოების დასაწერად ავიღე ხელში კალამი. ეს იყო მოზრდილი სერიული ზღაპარი სახელწოდებით „პატარა ბაყაყის — კიკის ამბები“. ნაწარმოები გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ გამოცხადებული კონკურსისთვის „საბავშვო პროზა — 1996“ დაენერე. ძალიან საყვარელი პერსონაჟი გამოვიდა, თავი ისე შემაყვარა, კონკურსის ვადა რომ არა, მისი ამბების მოყოლას დიდხანს გავაგრძელებდი... სხვათაშორის, „კიკი“ ერთ-ერთი გამარჯვებულითაგანი აღმოჩნდა იმ კონკურსზე.


ასე რომ, წერა საბავშვო ლიტერატურით დავინყე. მერე „სადიდოში“ გადავინაცვლე. ახლა კი — საწყის წერტილს დავუბრუნდი ნაწილობრივ. თუმცა მინდა გითხრათ, რომ „სადიდო“ ძნელად მისატოვებელი რამაა, ჩათრევა იცის, მისი წერადამოკიდებული ხდები. მაგნე ჩვევასავითაა, თავს ვეღარ ანებებ. ერთ რომანს თუ დანერ, მეორის დაწერა გინდება, მერე — მესამის. ჰოდა, ასე ვწერ (ვამთავრებ) ახლა მეოთხე რომანს, საგარეუდო სათაურით „ამბავი თურმელებისა“ ან რამე ამდგავარით.

— როგორც შეგიტყვევ, წერის სურვილი ბავშვობაში გაგიჩნდათ, წერდით ზღაპრებსა და ლექსებს. თუ გახსოვთ, რა ერქვა თქვენს პირველ ლიტერატურულ მცდელობას?

— ჩემს პირველ ლიტერატურულ მცდელობას ერქვა „ტრაბახა შხამა-სოკოს ამბავი“ — ძალიან ჩვეულებრივი და ყოფითი ისტორია იმის შესახებ, რომ გარეგნული იერი ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარი შინაგანი არსია. მეორე კლასში დავწერე ეს ზღაპარი. მას მოჰყვა და მოჰყვა ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სახუმარო შაირები, პირადი დღიურები, ჩანაწერები... მაგრამ წერა, უფრო ხშირად, საყმაწვილო სენი არაა, რომ მოიხადო და მორჩა! წერა ქრონიკული დაავადებაა. პერიოდულად გამწვავდება ხოლმე, პერიოდულად — ჩაცხრება, მაგრამ თავს არ განებებს...

ჩემ გარშემო ლამის ყველა ფილოლოგი იყო: მშობლები, ბები-ბაბუები, დეიდები, ბიძები... მათ ლიტერატურა პატარაობიდან შემაყვარეს. საბავშვო ენით მოთხრობილი „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ მათ აქციეს ჩემი ბავშვობის განუყოფელ

„ზღაპრად“. მეორე კლასში ვიყავი, როდესაც ბებიამ, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, „ამბავი როსტევეან მეფისა“ მთლიანად მასწავლა ზეპირად, თანაც განმარტებულ-ახსნილი. სხვათა შორის, რუსთაველის 800 წლის საიუბილეო დღეებში ტელევიზიითაც მათქმევინეს ეს მონაკვეთი. ჩემ გარდა სხვა ბევრმა ბავშვმაც იცოდა ზეპირად „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ეპიზოდი. არცაა გასაკვირი: „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ქართველისთვის



გენეტიკური ცოდნაა, ის მაშინაც შენშია და იცი, სანამ ჯერ არც წავიკითხავს. მისი წაკითხვა და სწავლა გახსენებას ჰგავს. თითქოს, იცოდი და გაიხსენე. საოცარი რამაა, მაგრამ ესაა „რუსთაველის კოდი“ — ერთხელ და სამუდამოდ ჩადებული ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში. სანათესაოს ლიტერატურულმა გარემოცვამ არა მარტო ჩემზე იქონია გავლენა. ჩემი უახლოესი ნათესავები, უკვე ცნობილი მწერლები აკა მორჩილაძე და ირაკლი ქასრაშვილიც ნაწილობრივ მაინც, სწორედ ამ გარემოს უნდა უკავშირებდნენ თავიანთ ადგილს თანამედროვე ქართულ სამწერლო ასპარეზზე.

— ერთგან ამოვიკითხე, რომ თარგმნამ სერიოზულად გიბიძგათ წერის დანებებისკენ. წლების წინ თარგმნით დროთი პარკების ნოველები და აირის მერითი „ქვიშის კოშკი“. რომანის მსგავსად თარგმანმა არ ჩაგითრიათ?

— დროთი პარკერი არაჩვეულებრივი მწერალია, ქალური ფსიქოლოგიის ძალიან ღრმად და მახვილგონივრულად ასახვის დიდოსტატი. დიალოგის და მონოლოგის საშუალებით მას ძალზე ფართო მასშტაბიანი დრამების გადმოცემა ეხერხებოდა. მე, როგორც წერისას დიალოგ-მონოლოგისკენ მიდრეკილმა ადამიანმა, დიდი სიამოვნებით ვთარგმნე მისი რამდენ-

იმე მოთხრობა, რომლებიც აღმანახ „საუნჯეში“ დაიბეჭდა. აირის მერდოკი არ დამიბეჭდავს, თავი ვერ დავადგი რალაცნაირად. თარგმნა დიდი სიამოვნებაა. თითქოს იმ ავტორის შემოქმედებით პროცესის მონაწილე, თანაავტორი ხდები, თითქოს სადღაც, მის დახურულ ზონაში შედიხარ, ცოტათი მის ტყავში ეხვევი, მის განცდებს განიცდი. თან — იზრდები, რადგან სხვის გამოცდილებას იყენებ და საკუთარსაც იძენ, ორ კურდღელს იჭერ-სავით. დრო რომ მქონდეს, სიამოვნებით ვთარგმნიდი რალაცებს, უფრო საბავშვოს.

ჩემი აზრით, საბავშვო ლიტერატურაში ბევრი რამაა სათარგმნი.

უახლოეს ხანებში „საგამომცემლო სახლი ტრიაში“ კორნეი ჩუკოვსკის 10 პოემის ქართულ თარგმანს გამოსცემს. ჩუკოვსკი გენიალური საბავშვო მწერალია და მისი სამყარო არ უნდა დაუკარგოთ პატარებს. „ეკიმი აიბოლიტი“, „ტელეფონი“, „ბუზი-ბუზანკალი“ და სხვა ნაწარმოებები არათუ ბავშვს, მოზრდილ მკითხველსაც კი დიდ სიამოვნებას ანიჭებს, რაც, საზოგად-



დოდ, საბავშვო ლიტერატურის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია.

ჭეშმარიტად საბავშვო ნაწარმოებმა მოზრდილ მკითხველში ბავშვობა უნდა გამოიწვიოს, ხანდაზმულ ადამიანშიც კი ბავშვი უნდა გააღვიძოს.

— ახლახანს თქვენს შემოქმედებას შეემატა საბავშვო ზღაპრებისა და ლექსების მშვენივრად ილუსტრირებული, პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე გამოცემული რამდენიმე ახალი წიგნი, სახე საინტერესო, სახალისო სიუჟეტებითა და პერსონაჟებით. პატარა მკითხველმა საახალწლოდ უკვე მიიღო „ლაზარე ანბანის ქვეყანაში“, „სამი საახალწლო ზღაპარი“ და „მხიარული ციფრები“.

— დიახ, სამივე ეს წიგნი საახალწლოდ გამოსცა გამომცემლობა „ტრიაში“, რომელმაც თავის მთავარ პროფილად სწორედ საბავშვო წიგნების გამოცემა აირჩია. ამავე გამომცემლობამ საახალწლოდ გამოუშვა ჩემი „ზღაპრული კალენდარიც“, რომელშიც პატარები 12 ულამაზესად დასურათებულ ზღაპარს წაკითხავენ. ზღაპრები წელიწადის დროთა შესაბამისია სიუჟეტურად და ვფიქრობ, მათი მხიარული პერსონაჟები პატარა მკითხველს ნამდვილად შეაყვარებენ თავს.

შარშან კი გამომცემლობამ „პალიტრა-L“, რომელსაც ჩემი არაერთი საბავშვო

წიგნი გამოუშვია, გამოსცა „საყმაწვილო ანბანთქება“. მიყვარს ეს წიგნი. დიდი სიყვარულით დავწერე. საერთოდ მიყვარს, როცა ანბანს ვუკირკიტებ. სწორედ ამიტომ, პროზაულადაც შევეხე ამ თემას წიგნში „ლაზარე ანბანის ქვეყანაში“.

ქართული ანბანის თემაზე კიდევ არაერთი პროექტი მაქვს მოფიქრებული და ვფიქრობ, აუცილებლად განვახორციელებ.

— როგორც აღნიშნეთ, სერიული ზღაპარი „პატარა ბაყაყის - კიკის ამბები“ 1996 წელს დაიწერა და გამომცემლობა „დიოგენეს“ კონკურსშიც გაიმარჯვა. 90-იან წლებში ზღაპრის დასტამბავა უსახსრობის გამო, ვერ მოხერხდა, მაგრამ ახლა, როგორც ვიცი, ნაწარმოები გამოცემის პროცესშია და მას პატარა მკითხველი მაღე იხილავს.

— ძალიან მიხარია, რომ ჩემი პატარა ბაყაყი მაღე ადრესატამდე ანუ ბავშვებამდე მიადგინეს. ცოტა დაუგვიანდა, მაგრამ არაფერია, — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ძალიან დიდ მნიშვნელობას მივანიჭებ „კიკის“ დასურათებას. ვცადე, მე თვითონ დამეხატა ილუსტრაციები. მხატვარი არ ვარ, მაგრამ ჩემი ვერსია რალაცით მაინც ეხმარება „კიკის“ ილუსტრატორს.

„კიკის“ ახალგაზრდა მხატვარი ნინო ჯოხაძე ასურათებს. მან ზუსტად მიაგნო ამ ზღაპრის გარემოს. ჩვენი თანამშრომლობა ძალიან საინტერესოა და იმედი მაქვს, ისეთ წიგნს მოვამზადებთ, როგორზეც ვოცნებობდი.

— ალბათ გეხერხებათ ხატვა და „კიკის“ დასურათების მცდელობა პირველი არ იქნებოდა.

— სიმართლე გითხრათ, სკოლა რომ დავამთავრე, სამხატვრო აკადემიაში უფრო მინდოდა ჩაბარება, ვიდრე ფილოლოგიურზე. მაგრამ ბოლოს ხატვას მაინც ჰობის სტატუსი მივეცი.


ვფიქრობ, ყველა მწერალი ცოტათი მაინც — მხატვარია. პეიზაჟის ან პორტრეტის აღწერა ხომ სიტყვით ხატვაა. ამ დროს ხომ ჯერ ხედავ ნარმოსახვით და მერე აღწერ?

საბავშვო ნაწარმოების წერისას ხატვისკენ მიდრეკილება ფასდაუდებელი დახმარებაა! ბევრად იოლია ფერების, ჯუჯების, ალქაჯების, ქონდრისკაცების, ცხოველების, ფრინველების, ათასგვარი გაურკვეველი — სასაცილო თუ საშიში არსებისა თუ ფანტასტიკური პეიზაჟის აღწერა.

ახლახანს გავარედაქტირე მიხაელ ენდეს არაჩვეულებრივი საბავშვო წიგნი „დაუსრულებელი ამბავი“ (გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფარჯიანმა). ნაწარმოები იმდენად „ხილვადია“, მასში აღწერილი ფანტასტიკური გარემო ისე დახუნძილია გამოგნებელი, ფერწერული ტექნიკით შესრულებული არსებებითა თუ პეიზაჟებით, რომ გამიჩნდა სურვილი გამეგო, ხატავდა თუ არა ეს ავტორი. და რა აღმოჩნდა? მიხაელის მამა სიუორეალისტიკი მხატვარი ედგარ ენდე იყო. 14-15 წლის ასაკში მიხაელ ენდემ თავისი პირველი ნაწარმოების წერა მამის ნახატების სიტყვიერი გადმოცემით დაიწყო.

„ლექსებს მამაჩემის ნახატების მიხედვით ვწერდი, — იხსენებს ენდე, — მინდოდა, სრული სიზუსტით შემექმნა სიტყვებით ის, რასაც მამა ხატვით ქმნიდა. ძალიან

დასასრული მე-12 გვერდზე



დასასრული

სხვარიგი, მტანჯველად უცნაური და შეუცნობელი ბუნება თუ პიროვნული განსაკუთრებულობა უცხო, გარეშე თვალისათვის საფარველდებული ყოფილიყო...

და როცა ვერ ხერხდება თავისი არსით იდუმალი მადლისა თუ დევლათის დამალვა და გასაიდუმლოება, თითქმის ყოველთვის გარდაუვალა მისი მფლობელის ნაადრევი და თანაც არაორდინარული აღსასრული“.

თანასოფლელების ვარაუდით თუ მათ მიერვე შექმნილი ლეგენდით, ღმერთმა შეუნდო ალათოს: დედას, დავიამნარებულ თინა თათარაიძეს წლისთავზე საფლავის გათხრა და სიპის ქვევით აკლდამურად მოპირკეთება მოუთხოვია; მესაფლავე ლეკებს ნაბად-ფარდაგი გადაუხდიათ მიცვალებულისათვის და გაოგნებულან — ქალწული ისევ ისეთი, ახლადდაძინებულივით მშვიდი და ანგელოზივით ლამაზი ყოფილა.

ალათო ჭეშმარიტად შექსპირული პერსონაჟია: ვნების სიმძაფრით, ხანმოკლე ბოროტობის ცხოვრებით, ლეგენდარული საბურველი, სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც. ჯერ იყო და დედამ გაამხილა, — „დიდ ორსულ ვიყვიდივ, ხმამაღლ ამიტირდავ ალათოვ მუცელშია“ (გავიკითხ-გამოვიკითხე, ფიზიოლოგიის ჩემეულ ცოდნას არ ვენდე, — საუკეთესო პედიატრმა დამიდასტურა, რომ ემბრიონი დედის მუცელში ხმას ვერ უნდა გამოსცემდეს); ერთხელაც, თუმცა გოგობმა და შესწრებულმა დიდო ვაჭარ-

ლალი ავალიანი

სიყვარული მთაში ანუ დანოელი ჯულიეტა რომეოს გარეშე

მა გოცებით შენიშნეს: ალათოს ნათელი გადმოსდიოდა და იქაურობას ანათებდა...

სავსებით მისაღებია ანოტაციაში თქმული: „ფოლკლორიზებულ ფაქტობრივ მასალაში გადმოცემული კონკრეტულ პირთა თავგადასავალი შორს სცილდება ვინროკამერული „ლირიკის“ ფარგლებს და ფართო განზოგადებას აღწევს ადამიანური განცდების სიმძაფრის წყალობით“. ამიტომაც შეუდარებია გიორგი ლობჯანიძეს ალათო გოგლა ლეონიძის მარტისთვის, მე კი უწინარესად ჯულიეტასა და ნაწილობრივ, ოფელიასთან წილნაყარი მგონია ეს უბრალო თუში გოგონა. მორჩილებით თავისი ბედუკუდმართობის გამო, თავმდაბლობით და უუნარობით, — თავი დააღწიოს სასტიკ გარემოცვას — „დრტვინვის ნუთისოფელსა და ამოიებას“ — ალათო თითქოს ოფელიას უფრო უახლოვდება, ვიდრე მეტროდ და მშობლების ურჩ ჯულიეტას, თუმცა სამთავეს გრძნობის სიღრმე აერთიანებთ.

ვის არ უცდია შექსპირის გმირთა ეროვნების „შეცვლა“: დიდ მწერლებს — ივანე ტურგენეცს („მწიგროვსკის მარის ჰამლეტი“, „ტრამალის მეფე ლირი“), ნიკოლოზ ლესკოვს („მცენესის მარის ლედი მაცხეთი“)... და ა.შ. არცერთ ამ გმირთაგანს არ ჩამოუვარდება ალათოს სისხლსავსე ხატება, მით უმეტეს, რომ ისინი „პერსონ-

აჟები“ არიან, ალათო კი დანოელი ყმანვილქალი — რეალური, ხორცხმული არსება.

ალათო გურამ რჩეულიშვილის ბათარეკა ჭინჭარაულის ადვილად მოწყვლად ქალიშვილს 16 წლის მზიასაც მავონებს და დიდი რეზო ინანიშვილის თოვლასაც...

ალათოსათვის უცხოა სიხვე და შურისძიების წყურვილი, დედის უსამართლობასაც კი არ ხვდება მძაფრი პროტესტით: თავმოდრეკილად და თვინიერად სთხოვს ნდობას. მის კეთილშობილებასა და მიტევების უნარს, გარდა პიროვნული ბუნებისა, საფანელად თუშური ადათ-ნესებიც უძევს: უფროსების მორჩილება, სოფლის განაჩენის უპირობოდ მიღება; სიყვარულში ხელმოცარული და ახლობლების უნდობლობით განზილებული, — ვერ ხედავს გამოსავალს და საბედისწერო გადაწყვეტილებასაც შეგნებულად იღებს.

შენიშნულია, რომ მემუარულ თხზულებებში ხშირად გვხვდება ნებსითი თუ უნებლიე ცდომილებანი, მით უმეტეს, როცა მოგონებები მრავალი წლის შემდეგ ზეპირად გადმოცემა. ამით აიხსნება ქრონოლოგიური თუ სხვა შეუსაბამობანი. ალათოს ტრაგიკული, ბურუსით მოცული და დროთა ვითარებაში ახალ-ახალი დეტალებით დაყურსული ისტორია, ავტორთა პროფესიონალიზმისა და საუბარში

გამონვევის, რესპოდენტთა „ალაპარაკების“ ნიჭის წყალობით, მუსიკალური თუშური კილოს გამოყენებით, — ჩინებულ შედეგს გვიძლევს.

ალათოს დედისა თუ სხვათა ნატირალთა ვარიანტები და ალათოსადმი მიძღვნილი ლექსებიც უკვე ფოლკლორის კუთვნილებაა. მათ შორის, სასხვათაშორისოდ არის ჩართული ეთერ თათარაიძის ხელნერიტთ გამორჩეული ორი მშვენიერი ლექსიც. ძრწოლისმომგვრელია თინა თათარაიძის ნატირალი და წყევლა მისი პროვიდენციალურობის გამო: „როგორც მე ჩავეხედავ ალაზანს, ისეც შენ ჩახედავო“ (თადოსათვის თქმული ამ სიტყვების შემდეგ, გამოხდა ხანი და ყიზლარიდან შინისაკენ მომავალი თადოს 19 წლის ვაჟი მდინარეში დაიხრჩო...); „სისხლის მორვეშიამც დაგებრუნდებისაც, თადოს დე, პართოივ“ — ნატირლის ეს სიტყვებიც ახდა თითქმის ოცი წლის შემდეგ: „სამამულო ომიდან შინ დაბრუნებული თუშები ჰყვებოდნენ, როგორ ბრუნავდა საკუთარი სისხლის მორვეში სასიკვდილო დაჭრილი, ღვიძლი ძმის მოლაღატე პართო“.

„ჰეფი ენდს“ მიჩვეული დღევანდელი მკითხველისათვის ალათოს ტრაგედია უთუოდ კათარზისისათვის არის მოწოდებული.

„ეგებ, ვინმეს ამ ნარკვევის ფილმად გადაღებაზეც კი ეფიქრაო“ — წერს გიორგი ლობჯანიძე. ეგებ მართლაც ასე მოხდეს და ნეტარსხენებული გოდერძი ჩოხელის პოეტური რეჟისურის ღირსეული მიმდევარიც გამორჩეული ჩვენს ზედმეტად „დამინებულ“, ნატურალისტურ კინემატოგრაფიაში.

თამრი ფხაკაძე:

„წერა ქრონიკული დაავადება“

დასასრული

ბევრ ლექსში გამოვიყენე ის, რაც მამამ დახატა და ვცადე ფერწერა მუსიკასავით ამეჭიდებინა სიტყვიერად. მე ნახატს უბრალოდ კი არ აღვწერდი, მინდოდა სხვა, ჩემი, სიტყვიერი გზით გამემეორებინა იგი“...

საოცარი არ არის? ხომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ვერბალური ხატვის მაგალითია? და რომ სწორედ ამ შემოქმედებითი ტაქტიკის საბოლოო პროდუქტია ენდეს უზარმაზარი, განუმეორებლად მრავალფეროვანი საბავშვო ფანტასტიკური სამყარო...

აქ აღარაფერს ვიტყვი ეკზიუპერის ილუსტრაციებზე „პატარა უფლისწული-სთვის“. ამ ნახატებმა ხომ ნიგნზე არანაკლებ გაითქვა სახელი...

კიდევ არაერთი საბავშვო ავტორ-მხატვრის დასახელება შეიძლება, მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა, მგონი. მთავარი, რაც მინდოდა მეთქვა, ისაა, რომ საბავშვო ლიტერატურა იოლად „დასანახი“ უნდა იყოს. მას დანერის გარდა, სიტყვიერად დახატვაც სჭირდება.

ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები განსაკუთრებულად მძაფრია. გყავდათ გამორჩეული მწერალი და პერსონაჟი?

— უამრავი. „ბურატინო“ ქართულად, „ბურატინო“ რუსულად... კორნეი ჩუკოვსკის გასაოცარი ლექს-ზღაპრები, „პინოქიო“, „მაუგლი“, ნინო ნაკაშიძის უსაყვარლესი მოთხრობები და კიდევ უამრავი სხვა... — ეს ჩემი ადრეული ბავშვობის ფენი იყო... ჯერ მიკითხავდნენ, მერე — ვკითხულობდი... მერე — ჰეკი და ტომი, უფლისწული და მათხოვარი, რობინზონი და პარასკევა, ინდიელბიანი ნიგნები გოიკო მიტიჩიანი ფილმების მხარდამხარ...

მაინ რიდის, კონან დოლის, სტივენსონისა და ჟიულ ვერნის სამყარო, მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, — ბედნიერების უზარმაზარი ოკეანე... ჩემი თაობა პეპის და კარლსონის ნელთადრიცხვამდელია, მაგრამ კარგი საბავშვო ლიტერატურა ხომ ჯადოსნური დროის მანქანაა, — გადაგისვრის, დაგაბრუნებს ბავშვობაში და მორჩა! არაფერიც არაა გვიან...

— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ზღაპარი, ბავშვი რომ დაინტერესოს?

— კარგი ზღაპარი (ზოგადად, კარგი საბავშვო ნაწარმოები) ისე უნდა იყოს განტვირთული ყველაფერი ზედმეტისგან, როგორც საჭაერო ბუმტი. საჭაერო ბუმტს ზედმეტი ბარგისგან გათავისუფლება სჭირდება, რომ მაღლა-მაღლა იფრინოს და ქვევით არ ჩამოეშვას. სწორედ ასე სჭირდება კარგ საბავშვო ნაწარმოებს ზედმეტი სიტყვებისგან გათავისუფლება, რომ ბავშვმა ნაიკითხოს, შეიყვაროს, მთქნარება არ ატეხოს და განზე არ გადადოს... კარგი საბავშვო ნაწარმოებიც ფრენია უნდა იყოს, მსუბუქი და თან ძალიან დინამიური.

— ნებისმიერი შემოქმედი შთაბეჭდილებებით, შეგრძნებებით, ემოციებით საზრდოობს. ახალი ზღაპრებისა და ლექსების შთამავლებული თქვენი შვილიშვილი, მარიალი ხომ არ არის?

— 1996 წელს, როცა „კიკის“ ვწერდი, ჩემი ფანტაზიისა და შთაგონების წყარო ჩემი შვილი, ნინო იყო. ვწერდი საბავშვოებს, სანამ საბავშვო თემატიკა აქტუალური იყო მისთვის. რომ წამოიზარდა, ჩემი მოთხრობების პირველი მკითხველი გახდა...

ახლა პატარა მარიაში გაგვიჩნდა და მეც, რასაკვირველია, საბავშვო ლიტერატურისკენ გამინია გულმა. სავსებით ბუნებრივია, არა?



თუმცა, საერთოდ, უზომოდ მიყვარს ბავშვები. მიხარია მათთვის წერა. მსიამოვნებს მათ ზღაპრულ სამყაროში ყოფნა.

— 2012 წელს ილუსტრირებული კალენდარი გამოვიდა ბავშვებისთვის, ლექსების ავტორი კი თქვენ ხართ. მოგვიყვით, როგორ გაჩნდა ამ კალენდრის გამოცემის იდეა?

— კალენდრის შექმნის იდეა მხატვარ ირინა ცინცაძეს გაუჩნდა. გამომცემლობიდან მთხოვეს, ლექსები დამწერა ნახატებისთვის. მეც სიამოვნებით გავაკეთე ეს. საბოლოოდ, მშვენიერი კალენდარი გამოვიდა.

— რამდენიმე წლის წინ თოჯინების თეატრში დაიდგა თქვენი ზღაპარი „ხვისისქუდას ოინები“. მიმდინარე თეატრალური სეზონისთვის მოზარდმაცურების თეატრმა თქვენს მიერ გადასცენარებული „მაკნატუნა“ დადგა. როგორ ჩაიარა პრემიერამ? როგორია ზოგადად, შემოქმედებითი ურთიერთობა თეატრთან?

— „მაკნატუნას“ პრემიერამ წარმატებულად ჩაიარა. მოზარდმაცურების თეატრის დიდი დარბაზი ყოველთვის სავსეა „მაკნატუნას“ წარმოდგენისას. პრემიერაზე, მგონი, დარბაზს უფრო ვაძვევებდი თვალს, ვიდრე სცენას. ბავშვები აღფრთოვანებულები ჩანდნენ, რაც ძალიან მიხაროდა.

რაც შეეხება თეატრთან ჩემს შემოქმედებით ურთიერთობას, იგი „მაკნატუნათი“ არ დაწყებულა. 2006 წელს თოჯინების აკადემიურმა თეატრმა დადგა ჩემი „ხვისისქუდას ოინები“. ხოლო თუ „სადიდო“ დადგმებსაც გავიხსენებ, სამმა თეატრმა (ზესტაფონის, თავისუფალმა და მესხეთის) დადგა „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“,

ორმა კი — (ხულოს და ბოლნისის) „გაფრენა“. თეატრთან ურთიერთობა დიდი ბედნიერებაა და მის გაგრძელებას მომავალშიც ვაპირებ.

ახლახანს დავეწერე მიუზიკლის სცენარი. მინდა, ძალიან „კარგ ხელში“ აღმოჩნდეს იგი, რადგან ვფიქრობ, სათანადო დადგმის შემთხვევაში მისგან ძალიან შთამბეჭდავი, კეთილი და ამაღლებელი სანახაობა გამოვა. მიუზიკლის პირობითი სახელწოდებაა „მუსიკის ჰანგები ქართულად“.

— როგორც ვიცი, გამოსაცემად მზადდება და ნიგნის მალაზიებში მალე გამოჩნდება თქვენი კიდევ რამდენიმე ახალი ნიგნი...

— დიახ, ძალიან მალე გამოვა „20 მხიარული ზღაპარი“, ვრცელი სათავგადასავლო ზღაპარი „გრემელცხვირა ჯადოქარი მარსია, მეფე ბუთხუზ პირველი და სხვები“ (ამ ნაწარმოებს საბავშვო სალიტერატურო კონკურსის „ოქროს ბუმბული“ II პრემია აქვს მიღებული) და ზემოთხსენებული „პატარა ბაყაყის — კიკის ამბები“.

— ამჟამად რაზე მუშაობთ?

— ძალიან დიდ სამუშაოს შევეჭიდე: ვწერ ნიგნს „365+1 ძილისპირული“. ეს იქნება ყოველდღიური ძილისპირულების კრებული, რომელიც დაიწყება 1 იანვრიდან და მივა 31 დეკემბრამდე. ჯერ მხოლოდ ასამდე ზღაპარი მაქვს დაწერილი, მაგრამ ვფიქრობ, 2014 წლისთვის მზად შექნება. ადვილი არ იქნება ამხელა ნიგნის დასურათება და პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე მომზადება, თუმცა „საგამომცემლო სახლი ტრიასი“, სადაც ვმუშაობ, ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამის სრულ გარანტიას მაძლევს.





კატო ჯავახიშვილი

სალამოსპირი

„წინსაფარივით ავიფარე გაზაფხული და“...

სათქმელი დარჩა ნეტავ რამე,
თუ გადმომფრენებს დაველოდოთ,
რომ არ დავმუხუნჯდეთ?
სად უფრო მეტად ვერ დავმალეთ,
ხელისგულელებში,
ლაყურებში,
თუ იმ ფანჯრიდან
მოთვალთვალე ქალის თვალებმა
ვერ დაგვიტია, —
მაშველივით შემოგვაშველა
სიტყვა — გადარჩი!
და
ზღვის ნაპირი
ლოკოკინამ მოილოგინა.

რა სიგრძივია ეს ნაპირი
ჩემი ცხოვრების,
თევეზი კი არ სჩანს.
ამ თევეზისგულა სალამოსპირს,
როგორც წინსაფარს,
ისე ვიფარებ
და ხორხიდან წვრილი ნემსები
უხმოდ ამომაქვს, —
გეგონება კალმახს გინვაგდე.

უთქმელი დარჩა ნეტავ რამე,
თუ გადამფრენებს დაველოდო,
რომ გავაყოლო:
ჩემი და შენი შვილის ნაცვლად — სხვისი შვილები.
ჩემი და შენი გულის ნაცვლად — სხვათა ტკივილი.
სადმე მშვიდობა თუ არსებობს, დაიშენებენ
ცას და კედლებში წარსულივით ჩაიკირება
ის, რაც ჩვენ ვერ ვთქვით, რაც გვინდოდა,
რაც ვერ ამოვთქვით.
რაც უკვე იყო. რაც დამთავრდა. რაც ვერ შევძელით.
რაც მხოლოდ ჩვენი წილი იყო — ჩვენი ხელსაქმე
რაც მხოლოდ ჩვენთვის იყო ომი — ჩვენი ხანძარი
ისე დიდა, დაჭრილებს ვეღარ ავუღივართ
და მხოლოდ ჩვენებს,
ჩვენივ ტანებს გადავაფარებთ.

თუ გადმომფრენებს ვერ დავურჩით დასამუნჯებლად,
ვერც გადამფრენებს გავაყოლოთ სხვისი შვილები,
რომ თან დაგვეცვა, თან თვალები არ დაგვენახა,
რადგან რაც უფრო შორი არის სხვისი ცხოვრება,
მით უფრო შორს ხარ უცაბედი სინანულისგან.
ჩემი და შენი შვილის ნაცვლად — სხვისი შვილები.
ჩემი და შენი გულის ნაცვლად — სხვათა ტკივილი.
თითქოს თვალები წამოგეჩაჩეთ შესაშინებლად,
თითქოს სხვის ნაცვლად ჩვენ გვწირავენ,
ჩვენვე გვტოვებენ
იქ, სადაც უკვე სულერთია, ვინ. ვის. სად. როგორ.
რადგან ჩვენ-ჩვენი წილი მინა უნდა დავბაროთ.
იქ, სადაც უკვე აღარ გვტკივა სხვისი სამარხი,
რადგან ჩვენ-ჩვენი წილი თვალი უნდა დავხაროთ...

და სიტყვა ჩვენი ისე ცრუა, ისე ლაყუა,
ჩვენივ დაჭრილებს
ჩვენი ტანი ეცოტავებათ.

მოდით, ჩემო თევეზისგულა სალამოსპირო,
ჩვენ ხელები გადავიბანოთ,
გადამფრენები თევეზს თვითონ მოიხელთებენ.
მე ჩემს ცხოვრებას,
როგორც წინსაფარს,
ისე ვიფარებ,
და ცხელ ტაფაზე
უხერხემლო კალმახებს გინვაგ.

ნახევარი

ნათხოვარივით მადგას ტანზე ეს თეთრი კაბა.
წყალს მოუყევი.
წყალს მოუყევი ეგ სიზმარი.
წყალს.

სიყვარულს ჰგავდა.
თვალის გახელა ვერ მოვასწარი და
მუცლიდან გადმოღვრილი წყლით მინას მიპოხიერებდა.
მინისგულში შებუდებულ ყვავილებს ბუნავს ჩაუტეხავდა
და ისინიც მზისკენ მიიწევენ.
სიზმარში რა იოლია.
სიზმარმა ხომ მეტი იცის.
წამოწვევოდა მერე ნისლი მინდვრებზე,
აბლაბუდის ქსელში გაახვევდა გაზაფხულს და
თვალები დაბლა რჩებოდა მინას —
რცხვენოდა.
ამ დროს შეიძლება ვინმეს ხორკლიანი
ხელისგულიდან აკრიფო:

ჯერ კიდევ დასაქალბელი დღეები,
ჯერ კიდევ შეუმდგარი პაემნები,
ჯერ კიდევ თვალბახვეული განთიადები,
და გულის ბუდიდან გუგულივით გამოსძახო
აქეთ დარჩენილებს:
— იპოვე? ვერა?

ნახევარი გაიქცა და ნახევარი დარჩა.
ნახევარი დარჩა და ნახევარმა თავი გაინახევრა.
ნახევარმა თავი გაინახევრა და ნახევარი კაცმა
ნახირში გარეკა.

ნახევარმა თავი გაინახევრა და ნახევარი
დედაკაცმა ნახირში გარეკა.
კაცმა ნახევარი ნახირში გარეკა და ნახევარი დარჩა.
დედაკაცმა ნახირი შინ დააბრუნა და განახევრდა.

მოვიდნენ და გაანახევრეს.
ნახევარი ნახევარს მოაცილეს და დარჩა ნახევარი.
თოჯინებით ამოუკერეს პირი,
გაივსო ნასახლარი —
ზღვადაკარგული ნაპირებით.
მხარი მხარს გასცდნენ,
ჯვარედინად გადაიხარნენ.
გაზაფხული კი, ჯერაც წვიმას
არ აპირებდა.

— როგორ მიხდება ეს მწვანე კაბა, —
როგორ მიხდება.
წყალს მოუყევი.
წყალს მოუყევი ეგ სიზმარი.
წყალს.

სიყვარულია.
თვალბახვეული წევხარ და ისედაც იცი.
უკვე სულერთია, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ,
რაც წარსულს გააყოლე უნაყოფო შემოდგომა და
გულში სინანულის გოდორი უხმოდ გაინახვირე.
ახლა სიზმარში არ გინდა.
ახლა სიზმარმა რა იცის.
ახლა ზვავევით მოდიხარ შენი ქალაქის ქუჩებში და
რცხვენოდეს მინას.
განითლდეს.
ახლა უკვე შეგიძლია, მობუზული ჩიტით კი არა,
დამშეული ნადირით გადასანსლო:
შენი წილი სიყვარული,
შენი წილი სინანული,
შენი წილი იმედეგაცრუება,
და ტურის კუთხესთან კოცნასავით შერჩენილი ღიმილით
თავი გადაიჩინო.

ნახევარი გაიქცა და ნახევარი მოვიდა.
ნახევარმა თავი გაინახევრა და ნახევარი გამთლიანდა.
ნახევარმა თავი გაინახევრა და ნახევარი კაცმა
ნახირიდან გამორეკა.
ნახევარმა თავი გაინახევრა და ნახევარი დედაკაცმა
ნახირიდან დააბრუნა.
კაცმა ნახევარი ნახირიდან გამორეკა და გამთლიანდა.
დედაკაცმა ნახირი შინ დააბრუნა და გამთლიანდა.

მოვიდნენ და გაამთლიანეს.
ნახევარი ნახევარს მიაბეს და გახდა მთლიანი.
ძვალს ძვალს მიაკრეს და აიზიდა ტორსი —
წამოვიდა სისხლის მდინარე.
დავიწყეს სიტყვები, — მორზეს
ანბანი შიფრეს. წრეზე ტრიალებს
ეს დედამინა.
ამ წრეს გველივით უბეში გაზრდის
ვინმე ჩვენს შორის,
დამტირებელი —
წარსულს იწამებს.

— მუჭანახევარასი მითხარი.
მუჭანახევარასი.

— წყალს მოუყევი.
წყალს მოუყევი ეგ სიზმარი.
წყალს.

და ღამე როცა, ეს ღამე როცა, და ღამე როდის
და ღამის ნაცვლად, ამ ღამის ნაცვლად, თუ სიზმარს ვეძებ.
და სიზმარს თუკი, და სიზმარს თუმცა ვნაყავ დე ვცოდავ.
და თუკი მძინავს და თუკი ძილით ვანაყრებ ღვიძილს.
რომ როცა ღამით, რომ როცა ქალაქს დამალავს მთვარე,
და როცა მთვარე ვერ დამალავს ქალაქს ამ ღამით.
თვალების წყალზე გაცურება არის თვალთვალის.
ხელების თავქვეშ ამოდება... ძილია. გიმხელ.
რომ თუკი ერთხელ მოვა ღამე, ან ღამის ნაცვლად
ამ ღამის ნაცვლად, უკვე დილას დავარქმევ სახელს,
ვიტყვი: ეს ჩემი სიზმარია. ვერაფრით გამცდე.
ვიტყვი: ეს ჩემი ფანჯრებია — გზისპირა სახლში
ამ ღამით ქარი, და ღამით ქარის ნაქონი კაბა.
და კაბა შავი. და ღამე შავი. და კარი გზაზე.
და თმაში თეთრი ხაზებია — უბრალოდ ვქარგავ
და თვალში დიდი ქალაქები — ეს როცა გიმზერ.

კაცმა ნახევარი ნახირიდან გამორეკა და გამთლიანდა.
დედაკაცმა ნახირი შინ დააბრუნა და გამთლიანდა.




ლელა ცუცქირიძე

 ზის კიბეზე ახალგაზრდა ქალი,
 სუფთად ჩაცმული,
 კაფანდარა,
 სუსტი, როგორც ყვავილის ღერო,
 თავის დროზე ალბათ კარგი გოგო იყო,
 სიცოცხლით სავსე,
 უთხოვარის ნაყოფივით ნითელი და სავსე ტუჩებით,
 მწვანე თვალებით ექნებოდა,
 ჭაობივით ბლანტად ჩამორევი,
 ნამწამები — ზამთრისპირზე გახუნებული ლელქაშივით...
 დგას მოხრილი, ხელგამონვდილი,
 მათხოვარია.
 ზურგზე კი მიმე ტვირთის ნაცვლად,
 ანგელოზის მსუბუქი და თეთრი ფრთებით მოუჩანს
 მიწარე ბავშვი.

საშობაო ლიპიორი

გხსნი ჩემს ჩაშაქრებულ მოგონებებს.
 დროა.
 გამოვიტან მინის სავსე ჭურჭელს,
 იქ ყველაფერს ვინახავდი,
 ფენა-ფენა...
 ნითელია ლაქი ფრჩხილზე და ნითელი პომადაა ტუჩზე,
 ნითელია პომპონებიც მარწყვის
 ხელისგულზე, მუჭში...

ის ზაფხული იყო გადღაბნილი,
 ყვავილებზეუმშრალი მინდვრების ვიტრაჟით,
 მზეზე გახედავდი, ნითელი ჭარბობდა —
 ბალახის კონტურში მარწყვის პომპონები,
 მერე მოჰყვებოდა:
 შაქარი, სიმწარე, შაქარი, სიმწარე...
 და ჟოლო — ბავშვობის ძვირფასი კრისტალი
 პეშვებზე, მკლავებზე, სახეზე, ნიკაპზე...
 მითხარი,
 რა იყო ამაზე ლამაზი...
 და ღამის ქუჩაზე, სულ ერთი ნათურა —
 გარგარის სიყვითლით,
 ქარისგან აქეთ და იქით და აქეთ და...
 გნახავდი,
 გნახავდი და ჩემს ჩრდილს მოგცემდი,
 ხორკლები მკლავებზე...
 მციოდა, გციოდა, მიყვარდი...
 მიყვარდი და კანი ხდებოდა ხავერდის
 და ატმებს ისხამდა...
 ნითელი ლაქი და ნითელი პომადა,
 ალუბლის ხეებზე ნითელი ნაყოფი,
 სიმწარე, შაქარი, შაქარი, სიმწარე
 და მაინც მიყვარდი,
 და ისევ მიყვარდი,
 და ახლაც მიყვარხარ...
 დაჯექი,
 დღეს გაგხსნი მოხუფულ სიყვარულს,
 დაშაქრულს,
 მაცადე,
 ყლუპდაყლუპ გასინჯე,
 კარგია,
 თოვლია, ჭურჭელი სავსეა,
 დაგისხამ, დავისხამ,
 შობაა, ავიტან,
 ავიტან,
 მიყვარხარ, თოვლია, შობაა,
 ჩემთან ხარ, შენთან ვარ,
 სილიაა ვიღრაჟი მინაზი.



ნუკრი ფირცხალავას ნახატი

შობაა,
 ვიხსენებ,
 ვიხსენებ, ვიხსენებ...
 არ ხარ და... გინატრე,
 არ ხარ და... გინატრე...

*** 6-ს

იმ თაობაში ასეთი კაცები იყვნენ:
 ნაღმივით დაჰქონდათ შენელებული თვითმკვლელობა.
 ნაღმი მოულოდნელად ფეთქდებოდა,
 ხან როდის, ხან როდის.
 ერთი წლის მერე, ხუთი წლის მერე, ათი წლის მერე...
 ხან სად, ხან სად:
 ქუჩაში, სახლში, კლინიკაში, მანქანაში, ღია
 ფანჯარასთან...
 ისე ხდებოდა, ამ დროს არასდროს ვიყავით მათთან,
 ნამსხვრევები კი რატომღაც სხეულში ჩაგვრჩა.
 ვერ ამოიღებ, მთელი ცხოვრება უნდა ატარო.

იმ თაობაში ასეთი კაცები იყვნენ:
 დედებს უსწრებდნენ,
 კვიციებით ნინ მიდიოდნენ,
 ჩუმად ნვებოდნენ საფლავებში,
 ისე ჩუმად, როგორც ადრეულ ბავშვობაში
 დედის სანოლში.
 დედა კი როცა დასანოლად ემზადებოდა,
 გადაკეცავდა ღილინით საბანს,
 ელდანაცემი დაიკვივლებდა:
 — ვაიმე, შვილო!

იმ თაობაში ასეთი კაცები იყვნენ:
 კაფსულაში ჩადებული, დავინწყებული ფოტოფირივით.
 სიკვდილის მერე გამჟღავნებულნი
 ისე მკვეთრად,
 სულიც კი უჩანთ.

აუტოფოგია

სინამდვილე ისაა, რომ
 თავის გემინია.
 სახლში სოროს თუ გამოვიჭრის
 და დაინახავ,

ისეთ განწირულ კვიცლს ატეხავ,
 ვილაც აუცილებლად შემოვარდება,
 რა ხდებო, შენუხებული გკითხავს.
 შენ ეტყვი, რომ სახლში თავგია და
 გეშინია.
 ის ძებნას დაუნყებს,
 ან დაიჭერს ან ვერა.
 ნასვლას რომ დააპირებს,
 უხერხულად იგრძნობ თავს
 და ჩაის შესთავაზებ.
 ისიც დარჩება,
 გკითხავს, როგორ ხარ, რას საქმიანობ...
 მოუყვები, რომ ხარ რა, არა გიშავს.
 თანდათან საუბარი აენწყობა,
 როგორც დაშლილი ფაზლი.
 მერე, გვიან, როცა გააცილებ და შემობრუნდები,
 აიღებ პურის მოზრდილ ნატებს,
 მიხვალ სოროსთან
 და გულმოდგინედ დაანამცეცებ.

ზამთარი

მოვიდა ჩემი თეთრი თოვლი.
 თეთრი შვლის ნუკრივით მომადო თავი,
 ქათქათა, თბილი ქათიბი ჰქონდა,
 თვალები სველი, დარდიანი.
 ნატყვიარივით ემჩნეოდა
 მოურჩენელი საფლავები.
 ვერ დავამშვიდე, გავუნოდე
 სიკვდილზე მლაშე ქვამარილი,
 ალოკა თოვლმა ქვამარილი
 და მერე აქეთ დამამშვიდა.
 ეს იყო ჩემი თეთრი თოვლი,
 თეთრი შვლის ნუკრივით თბილი თოვლი.

შეიშვება. ნაჩილი.

არც არაფერია, სიმშვიდეა.
 ცა კონავს ღრუბლების ღილილოებს,
 მიდის მზე - დაღლილი პილიგრიმი
 მთისკენ და თავისთვის მილიღინებს.



ხმა ისმის ქარისგან ტყის მაჯვებზე შემწყდარი შინდების კრიალოსნის. ფრთებით გაუზიდავთ რა ხანია, მინდვრების სიტყრელე კვირიონებს.

ფოთლების ღვინისფერ ბამბაზიის ხალათებს იცვამენ ხეობები, სოფლად რომ იცოდნენ მოხუცებმა, როცა მიდიოდნენ დღეობაზე.

სიმშვიდე. სხვა რა ვთქვა. არაფერი. ჩათვალე, უბრალოდ წერილია. კარგად ვარ. ეს არის, მომენატრე. ბოლოში ძახველი — წერტილივით.

მოქალაქე ჩრდილი

მე გადავწყვიტე გავხდე საზოგადოების სრულფასოვანი წევრი — მოქალაქე ჩრდილი.

ასე ცხოვრება ადვილია: სადაც მოქალაქენი წავლენ, მეც იქ წავალ, ავედევენები, სადაც დადგებიან, იქ დავდგები. ტაშს დავუკრავ მაშინ, როცა სხვები დაუკრავენ, სიცილისგან მხრების ამიცახცახდება მაშინ,

როცა სხვები გაიცინებენ, შიშისგან მოვიბუზები მაშინ, როცა სხვები მოიბუზებიან... მე არ მევალება, განსხვავებული სახე მქონდეს, საერთოდ სახის ქონა არ მევალება, ისევე, როგორც აზრის.

არც სიტყვით გამოსვლა მევალება, არც აღტყინებული შეძახილები, ჩრდილი ვარ, ჩრდი-ლი! ვისარგებლებ მარადიული დუმილის უფლებით, ხმის უფლებით არ ვისარგებლებ — ხმა არ მექნება. სხვებს თუ სახეში გაარტყამენ, მე არ ვიყვირებ —

ხმა არ მექნება. მერე კი, როგორც ვალმოხდილი მოქალაქე ქვეყნის წინაშე,

მივალ სახლში და პიჯაკთან ერთად საკიდზე მშვიდად დავეკიდები.

ნუ შენუხდებით! ყველაფერი კარგადაა, ჩრდილებს არ სტკივათ, ვერაფერს გრძნობენ! ვერ ხვდებიან, ისე კვდებიან.

ომის თაობა

მათ რა იციან... როცა ეზოში ომობანას სათამაშოდ გამოდიან, მათი რევოლვერით გაშვერილი პატარა თითებიდან უკვე ნამდვილი ტყვიები ცვივა.

ზუსტად ისე, როგორც მავთულწამოცმულ რკინის რკალს მიახრიგინებდნენ უბნის ბიჭები, ადგები და დაჟანგულ დღეებს ჩაახრიგინებ სველ ქვაფენილზე. სხვა თუ არაფერი, ვიღაცა ხმაურზე მაინც გამოიხედავს და გაიკვირვებს: — ეს კიდევ ცოცხალი ყოფილა!

ავტოპორტრეტი

ბევრი მეგობარი მყავდა: ერთი ჩემ მაგივრად დაიბადა; ერთი ჩემ მაგივრად შვილი გახდა; ერთს ჩემ მაგივრად უყვარდა;

ერთს ჩემ მაგივრად სძულდა; ერთი ხელს მაშველებდა; ერთი ხელს მკრავდა; ერთი ჩემს სიზმარს ხედავდა; ერთი — ჩემს ცხადს; ერთი ჩემ მაგივრად მკლავდა; ერთი ჩემ მაგივრად ცხოვრობდა. ყველა — ჩემ მაგივრად ფიქრობდა; მე ჩემ მაგივრად ვდარდობდი; მე ჩემ მაგივრად მტკიოდა.

შენყვებითი იანვანა

ნუ მეძებთ, ბავშვებო! როცა ბაბუაწვერას ჩრდილებივით გამოჰყვებით ჩემი სიზმრიდან გამოჟონილ ხმას და ნაცრისფერ ოთახს მოადგებით, არ შემოხვიდეთ! ნუ მაიძულებთ გეთამაშოთ ეს სამინელი თამაში — დედაშვილობა! მუცელზე მიგიხატოთ და დაგარწიოთ, ვითომ დედა ვარ, ვითომ მყავხართ და საწოლში ხელმეორედ ჩაგინვინეთ... არ შემოძლია!

ვდგავარ მიტოვებული საბავშვო ბაღის კარადასავით, ღრიჭობიდან, როგორც გადამტვრეულ რძიანას ღეროს, შხამიანი რძე გადმომდის, მოლიავებული კარიდან კი რეზინმომბული ხელთათმანივით კონწიალობს თქვენი წითლად დაფიფქული, პატარა ხელი.

არ შემოხვიდეთ ამ ოთახში! ...შეგეშინდებათ.

==== **თარგმანი** =====

შიშხილის გაკვეთილება

„მოგწონვარ?“ — ვკითხე ცისფერ პიჯაკს. არ არის პასუხი. სიჩუმე გადმოვარდა მისი წიგნებიდან. სიჩუმე დაეშვა მისი ენიდან და დაჯდა ჩვენ შორის და ჩახერგა ჩემი ყელი. მან გაანადგურა ჩემი ნდობა. მან გამომგლიჯა სივარტეები პირიდან. ჩვენ გავცვალეთ სიტყვები ალაღბებზე და მე არ ვტიროდი, და მე არ ვითხოვდი, წყვიადმა მოიცვა ჩემი გული და რაღაც, რაც კარგი იყო, მარგებელი ჟანგბადის მსგავსი, გადაიქცა გაზის ღუმელად. მოგწონვარ? რა აბსურდია! ეს რა კითხვაა? ეს რა სიჩუმეა? და რას დავყუდებულვარ აქ აღსავესე გამოცანით, თუ რა თქვა მისმა სიჩუმემ?

წითელი ვარდები

ტომი სამი წლისაა და როდესაც ცუდად იქცევა, დედა ეცეკვება. დედა რთავს ფირფიტას „წითელი ვარდები ცისფერი ლედისთვის“ და ისვრის მას ოთახში. წარმოიდგინე, არასდროს დაურტყამს ტომისთვის ხელი. მას ეშლება წითელი ვარდები სხვადასხვა ადგილებში, თავზე, როცა იყო მთვლემარე, როგორც მდინარე, ზურგზე, როცა იყო გადატეხილი საფრთხობელა, მკლავზე, სადაც თითქოს ბურღმა გაჰკრა კბილი, ან ძირტკბილას ჩხირივით გადაგრეხილ ფეხზე, ყველა იმ ცეკვისას, რომელიც ერთად შეასრულეს ცისფერმა ლედიმ და ტომიმ. შენ დაეცი, უთხრა მან, დაიმახსოვრე, შენ დაეცი. მე დაეცი — სულ ესაა, რასაც ექიმებს ეუბნება დიდ ჰოსპიტალში. მშვენიერი ლედი მივიდა და დაუსვა კითხვები, მაგრამ რაკი არ სურს, გაგზავნონ სხვაგან, თქვა, რომ დაეცა. მას არასდროს უთქვამს სხვა რამ, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ლაპარაკობს. არასდროს უამბობს მუსიკის შესახებ, ან როგორ მღერის დედა და ისვრის, სწევს მაღლა და ტყორცნის.

ენი სექსტონი

სჯერა, რომ მისი ბურთია. ცდილობს, დაეცეს და ახტეს, მაგრამ იჭყლიტება მნიფე ნაყოფივით, რადგან ცისფერი ლედი უყვარს და ლაქებს წითელი ვარდებისას ჩუქნის მას.

მორჩენელები

ზოგიერთი მორჩენება ქალია, არც აბსტრაქტული, არც ფერმკრთალი, მათი ძუძუები დაკიდებულია მკვდარი თევზებივით. კუდიანები არა, მხოლოდ მორჩენებები, რომლებიც მოდიან უსარგებლო ხელების ქნევით, როგორც მიგდებული მსახურები.

ყველა მორჩენება როდია ქალი, მინახავს სხვებიც; მსუქანი, თეთრმუცელა კაცები, რომლებიც ატარებენ თავის გენიტალიებს, როგორც ძველ ჩვრებს; ეშმაკები არა, მხოლოდ მორჩენებები. აი ერთი, ყრუდ აბრაგუნებს შიშველ ფეხებს, იხრება ჩემს საწოლზე.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ზოგიერთი მორჩენება ბავშვია. ანგელოზები არა, მხოლოდ მორჩენებები: გორავენ ჩაის ვარდისფერი ფინჯნებივით ნებისმიერ ბალიშზე, ან ფეხებს იქნევენ, გვიჩვენებენ უმანკო ტაკუნებს და ეტირებიან ლუციფერს.

ჩაკატილი კარები

ანგელოზებისთვის, რომლებიც ამ ქალაქში ბინადრობენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ფორმა გამუდმებით იცვლება, ყოველ ღამით ჩვენ ვტოვებთ ცოტა ცივ კარტოფილს და რძიან თასს ფანჯრის რაფაზე. როგორც წესი, ისინი ცხოვრობენ ცაში, სადაც სხვათა შორის, აკრძალულია ცრემლი. ისინი ეკვრიან მთვარეს გარშემო, როგორც მოხარული ბატატები. გალაქტიკა მათი კრუხია თავის უამრავ წინილასთან ერთად. როდესაც ღამდება, ძროხები წვებიან, ხოლო მთვარე, ეს დიდი ხარი, დგება.

თუმცა იქ, მაღლა, არის ჩაკეტილი ოთახი რკინის კარით, რომელიც არ იღება. შიგნით ყველა შენი ცუდი სიზმარია. ეს ჯოჯოხეთია. ზოგი ამბობს, რომ ეშმაკი კეტავს კარს შიგნიდან. ზოგი ამბობს, რომ ანგელოზები კეტავენ გარედან. იქ მსხდომ ადამიანებს არ აქვთ წყალი და არასდროს შეუძლიათ შეეხონ ერთმანეთს. ისინი ხრამუნობენ, როგორც ღორღი. ისინი მუნჯები არიან. ისინი არ ყვირიან დახმარებისთვის, მხოლოდ შიგნით ჩაიძახიან, როცა მატლები ფარავენ მათ გულებს.

მე მინდოდა გამეღო ეს კარი, გადამებრუნებინა ჟანგიანი გასაღები და გადავხვეოდი თითოეულ დაცემულს, მაგრამ არ შემოძლია, მე არ შემოძლია. შემოძლია მხოლოდ ვიჯდე აქ, მინაზე, ჩემს ადგილას მაგიდასთან.

ღიანასკლისი

ზოგი ქალი თხოვდება სახლზე. ეს კანის სხვა სახეობაა; მას აქვს გული, პირი, ღვიძლი და ნაწლავების მოქმედება. კედლები უცვლელი და ვარდისფერია. ნახეთ, როგორ დგას ის მთელი დღე მუხლებზე, ერთგულად რეცხავს საკუთარ თავს. კაცები შედიან ძალდატანებით, გადმოინთხევიან, როგორც იონა, ხორცსავსე დედებში. ქალი არის თავისსავე დედა. ეს მთავარია.

თარგმნა ქეთი გზირიშვილმა



მე შენს თავს ნავგვრი ყველა მინას და ყველა ზეცას,
რადგან ტყე როგორც აკვნად, ისე სამარედ მექცა,

მე შენს თავს ნავგვრი ყველა დროს და სიბნელეს
- მსახვრალს,
ოქროსმარმაშა ყველა დროშას და ყველა მახვილს,

მე შენს თავს ნავგვრი ყველა სატრფოს,
იმ ერთსაც, შორით...
შენ არ გერქმევა სხვისი საქმრო, მე - სხვისი ცოლი.

მაგრამ მანამდე, ვიდრე ხელეებს დაგიკრეფ მკერდზე,
დასწყევლოს ღმერთმა! - შენი თავის გარეშე ვერ ძლებ:
ორი ფრთა შენი, ბინადარი გაშლილი სივრცის,

თუ სული გაჩნდა საზოგადოებას და ცაში საფრენად,
რა არის მისთვის დარბაზები ანდა სახლები,
რა არის მისთვის ჩინგიზხანი ან ოქროს ურდო,

მინდა სარკესთან, გადაღლილთან,
მღვრიე სიზმრებით
გამოვიკვლიო, სად ნახვალთ ან
საით იქნებით.

მე ვხედავ: გემის ანძას, იქვე
თქვენ დგახართ ბანზე...
თქვენ - მატარებლის კვამლში... მინდვრებს
სხვა სევედა ავსებს...



მარინა ცვეტაევა

ფრენენ ყორნები, შთანთქა მწუხრმა
სველი ენერი...
დაგლოცავთ ასე: ოთხივ კუთხით
ჯვარი გენერთ!

აჰა, ორი მზე იყინება, - დაინდე, ღმერთო! -
პირველი ცაზე, მეორე კი ჩემს გულში ენთო.

როგორც ამ მზეებს - საკუთარ თავს შევუნდობ ნეტა? -
ჭკუიდან მშლიდა მათი სმენა და მათი ჭვრეტა!

იყინებიან - არ წვავს სხეულს სხივთა ალერსი!
და თუ ჩაქრება, ჯერ - მათ შორის უმხურვალესი.

სიკვდილის პირას აღარ ვიტყვი: ვიცხოვრე-მეთქი,
არ ვნანობ... ძებნა დამნაშავეს არ მდომებია.
არის ამქვეყნად საზრუნავი იმაზე მეტი,
ვიდრე ვნება და სამიჯნურო გმირობებია.

შენ, ვინც ფრთის ცემით აიკელი გულის ფიცარი,
ვისაც მარადი შთაგონების გქვია მწვერვალი,
ნურასდროს ნახვალ! ნურსად ნახვალ! დარჩი, გიბრძანებ
მე - სამუდამოდ დაწინდული შენზე მხევალი!

სიყვარული

იატაგანი? იქნებ ცეცხლი? - ასე რთულია!
სჯობს მოკრძალებით - ხმამაღალი რად ღირს ძახილი?!
ტკივილი უფრო... ნაცნობი, როგორც თვალბრწყინებისთვის
ხელისგულია,

ან ტუჩებისთვის -
საკუთარი პირმშოს სახელი.

ვით მარჯვენა და მარცხენა ხელი,
ახლობელია სულელები ჩვენი.

ერთმანეთს მზით და სიმშვიდით ვაცვებთ,
მარჯვენა ფრთის და მარცხენის მსგავსად.

მაგრამ გრიგალი თხრის უფსკრულს ფართეს
მარჯვენა ფრთიდან მარცხენა ფრთამდე.

მე ფურცელი ვარ, შენ - ფრთის წვერი,
დავიტევე ყოველს, ფურცელი ვარ თეთრი, ქათქათა.
შენი საქურჭლის მე ვარ მცველი,
ერთს გიქცევ ასად, ათასად და ისე გაგატან.

მე სოფელი ვარ, შავმინა ვარ,
შენ მზე ხარ ჩემი, ღრუბელი ხარ, წვიმით ნაკემსი.
შენ ღმერთი ხარ და ბატონი ხარ,
მე - შავი მინა და ფურცელი უსპეტაკესი.

თარგმან რუბინა მქსხმა

ტაქსტოლოგია

ორი შენიშვნა

აკაკის გამოცემების თაობაზე



I
1878 წლის 24 ნოემბერს „დროებაში“ გამოაქვეყნა აკაკი წერეთლის საკმაოდ ვრცელი - ორმოცდაშვიდსტროფიანი სატირული ლექსი „სხვადასხვა ერი“, რომელშიც პოეტმა მკითხველს თავისებურად „დაუხასიათა“ ინგლისელები, ნემცები (გერმანელები), იტალიელები, ფრანგები, ქართველები და ბერძნები. 1893 წელს თბილისში გამოიცა კრებული „თხზულებანი აკაკი წერეთლისა. I“, რომელშიც სხეულებული ლექსი უცვლელად არის შეტანილი. იმავე - 1893 წელს, მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო ქუთათურების მიერ დაბეჭდილი აკაკის „ჩემი ნაწერები. მეორე წიგ-


ნი“, სადაც აღნიშნულ ქმნილებას სქოლიოში გაკეთებული აქვს ავტორის შემდეგი შენიშვნა: „სხვადასხვა ერი“. აქ ბევრი სხვა ერებიც იყვენ მოხსენებული მაგალითად: ისპანიელები, თათრები, სომხები, რუსები და სხვანი. მაგრამ ცენზურამ არ გაუშვა დაიჭირა და მე კი აღდგენა აქ ვეღარ მოვახერხე. განსაკუთრებით სასაცილო იყო სომხები და რუსები (სტილი დაცულია - გ.გ.). ეს შენიშვნა, გამართული სტილითა და პუნქტუაციით, თითქმის, სრულად „ახლავს“ 1940 წელს გამოცემულ აკაკი წერეთლის თხზულებათა (სრული კრებული შეიდ ტომად) I ტომში შეტანილ მოხსენიებულ ლექსსაც.

როგორც ცნობილია, ქართული საბჭოთა ცენზურა XX საუკუნის ორმოციანი წლების მიწურულიდან „განსაკუთრებული“ სკრუპულოზურობით მოეკიდა აკაკის თხზულებათა ახალი სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) მომზადებისა და გამოქვეყნების საქმეს. ამ მხრივ, ჩვენმა „ნითელმა“ ტენიშეისტერებმა, ცხადია, უყურადღებოდ არც ზემოთ მოტანილი შენიშვნა დატოვეს და პირველი ტომის (მკითხველმას 1950 წელს მიიღო) რედაქტორ-შემდგენლები აიძულეს, „დაემოკლებინათ“ იგი. ამიტომ, აკაკის შენიშვნა მისი თხზულებების ახალი გამოცემის I ტომში შეტანილ „სხვადასხვა ერს“ ამგვარი სახით აქვს დართული: „აქ ბევრი სხვა ერებიც იყვნენ მოხსენებული, მაგალითად: ისპანიელები, თათრები, სომხები, რუსები და სხვანი. მაგრამ ცენზურამ არ გაუშვა, დაიჭირა და მე კი აღდგენა აქ ვეღარ მოვახერხე... (ავ-

ტორის შენიშვნა)“ (გვ. 365).
სავსებით ბუნებრივია, რომ კომუნისტურ ხანაში, იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, ცენზურა არაფრით არ დაუშვებდა სომხებისა და, უპირველეს ყოვლისა კი, რუსების, როგორც ჩვენი „უფროსი ძმების“ მიმართ „განსაკუთრებით სასაცილოების“ პრეცედენტს და აკაკის შენიშვნის „აპოლიტიკური უღერადობის ეპილოგი“ იმიტომაც იქნა „დაბრაკული“... სამწუხაროდ, ასევე „გასხლული“ ფორმითაა აღნიშნული შენიშვნა შეტანილი 2010 წელს გამოცემულ მგოსნის თხზულებათა ახალი სრული კრებულის (ოც ტომად) I ტომშიც (იხ.: გვ. 283).
ვიმედოვნებთ, რომ ეს პუბლიკაცია, ისევე, როგორც დიდი პოეტის ნაწარმოებთა გამოცემებისადმი გამოთქმული ყველა სხვა სამართლიანი შესწორება თუ კრიტიკული თვალსაზრისი გათვალისწინებული იქნება აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი სრული კრებულების გამოცემისას.

II

შპრნალ „განთიადის“ 2012 წლის მესამე-მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულია ელგუჯა თავბერიძის „ეხეები აკაკიზე“, სულ სამი ესე, რომელთაგან მეორეში („საზანოელი გლეხები“), პატივცემული ავტორი ბრძანებს, რომ: „Z“ ფსევდონიმით „დროების“ 1873 წლის 23 ნოემბრის ნომერში აკაკის წერილი „ქუთაისი 16 ნოემბერს 1873 წელსა“ დაბეჭდილი. ფსევდონიმით და წერილიც ლიტერატურული მკვლევართათვის, რამდენადაც ვიცი, უცნობი იყო დღემდე“.
ამ განცხადების საპასუხოდ ბატონ ელგუჯას, მოკრძალებით გვსურს ვამცნოთ, რომ აკაკის სხეულებული წერილი, სათაურით „დროების“ კორრესპონდენცია. ქუთაისი. 16 ნოემბერი 1873 წ.“ შეტანილია



დიდი მგოსნის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) XI ტომში (იხ.: გვ. 222-223) და ამდენად, როგორც ფსევდონიმი „Z“ (აქვე დავეძენთ, რომ ამ კრიტიკონიმით XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და 900-იან წლებში ქართული პრესის ფურცლებზე წერილებს ასევე აქვეყნებდნენ: არტემ ახანაზროვი, ვარლამ ბურჯანაძე, იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დიმიტრი დეკანოზიშვილი, ლეო ნათაძე, ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა), ალექსანდრე ყიფშიძე, ზაქარია ჭიჭინაძე), აგრეთვე ზემოაღნიშნული კორესპონდენცია, აი, უკვე, ნახევარ საუკუნეზე მეტია, კარგად არის ცნობილი ლიტერატურის მკვლევართათვის.

გიორგი გაპუნია

ლიტერატურული გაზეთი
გამოცემის საქარტოვალს კულტურისა და კახეთის
დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ყურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com